სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასწარმოქმნის მოდელით, ძირითადად შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სავალო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით, რომელიც ზოგჯერ შეიცავს მხოლოდ ბაზარზე არსებულ მონაცემებს, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. მოდელებში გამოყენებულ არასაბაზრო მონაცემებს შორის არის დაშვებები ინვესტიციის ობიექტის სამომავლო ფინანსური შედეგების, მისი რისკის პროფილის შესახებ და ასევე ეკონომიკური დაშვებები დარგისა და იმ ტერიტორიის იურისდიქციის შესახებ, რომელშიც ინვესტიციის ობიექტი საქმიანობს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კოტირებული თამასუქებისა და ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა საანგარიშგებო თარიღისთვის კოტირებულ ფასებს. არაკოტირებული ინსტრუმენტების, კლიენტებზე გაცემული სესხების, კლიენტთა ანაბრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, სებ-ისთვის და საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(ბ) სამართლიანი ღირებულების იერარქია

ბანკი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

26 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2020 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ მთლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	18,038	-	-	18,038	**18,038**
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით					
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი	-	-	236,955	236,955	**236,955**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	212,341	-	212,341	**212,341**

31 დეკემბერი, 2019წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	33,704	-	-	33,704	**33,704**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	155,420	155,420	**155,420**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ვალდებულებები მომხამრებლების მიმართ	-	170,518	-	170,518	**170,518**

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პრინციპები წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

26 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2018 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ მთლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	15,022	10,439	-	**25,461**	**25,461**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	156,676	**156,676**	**156,471**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	-	144,900	-	**144,900**	**144,861**

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი ერთეულების მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის, ფასს 9 ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას, რომელიც განხილულია 3-ე შენიშვნაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასების შეჯამება აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	32,485	-	-	32,485
მოთხოვნები ბანკების მიმართ	9,190	-	-	9,190
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	36,217	-	-	36,217
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	18,038	-	18,038
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	236,955	-	-	236,955
სხვა აქტივები	4,749	-	-	4,749
სულ ფინანსური აქტივები	**319,596**	**18,038**	-	**337,634**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასების შეჯამება აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი ერთეულების მიხედვით (გაგრძელება)

	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	57,013	-	-	57,013
მოთხოვნები ბანკების მიმართ	1,627	-	-	1,627
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	24,609	-	-	24,609
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	33,704	-	33,704
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	155,420	-	-	155,420
სხვა აქტივები	812	-	-	812
სულ ფინანსური აქტივები	**239,481**	**33,704**	**-**	**273,185**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასების შეჯამება აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	38,031	-	-	38,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	5,155	-	-	5,155
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	26,567	-	-	26,567
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	25,461	-	25,461
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	156,471	-	-	156,471
სხვა აქტივები	11,257	-	-	11,257
სულ ფინანსური აქტივები	**237,481**	**25,461**	**-**	**262,942**

28 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდგომ განხორციელდა შემდეგი მოვლენები;

- 2021 წლის 24 თებერვალს, ბანკმა აიღო 5,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC).

ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არ განხორციელებულა დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენის საჭიროებას შექმნიდა.

სს „იშბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება..... 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული და მასში შემავალი განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 9
2. მომზადების საფუძველი..... 10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები..... 22
5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი..... 25
6. წმინდა საკომისიო შემოსავალი 25
7. საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ აქტივებზე..... 25
8. პერსონალის ხარჯები 26
9. სხვა ხარჯები 26
10. დაბეგვრა 27
11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები..... 28
12. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ..... 29
13. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში 29
14. მომხმარებელზე გაცემული სესხები 30
15. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები..... 41
16. ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივის გამოყენების უფლება..... 42
17. სხვა აქტივები და ვალდებულებები..... 43
18. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე 43
19. ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე 44
20. სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი 44
21. კაპიტალის მართვა 45
22. რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი 47
23. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები..... 68
24. პირობითი ვალდებულებები..... 68
25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 70
26. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება..... 71
27. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი ერთეულებით..... 74
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 75

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „იშბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „იშბანკი საქართველოს“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ‘პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის’ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად რომელიც შესაბამისია ჩვენს ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან საქართველოში და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბანკის 2020 წლის ხელმძღვანელის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას. ბანკის 2020 წლის ხელმძღვანელის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას ამ აუდიტის დასკვნის გაცემის შემდეგ თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის დამადასტურებელ დასკვნას ჩვენს ანგარიშში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან არსებითად შეუსაბამო არის თუ არა, ან სხვაგვარად არსებით უზუსტობას შეიცავს თუ არა. თუ სხვა ინფორმაციასთან ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოებიდან გამომდინარე, დავასკვნით რომ არსებობს ასრებითი უზუსტობები სხვა ინფორმაციასთან მიმართებით, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის აღნიშვნა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ობიექტურ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.
აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესზე ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს.

ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკ-ცალკე, გავლენა იქონიონ მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად საკმარის საფუძველსა და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უარყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებებისთვის სათანადო აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, ჩვენი დასკვნა შევცვალოთ თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არაადეკვატურია. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანია შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, გამჟღავნებულ ინფორმაციას და იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების ობიექტურ წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 22 მარტი

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.
აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესზე ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს.

ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკ-ცალკე, გავლენა იქონიონ მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად საკმარის საფუძველსა და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უარყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებებისთვის სათანადო აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, ჩვენი დასკვნა შევცვალოთ თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არაადეკვატურია. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანია შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, გამჟღავნებულ ინფორმაციას და იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების ობიექტურ წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 22 მარტი

თბილისი, საქართველო

Closer to you

	შენიშვნები	**2020**	2019	2018
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული:				
საპროცენტო შემოსავალი		**19,388**	17,003	14,672
საპროცენტო ხარჯი		**(4,203)**	(4,542)	(6,284)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	5	**15,185**	12,461	8,388
შემოსავლები გასამრჯელოებიდან და საკომისიოებიდან		**2,846**	2,559	1,457
ხარჯები გასამრჯელოებიდან და საკომისიოებიდან		**(1,055)**	(1,149)	(1,366)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	6	**1,791**	1,410	91
შემოსავალი დილინგური ოპერაციებიდან		**752**	801	706
გადაფასებიდან მიღებული საკურსო მოგება		**75**	97	1,042
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		**827**	898	1,748
საოპერაციო შემოსავალი		**17,803**	14,769	10,227
საკრედიტო (ზარალი) / ზარალის შემობრუნება	7	**(254)**	(210)	443
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის /ზარალის შემობრუნების შემდეგ		**17,549**	14,559	10,670
პერსონალის ხარჯი	8	**(4,850)**	(4,555)	(4,635)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	9	**(2,646)**	(2,548)	(2,808)
მოგება დაბეგვრამდე		**10,053**	7,456	3,227
მოგების გადასახადის ხარჯი	10	**(378)**	(1,394)	(677)
წლის მოგება		**9,675**	6,062	2,550
არარეალიზირებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან წმინდა ცვლილება იმ სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.		**608**	(282)	(621)
მოგების გადასახადის ეფექტი სხვა სრულ შემოსავალზე	10	**(91)**	42	94
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად:		**517**	(240)	(527)
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა				
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**10,192**	5,822	2,023

5-75 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა 2021 წლის 22 მარტი და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

_____	_____
ოზან გური	**უჩა სარალიძე**
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**

სს „იშბანკი საქართველო“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019	2018
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული:				
საპროცენტო შემოსავალი		**19,388**	17,003	14,672
საპროცენტო ხარჯი		**(4,203)**	(4,542)	(6,284)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	5	**15,185**	12,461	8,388
შემოსავლები გასამრჯელოებიდან და საკომისიოებიდან		**2,846**	2,559	1,457
ხარჯები გასამრჯელოებიდან და საკომისიოებიდან		**(1,055)**	(1,149)	(1,366)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	6	**1,791**	1,410	91
შემოსავალი დილინგური ოპერაციებიდან		**752**	801	706
გადაფასებიდან მიღებული საკურსო მოგება		**75**	97	1,042
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		**827**	898	1,748
საოპერაციო შემოსავალი		**17,803**	14,769	10,227
საკრედიტო (ზარალი) / ზარალის შემობრუნება	7	**(254)**	(210)	443
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის /ზარალის შემობრუნების შემდეგ		**17,549**	14,559	10,670
პერსონალის ხარჯი	8	**(4,850)**	(4,555)	(4,635)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	9	**(2,646)**	(2,548)	(2,808)
მოგება დაბეგვრამდე		**10,053**	7,456	3,227
მოგების გადასახადის ხარჯი	10	**(378)**	(1,394)	(677)
წლის მოგება		**9,675**	6,062	2,550
არარეალიზირებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან წმინდა ცვლილება იმ სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.		**608**	(282)	(621)
მოგების გადასახადის ეფექტი სხვა სრულ შემოსავალზე	10	**(91)**	42	94
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად:		**517**	(240)	(527)
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა				
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**10,192**	5,822	2,023

5-75 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა 2021 წლის 22 მარტი და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

ოზან გური
გენერალური დირექტორი

უჩა სარალიძე
ფინანსური დირექტორი

სს „იმბანკი საქართველო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019	2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	**32,485**	57,013	38,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	12	**9,190**	1,627	5,155
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	13	**36,217**	24,609	26,567
მომხმარებელზე გაცემული სესხები	14	**236,955**	155,420	156,471
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	15	**18,038**	33,704	25,461
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივის გამოყენების უფლება	16	**2,354**	2,541	984
სხვა აქტივები	17	**4,749**	812	11,257
სულ აქტივები		**339,988**	275,726	263,926
ვალდებულებები				
ვალდებულებები ბანკების წინაშე	18	**136,521**	133,656	106,509
ვალდებულებები მომხმარებლის წინაშე	19	**75,820**	36,862	38,352
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	20	**29,188**	15,674	31,916
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	10	**1,264**	1,013	649
სხვა ვალდებულებები	17	**2,982**	4,499	8,300
სულ ვალდებულებები		**245,775**	191,704	185,726
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	21	**69,162**	69,162	69,162
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე		**(127)**	(644)	(404)
გაუნაწილებელი მოგება		**25,178**	15,504	9,442
სულ საკუთარი კაპიტალი		**94,213**	84,022	78,200
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**339,988**	275,726	263,926

სს „იმბანკი საქართველო“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ათას ლარში)

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	რეალური ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	30,000	123	6,892	**37,015**
წლის მოგება	-	-	2,550	**2,550**
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(527)	-	**(527)**
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი	-	**(527)**	**2,550**	**2,023**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	39,162	-	-	**39,162**
21				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69,162**	**(404)**	**9,442**	**78,200**
წლის მოგება	-	-	6,062	**6,062**
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(240)	-	**(240)**
მთლიანი წლის სხვა სრული შემოსავალი	-	(240)	6,062	**5,822**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69,162**	**(644)**	**15,504**	**84,022**
წლის მოგება	-	-	9,674	**9,674**
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	517	-	**517**
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი	-	517	**9,674**	**10,191**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**69,162**	**(127)**	**25,178**	**94,213**

9-75 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „იშბანკი საქართველო“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე		**10,053**	7,456	3,227
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია	16	**1,269**	1,286	805
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	5	**(19,388)**	(17,003)	(14,672)
საპროცენტო ხარჯი	5	**4,203**	4,542	6,284
გაუფასურების ზარალი	7	**254**	210	(446)
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა შემოსავალი		**(827)**	(898)	(1,748)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		**(4,436)**	(4,407)	(6,550)
საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების შემცირება		**(3,554)**	4,033	2,895
ბანკების მიმართ მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)		**(1,886)**	3,802	(3,117)
კლიენტებზე გაცემული სესხების შემცირება / (ზრდა)		**(57,999)**	7,441	(3,281)
სხვა აქტივების შემცირება / (ზრდა)		**(3,846)**	10,674	(8,535)
ბანკებიდან მიღებული ანაბრებისა და ნაშთების ზრდა / (შემცირება)		**(26,919)**	21,209	47,442
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშების და ანაბრების (შემცირება) / ზრდა		**33,612**	(3,280)	(31,453)
სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ ზრდა		**77**	(6,720)	5,654
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები პროცენტისა და მოგების გადასახადი გათვალისწინებამდე		**(64,951)**	32,752	3,055
მიღებული პროცენტი		**18,497**	16,652	18,988
გადახდილი პროცენტი		**(4,210)**	(3,749)	(10,535)
გადახდილი მოგების გადასახადი		**(981)**	(317)	(137)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები		**(51,645)**	45,338	11,371
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		**(6,501)**	(14,038)	(5,028)
საინვესტისიო ფასიანი ქაღალდებიდან შემოსულობა		**23,997**	6,000	4,125
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	16	**(1,082)**	(109)	(260)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		**16,414**	(8,147)	(1,163)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
მიღებული სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	20	**16,219**	-	26,303
სხვა ნასესხები სახსრებისა და სუბიდინირებული ვალის დაფარვა	20	**(4,875)**	(17,708)	(20,132)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა		**(1,003)**	(849)	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		**10,341**	(18,557)	6,171
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		**(24,890)**	18,634	16,379
სავალუტო კურსისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		**362**	348	74
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	11	**57,013**	38,031	21,578
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**32,485**	57,013	38,031

9-67 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში ბანკი) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას რომელიც იურიდიულ პირად იქნა დარეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად , 2015 წლის 29 ივნისს. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2015 წლის 1 აგვისტოს მინიჭებული ლიცენზიის (№ 368) შესაბამისად. ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611.

რეორგანიზაციამდე (2015 წლის 1 აგვისტო) ბანკი წარმოადგენდა სს „თურქეთის იშ ბანკის“ ბათუმის ფილიალს, დარეგისტრირებულს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლიცენზია №: 908) როგორც თურქეთში 1924 წელს დაფუძნებული უცხოური ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი ბანკი“ ან „მფლობელი“) ფილიალი.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი მთავარი ოფისი თბილისშია განთავსებული და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე როგორც 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გააჩნია ორი ფილიალი თბილისსა და ბათუმში.

ბანკის ოფიციალური იურიდიული მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზირი 140/ბ, თბილისი, საქართველო.

2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის 100%- იან წილს ფლობდა სს „იშბანკი თურქეთი“.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „იშბანკი თურქეთი“-ს, 37.08% წილის მფლობელი იყო T. İş Bankası A.Ş. Supplementary Pension Fund (Fund), 28.09% წილს ფლობდა Republican People's Party- CHP (Atatürk's shares), ხოლო დანარჩენი, 34.83% წილი იყო თავისუფალ მიმოქცევაში (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: FUND 39.10%; CHP 28.09%; თავისუფალ მიმოქცევაში 32.81%. 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით: FUND 40.47%; CHP 28.09%; თავისუფალ მიმოქცევაში 31.44%).

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა T. İş Bankası A.Ş. Supplementary Pension Fund. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

(ბ) ბიზნესგარემო

ბანკი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ბანკზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

COVID-19 პანდემიის ეფექტი, განსაკუთრებით მძიმედ აისახება განვითარებად და დამწყებ ეკონომიკებზე. ვირუსის სწრაფი გავრცელების პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული რეგულაციები, უარყოფითად აისახა ეკონომიკურ საქმიანობაზე. საქართველოს ეკონომიკა 2020 წელში შემცირდა 6.2%-ით. ეკონომიკის აღდგენითი დინამიკა, რომელიც შემუშავებული იყო 3Q20, საპირისპირო აღმოჩნდა მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, რაც მეორე lockdown-ის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ. განსაკუთრებული ზიანი, პანდემიის შედეგად, მიადგა ტურიზმს და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორებს, ამის ფონზე შეინიშნებოდა პოზიტიური დინამიკა სხვა სექტორებში, როგორებიცაა: სამთო-მოპოვებითი, სოფლის მეურნეობა და განათლება. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა მშპ-ს 12.3%-მდე, რაც მეტწილად განპირობებული იქნა ტურიზმის სექტორიდან შემოსავლების მკვეთრმა შემცირებამ. პანდემიასთან დაკავშირებულმა გაურკვეველმა მოლოდინმა, გამოიწვია ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით 2020 წლის მართის თვეში, სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, 2020 წლის დეკემბრის თვეში გაცვლითი კურსი დასტაბილურდა. სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციების მიუხედავად, საერთაშორისო რეზერვები გაიზარდა 3.9 მილიარდ აშშ დოლარამდე (11.5%-ით მეტი) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მეტწილად განპირობებულია დონორების დაფინანსების შედეგად. ყოველივე ამის ფონზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან პარტნიორობით დაგეგმილი ფისკალური სტიმულირების ღონისძიებები, ნაწილობრივ ანაზღაურებს მძიმე შოკის შედეგად მიღებულ ზარალს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სწრაფ აღდგენას კრიზისის შემდგომ პერიოდში. სახელმწიფო სექტორი უზრუნველყოფილ იქნა 1.7 მილიარდი აშშ დოლარით 2020 წელს, დონორი ორგანიზაციისაგან.

1 ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გლობალური ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, ასევე საქართველოს ეკონომიკური პროგნოზები ხასიათდება გაურკვევლობის მაღალი დონით.

პანდემიის პერიოდი, ეფექტიანი მკურნალობის ხელმისაწვდომობა და მასთან დაკავშირებული პროცესების გავლენა ეკონომიკურ საქმიანობაზე, თავისთავად რთულად პროგნოზირებადია. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში, ეკონომიკურ აქტივობაზე არსებული შოკი გავლენას კვლავ იქონიებს. გარდა ამისა, ეფექტური ვაქცინის მოსალოდნელზე სწრაფად განვითარებასა და განაწილებას შეუძლია ნდობის ამაღლება, ტურიზმისა და ინვესტიციების დაბრუნების მხარდაჭერა და აღდგენის დაჩქარება.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ზომები მიიღო, რათა შეამციროს COVID-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა საფინანსო სექტორზე და ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

მიღებული იქნა ახალი რეგულაციები და შემუშავდა მასტიმულირებელი პოლიტიკები სხვადასხვა სფეროსთვის: ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ლიკვიდურობის შეუფერხებლად მიწოდება, დროებითი სამეთვალყურეო გეგმის შემუშავება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის გაგრძელება და სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება.

დროებითი სამეთვალყურეო გეგმა გულისხმობს, საბანკო სექტორის კაპიტალისა და ლიკვიდურობის ბუფერების გამოყენებას ფინანსური სტრესის დროს. ეს გულისხმობს მიმდინარე კაპიტალისა და ლიკვიდურობის მოთხოვნების შემცირებას, რაც საშუალებას აძლევს საბანკო სექტორს აითვისოს პოტენციური ზარალი ამ ბუფერებით და გააგრძელოს ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობა და დაფინანსოს რეალური ეკონომიკა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საბანკო სექტორი ჯანსაღია და აქვს კაპიტალისა და ლიკვიდურობის საკმარისი ბუფერები, რომლებიც თანდათანობით დაგროვდა ეროვნული ბანკის თანმიმდევრული საზედამხედველო პოლიტიკის შედეგად.

ბანკმა დანერგა მრავალი პროტოკოლი და პოლიტიკა, რათა შეამციროს COVID-19 ნეგატიური გავლენა მის ბიზნეს საქმიანობაზე.

ბანკი ყურადღებით აკვირდება ეკონომიკური ტენდენციების განვითარებას და მის შესაძლო გავლენას ბიზნეს საქმიანობაზე, რათა გააგრძელოს შესაბამისი ზომების მიღება სხვადასხვა გამოწვევების პრაქტიკული მართვისთვის.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს მენეჯმენტის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შესახებ ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. სამომავლო ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა თანხისთვის ბანკი წარმოადგენს წინა ორი პერიოდის - 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების - შედარებად ინფორმაციას. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ინფორმაციის ასე წარდგენა უფრო სასარგებლო და ინფორმატიულია ბანკის დაინტერესებული მხარეებისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მშობელი ბანკის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით.

(გ) ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

ბანკი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ლიკვიდურობის მიხედვით რომელიც დაფუძნებულია ბანკის განზრახვასა და უფლებამოსილებაზე რომ მოახერხოს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების პუნქტების აქტივების/ვალდებულებების უმეტესობის დაბრუნება/გადახდა აღქმული შესაძლებლობის საფუძველზე. დაბრუნების ან გადახდის ანალიზი ანგარიშგების თარიღიდან (მოკლევადიანი) 12

2 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

თვის განმავლობაში და დამატებით 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღიდან (გრძელვადიანი) წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

(დ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარია (ლარი), რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. სრული ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ათას ლარებში, გარდა იმ ნაწილებისა, სადაც სხვაგვარად არის მითითებული.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა სს იშბანკი საქართველოს მენეჯმენტის მიერ, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ხელმძღვანელობამ შეაფასა ეკონომიკური კრიზისის გავლენა, არსებული და მოსალოდნელი შედეგები, რომელიც დაკავშირებულია კორონავირუსის ფართო გავრცელებასთან, მათ მიაჩნიათ, რომ მოსალოდნელ მომავალში ამ მოვლენას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის საოპერაციო საქმიანობაზე. ხელმძღვანელობისთვის ცნობილი არ არის რაიმე არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს ბანკის მიერ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ბანკის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ამავე თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია ოპერაციის დღისთვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. გადაფასების შედეგად წარმოშობილი სავალუტო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, შემდეგია:

	2020	2019	2018
1 აშშ დოლარი / ₾	3.2766	2.8677	2.6766
1 ევრო / ₾	4.0233	3.2095	3.0701
1 თურქული ლირა / ₾	0.4462	0.4821	0.5076
1 გირვანქა / ₾	4.4529	3.7593	3.3955

სამართლიანი ღირებულების დადგენა

ბანკი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.

- დონე 1 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასები აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებზეც ბანკს აქვს წვდომა გაზომვის თარიღამდე. ბანკს მხოლოდ მაშინ მიაჩნია ბაზარი აქტიურად თუ არსებობს სათანადო სავაჭრო საქმიანობები შესაბამისი მოცულობითა და ლიკვიდურობით იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების და როდესაც საბალანსო თარიღისთვის ხელმისაწვდომია სავალდებულო და გამოყენებადი ფასების კვოტები. მონაცემები რომლებიც გამოყენებულ იქნა შეფასებაში არის დაუკორექტირებელი კოტირებული ფასი, აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებსაც ბანკს აქვს წვდომა გაზომვის თარიღთან. ბანკი აქტიურად მიიჩნევს ბაზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი სავაჭრო საქმიანობა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოცულობისა და ლიკვიდურობის თვალსაზრისით და როდესაც არსებობს ბალანსის თარიღის სავალდებულო და განხორციელებადი ფასები.

- დონე 2 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები და რომლებიც არის არსებითი, გამომდინარეობს უშუალოდ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ასეთი საშუალებები მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის მრუდი, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედი. გარდა ამისა, კორექტირებები შეიძლება იყოს საჭირო აქტივის მდგომარეობის ან ადგილმდებარეობის ან იმ მოცულობასთან მიმართებაში, რომელიც მას მიესადაგება შეფასებულ ინსტრუმენტთან. თუმცა, თუ ასეთი შესწორება ეფუძნება არასაბაზრო მონაცემებს, რომლებიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის, მაშინ ბანკი ამ ინსტრუმენტს დააკლასიფიცირებს როგორც მესამე დონისას. ეს არის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება შესაფასებლად და არის მნიშვნელოვანი, გამომდინარეობს პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია მეთლი ინსტუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. ასეთი ინფორმაცია მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთების შემოსავლიანობის მრუდები, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედები. გარდა ამისა, კორექტირება შეიძლება საჭირო იყოს აქტივის მდგომარეობის ან ადგილმდებარეობის ან იმ ზომასთან მიმართებაში, რომელიც მას ეხება იმ შესაფერის ინსტრუმენტთან შედარებით. ამასთან, თუკი ამგვარი ცვლილებები დაფუძნებულია არაემპირიული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი გაზომვისთვის, ბანკი ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტებს, როგორც მე -3 დონეს.

- დონე 3 ფინანსური ინსტრუმენტები - ისინი რომლებიც მოიცავნ ერთს ან მეტ არასაბაზისო მონაცემებს რომელიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის.

ბანკი პერიოდულად განიხილავს შეფასების ტექნიკას, მათ შორის მიღებული მეთოდოლოგიისა და მოდელის კალიბრაციის ჩათვლით. ამასთან, საბაზო მოდელებმა შეიძლება სრულად ვერ დაფაროს ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების შესაბამისი ფაქტორები, როგორიცაა საკრედიტო რისკი (CVA), საკუთარი საკრედიტო (DVA) ან / და დაფინანსების ხარჯები (FVA). შესაბამისად, ბანკი იყენებს სხვადასხვა ტექნიკას.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის დადგენა, რომლებიც იზომება სამართლიანი ღირებულებით, მოიცავს პორტფელზე დაფუძნებულ მიდგომას რომელიც გამოიანგარიშება მოსალოდნელი ნეტო თანხით ინდივიდუალური აქტივების მთელი სასიცოცხლი ვადის განმავლობაში, თითოეული კონტრაქტით, იმისათვის, რათა ასახოს ცალკეული კონტრაგენტების საკრედიტო რისკი არაუზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ბანკი აფასებს თითოეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დონეებს სათითაოდ ინსტრუმენტების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინსტრუმენტების ხელახალ კლასიფიკაციას, საანგარიშო პერიოდის ბოლოს

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამყარებულ ფაქტებზე დაყრდნობით.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ბანკში და შემოსავლი საიმედოდ გაიზომება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი სპეციალური კრიტერიუმებს:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯები

ფასს 9-ის თანახმად, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი პროცენტიანი ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც იზომება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასს 9-ით, ასევე აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პროცენტის ხარჯი ასევე გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ამორტიზებული ღირებულებით აღებული ყველა ფინანსური ვალდებულებისთვის. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც დისკონტირებულია მომავალი ფულადი ნაკადებით ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიანი საანგარიშო ღირებულების მიმართ.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) გამოითვლება გარიგების ხარჯების და ნებისმიერი დისკონტის ან პრემიუმის გათვალისწინებით ფინანსური აქტივების შეძენისას, აგრეთვე ღირებულება და ხარჯები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ბანკი აღიარებს პროცენტის შემოსავალს საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც წარმოადგენს სესხის სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში დაბრუნების მუდმივი კურსის საუკეთესო შეფასებას. აქედან გამომდინარე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება ასევე იღებს მონაწილეობას პოტენციურად განსხვავებული საპროცენტო განაკვეთებზე, რომლებიც შეიძლება დაერიცხოს ფინანსური აქტივის მოსალოდნელ სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სხვა მახასიათებლებზე (მათ შორის, წინასწარ შეფარდება, ჯარიმის პროცენტები და გადასახადები).

თუ ფიქსირებული განაკვეთის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების ფულადი ნაკადების მოლოდინები გადაიხედება მიზეზთა გამო, საკრედიტო რისკის გარდა, შესაბამისად ცვლილებები მომავალი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა დისკონტირედება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით კორექტირებით საბალანსო ღირებულებაზე. სხვაობები გასულ საბალანსო ღირებულებიდან აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საანგარიშო ღირებულების დადებითი ან უარყოფითი შეცვლა ბალანსზე, პროცენტული შემოსავლის / ხარჯის შესაბამისი ზრდით ან შემცირებით, რომელიც გამოითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდით.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ბანკი ითვლის საპროცენტო შემოსავალს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ ფინანსური აქტივები გაჯანსაღდება და აღარ არის საკრედიტო გაუფასურება, ბანკი აბრუნებს პროცენტის შემოსავლის გაანგარიშებას მთლიანი საფუძველზე.

შესყიდვისას ან წარმოქმინსას გაუფასურებული ფინანსური აქტივისთვის, ბანკი საპროცენტო შემოსავალს ითვლის კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით და გამოიყენებს აღნიშნულ განაკვეთს აქტივის ამორტიზებისთვის. კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც საწყისი აღიარებისას ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (შეიცავს საკრედიტო ზარალს) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ბანკი იღებს მოსაკრებელს და საკომისიო შემოსავალს ფინანსური მომსახურების მრავალფეროვანი ასორტიმენტიდან, რომელიც ის სთავაზობს თავის მომხმარებელს.

მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც ბანკი მოელის მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

- *სამოკისიო შემოსავალი მიღებული განხორციელებული მომსახურებიდა პერიოდის განმავლობაში*

გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომსახურების გაწევისთვის მიღებული მომსახურების საფასური დარიცხულია ამ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შერსულდება ვალდებულება. სესხის გაცემის საკომისიო,

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სესხის მომსახურე მოსაკრებლები და სხვა გადასახადები, რომლებიც ითვლება სესხის მთლიანი მომგებიანობის განუყოფელ ნაწილთან, გარიგების თანხებთან დაკავშირებულ ხარჯებთან ერთად, გადავადებულია და ამორტიზირდება პროცენტის შემოსავლისათვის, ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში, ეფექტური პროცენტის გამოყენებით.

- *საკომისიო შემოსავალი მიღებული როდის გარკვეულ მომენტში*

სხვა საფასური, საკომისიო და სხვა შემოსავლისა და ხარჯების საგნები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესაბამისი მომსახურების მიწოდება ხდება. თითოეული ოპერაცია განიხილება, როგორც ცალკეული შესრულების ვალდებულება.

საპენსიო და სხვა სარგებლიანი ვალდებულებები

ბანკს არ აქვს საპენსიო შეთანხმებები, რომლებიც განცალკევებულია საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემისგან. ამასთან, ბანკს არ აქვს შემდგომი საპენსიო სარგებელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღრიცხულია როგორც FVPL, საოპერაციო დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ ღირებულებას. განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები.

ბანკი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი თავისი წარმოებული და სავაჭრო ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ბანკმა შეიძლება ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ისინი ვაჭრობისთვისაა გამიზნული, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (SPPI).

კორპორაციული ობლიგაციები წარმოადგენს იურიდიული პირების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომელთა ფლობასაც ბანკი აპირებს დაფარვის ვადამდე. კორპორაციული ობლიგაციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მათი აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მომხმარებლებზე გაცემული სესხების ნაწილში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი თავის ბიზნესმოდელს იმ დონეზე განსაზღვრავს, რომ საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს თავისი ბიზნესამოცანების მისაღწევად.

ბანკის ბიზნესმოდელი თითოეული ინსტრუმენტისთვის კი არ ფასდება, არამედ უფრო მაღალ, აგრეგირებული პორტფელების დონეზე და ეყრდნობა ისეთ დაკვირვებად (ემპირიულ) ფაქტორებს, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებული ფინანსური აქტივების შეფასება და ანგარიშგება საწარმოს ხელმძღვანელობის ზედა რგოლისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებს ბიზნესმოდელის ეფექტურობაზე (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებულ ფინანსურ აქტივებზე) და, კერძოდ, როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება ეყრდნობა თუ არა მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან ამოღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ბანკის შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტებია ასევე გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ოდენობა და დრო.

ბიზნესმოდელის შეფასება ეყრდნობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ბანკის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ბანკი ამ ბიზნეს მოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპზე ბანკი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები საკრედიტო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არის ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება და საკრედიტო რისკი. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად ბანკი ეყრდნობა განსჯას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

პრემია და დისკონტი, თავდაპირველი გარიგების დანახარჯების ჩათვლით, აისახება შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ინსტრუმენტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, გამოკლებული ძირითადი თანხის შენატანები, დამატებული ან გამოკლებული აღიარებულ თავდაპირველ თანხასა და ვადის ბოლოს არსებულ თანხას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაგროვილი ამორტიზაცია, გამოკლებული ნებისმიერი შემცირება, რომელიც ეხება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებს, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბანკი იყენებს ფასს 9-ით განსაზღვრულ ახალ კატეგორიას სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც დაკმაყოფილებულია ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებოფულადი ნაკადების მიღებით და ფინანსური აქტივების გაყიდვით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ასახვით, შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებაში შესული ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. აღიარების შეწყვეტისას სხვა სრულ შემოსავალში ასახული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი სხვა სრული შემოსავლიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმ სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, არ ამცირებს ამ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც რჩება სამართლიანი ღირებულებით. ამის ნაცვლად, რეზერვის ოდენობის თანხა, რომელიც წარმოიშობოდა, აქტივები ამორტიზებული ღირებულებით რომ შეფასებულია, აისახება სხვა სრულ შემოსავალში, როგორც დაგროვილი გაუფასურების თანხა, შესაბამისი დარიცხვით მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ზარალის გადატანა ხდება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

ფინანსური გარანტიები და სესხების გაცემის ვალდებულებები

ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს და სესხების გაცემის ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიღებულ პრემიას.თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება შემდეგ ორ მაჩვენებელს შორის უმეტესით: თავდაპირველად აღიარებული თანხა, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს 9-ის მიხედვით.

სესხების გაცემის ვალდებულებები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა მიხედვითაც, ნაკისრი ვალდებულების ვადის განმავლობაში ბანკს ევალება სესხის გაცემა მომხმარებლისთვის წინასწარ დადგენილი პირობებით. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების მსგავსი ეს კონტრაქტები მოიცავს ECL მოთხოვნებს.

შემდგომი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი

ბანკი არ ახდენს თავისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არასდროს ხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისადმი ეტაპობრივი მიდგომა

ფასს 9-მ შემოიღო სამეტაპიანი მიდგომა შექმნის ან შესყიდვის თარიღისთვის მოქმედი(შემოსავლიანი) ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისადმი. ეს მიდგომა შემდეგი სამი ეტაპისგან შედგება:

- პირველი ეტაპი: ბანკი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს იმ ოდენობით, რომ გაუტოლდეს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს ზარალი არის აქტივის არსებობის განმავლობაში დეფოლტის შემთხვევების გამო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში იმ დაშვებით, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი. 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი ვადის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენება დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადას.
- მეორე ეტაპი: იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი ამ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაზრდილად ითვლება, ბანკი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. ამისათვის საჭიროა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა აქტივის მთელი არსებობის განმავლობაში დეფოლტის ალბათობაზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის ალბათობას. საკრედიტო ზარალის რეზერვი ამ ეტაპზე უფრო მაღალია საკრედიტო რისკის ზრდის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ უფრო გრძელვადიანი პერიოდია გასათვალისწინებელი პირველი ეტაპის 12-თვიან პერიოდთან შედარებით. ფინანსური ინსტრუმენტები მეორე ეტაპზე ჯერ არ ითვლება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად;
- მესამე ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტები საკრედიტო რისკით უფასურდება, ისინი გადაინაცვლებს მესამე ეტაპზე. ბანკი ზარალის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალის ოდენობით, რაც ასახავს ამ საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის 100%-იან ალბათობას.

ფინანსური ინსტრუმენტები ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნის გათვალისწინებით კლასიფიცირდება ზემოთ აღნიშნულ სამ ეტაპიანი მოდელის შესაბამისად.

ფასს-9-ის ძირითადი პრინციპები და შეფასებები მოცემულია შენიშვნა 4-ში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებას და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ეკვივალენტებში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით

სახსრები სხვა ბანკებში

სახსრები სხვა ბანკებში აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი წინასწარ გასცემს თანხას კონტრაგენტ ბანკზე. სახსრები სხვა ბანკებში თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით (AC) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით როდესაც: მათი აღიარება ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით და ფულადი სახსრები წარმოადგენს SPPI_ს, და ისინი არ არიან აღიარებული როგორც FVTPL. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით (FV). ბანკებიდან გამოყოფილი თანხები აღირიცხება გაუფასურების ზარალის ანაზღაურებისთვის.

სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს სახელმწიფო ობლიგაციებს. ბანკი აკლასიფიცირებს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს როგორც AC-ს ან FVOCI-ს. ფასიანი ქაღალდები აღირიცხება AC-ში, თუ ისინი ინახება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის და გასაყიდად, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და თუ ისინი არ არის მითითებული FVTPL-ში. ფასიანი ქაღალდები აღირიცხება FVOCI-ში, თუ ისინი ინახება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის და გასაყიდად, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და თუ ისინი არ არის აღრიცხული FVTPL-ში. ამ აქტივებიდან პროცენტის შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ყველა სხვა ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში აღირიცხება OCI-ში. როდესაც ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება, OCI– ში ადრე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი კლასიფიცირდება OCI-დან მოგება-ზარალის უწყისში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში ბანკი ახორციელებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებს, მათ შორის ფორვარდებს, სვოპებსა და ოფციონებს სავალუტო და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები ფლობილია სავაჭროდ და აისახება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან საკურსო სხვაობიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში, ინსტრუმენტის ხასიათიდან გამომდინარე.

სესხები სუბორდინირებული (დაქვემდებარებულ) ვალის ჩათვლით

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება როგორც ვალდებულებები, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით ბანკს აქვს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მფლობელისათვის გადაცემის ვალდებულება, ან ვალდებულება რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, გარდა ფულადი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გაცვლით, საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების გარკვეული რაოდენობისთვის. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავს საკრედიტო ინსტიტუტების გამოვლენილ თანხებს, მომხმარებლისთვის გამოყოფილ თანხებს, გაცემულ დავალიანებას და დაქვემდებარებულ დავალიანებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება სესხების ჩამოწერა და აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში. თუ ბანკი ყიდულობს საკუთარ დავალიანებას, იგი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სახსრები მომხმარებლების წინაშე

კლიენტების მიმართ თანხები წარმოადგენს არასამთავრობო დერივატიულ ვალდებულებებს ფიზიკური პირების ან კორპორატიული მომხმარებლების მიმართ და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი მაშინ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან როდესაც იგი გადასცემს ფინანსურ აქტივს ისეთ გარიგებაში, რომლის პირობებითაც ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაიცემა ან რომელშიც ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ჩამოწერები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკმა შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდეგ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. ყოველგვარი შემდგომი ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

როდესაც სესხი ვადაგადაცილებული ხდება, იწყება პრობლემური სესხის ამოღების პროცესი. სესხი გადაეცემა პრობლემური აქტივების მმართველს, რომელიც ცდილობს მსესხებელთან დაკავშირებას და სესხის დაფარვის გზების ძიებას. თუ ეს შედეგს არ გამოიღებს 90 დღეში, იწყება სასამართლო პროცესი, რომელიც შეიძლება 3-4 წლის განმავლობაში გაგრძელდეს, ყველა ეტაპის გათვალისწინებით.

ხელმღვანელობას მიაჩნია, რომ დაახლოებით ოთხი წელია საჭირო, რათა დაასკვნას, რომ აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს და აქტივი უნდა ჩამოიწეროს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულება გასტუმრებულია, გაუქმებული ან მისი ვადა ამოწურულია.იმ შემთხვევაში, თუ არსებული ფინანსური ვალდებულება შეცვლის იმავე კრედიტორის განსხვავებული პრიობის მქონე ვალდებულებას, ან არსებითად შეიცვლება ვალდებულების პირობები,ასეთი შეცვლა ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება და შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგადაფარვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- დეფოლტის შემთხვევაში; და
- კომპანიის და ყველა კონტრაჰენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკი სამომავლო პერსპექტივით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს - სესხის ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით და სხვა მთლიანი შემოსავლის სამართლიანი ღირებულებით და სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებისათვის წარმოქმნილ დაყოვნებებს. ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გავლენას ახდენს: ა) მიუკერძოებელ და ალბათობის ხარისხით შეწონილ თანხაზე, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი ხდომილობითი მოვლენების შეფასებით, ბ) ფულის დროითი ღირებულებაზე, გ) ყველა გონივრულ და საჭირო ინფორმაციაზე, რომელიც ზედმეტი ხარჯისა და ძალისხმევის გარეშე არის ხელმისაწვდომი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის წარსულ მოვლენებზე, მიმდინარე პირობებზე და სამომავლო პირობების პროგნოზირებაზე.

ბანკი გაუფასურების მიზნით იყენებს სამ დონის მოდელს, რომელიც დაფუძნებულია საკრედიტო ხარისხის ცვლილებებზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- ეტაპი 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული თავდაპირველი აღიარების დროს, კლასიფიცირდება როგორც ეტაპი 1. ეტაპი 1 ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკირედიტო ზარალი იზომება მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილის ტოლი თანხის ოდენობით, რაც გამოწვეულია ნაგულისხმევი მოვლენების შემდეგ მომდევნო პერიოდში. 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, თუ უფრო მოკლეა („12 თვაინი ზაკრედიტო ზარალი“). `
- ეტაპი 2: თუ ბანკი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდას (”SICR”) თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი გადადის მე -2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა აღარ შეიმჩნევა, ინსტრუმენტი გადავა I ეტაპზე.
- ეტაპი 3: გაუფასურებული ფინანსური აქტივები გადადის მე -3 დონეზე და აღიარდება გაუფასურებულად სიცოცხლის განმავლობაში ECL. ბანკის მიერ გაუფასურებული ფინანსური აქტივების განმარტება და დეფოლტის განმარტება ემყარება ერთი ან მეტი ზარალის მოვლენას. ECL– ს ცვლილება აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი შემწეობით, რომელიც აისახება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირებაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აღწერილია 22-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
აქტივის გამოყენების უფლება	იჯარის ვადა

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ცვეთა ხდება იჯარის ვადასა და მისი სასარგებლო გამოყენების ვადას შორის უმცირეს ვადაზე.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით)

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა. ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით, და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად.

ამორტიზაცია მოგებასა და ზარალს ერიცხება წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ექვსიდან შვიდ წლამდე მერყეობს.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზღვრული ხარჯების აღიარება ხდება საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით

დივიდენდები

ბანკის მიერ დივიდენდების გამოცხადება და გადახდა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმატიულ აქტებს.

ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნებით იმ პერიოდისთვის, რომელშიც ეს დივიდენდები გამოცხადდა. დივიდენდები აღრიცხულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღის დადგომისას. დივიდენდების ასახვა ანგარიშგებაში ხდება იმ შემთხვევაში თუ, ის გამოცხადებულია საანგარიშო პერიოდამდე, ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ფინანსური ანგარიშგების გამოცემისა.

იჯარები

ბანკი აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულებას, არის თუ არა ხელშეკრულება, იჯარა. ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში, განსახილველად სანაცვლოდ. ბანკი მიმართავს ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მცირე ღირებულების და მოკლევადიანი აიჯარებისა.ბანკი აღიარებს საიჯარო

ვალდებულებებს რათა მოახდინოს იჯარის გადასახდები და აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც წარმოადგენს ინდეტიფიცირებული აქტივზე უფლებას.

აქტივის გამოყენების უფლება

ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის დაწყების პერიოდში. აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, გამოკლებული აკუმლირებული ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით, და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულებების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებას, გაწეულ თავდაპირველ დანახარჯებს და საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის მიღებული წამახალისრებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, საიჯარო აქტივის სასიცოცხლო პერიოდსა და იჯარის ვადას შორის უმცირესით. იგი აგრეთვე ექვემდებარება გაუფასურებას.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღით, ბანკი აღიარებს საიაჯრო ვალდებულებას რომლებიც იზომება საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებაში, რომელთა გადახადა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში.საიჯაორ გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს და თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.საიჯაორ გადახდები

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აგრეთვე მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად საწრმუნოა, რომ ბანკი გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ბანკის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩვანის გამოყენების უფლების გამოყენებას. იჯარის გადახდების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებისას, ბანკის იყენებს ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების პერიოდისთვის, რადგან იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია.

საიჯარო ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულება ხელახლა იზომება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ცვლილება, საიჯარო ვადის შეცვლა, იჯარის გადახდების შეცვლა ან ძირითადი აქტივის შესაძენად ოფციონის შეფასების შეცვლა.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების იჯარები

ბანკი იყენებს აღიარების გამონაკლისებს, როგორიც არის იდენტიფიცირებული აქტივის დაბალი ღირებულებას ბანკომატების განთავსებისათვის გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის. საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯებში წრფივი მეთოდით საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, გარდა გადავადებული გადასახადებისა, შეფასებულია თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაუფასურებაზე.არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მეტია მის სამართლიან ღირებულებაზე შემცირებული გაყიდვების დანახარჯებით.

გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადები შეფასებული არის ისეთი აქტივისთვის, რომელიც არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას, რომელიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან, ანაზღაურებადი თანხა განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულით, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან მისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებულ რაოდენობას.

გაუფასურების ზარალი დაკავშირებული არა-ფინანსური აქტივებიდან აღიარდება მოგება ზარალში და შემორუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხადა ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების განსაზღვაში ცვლილებები.გაუფასურების ზარალის შემობუნება ხდება მხოლოდ თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება აღრიცხვის ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა, ამორტიზაციის ან ამორტიზაციის გარეშე, თუ არ იქნა აღიარებული გაუფასურების ზარალი.

საკრედიტო საშუალებები

ბანკი იყენებს გირავნობას, ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკების შესამცირებლად. გირავნობა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, როგორებიცაა: ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, აკრედიტივები / გარანტიები, უძრავი ქონება, მისაღები მოთხოვნები. უზრუნველყოფაში განთავსებული აქტივი, თუ ჩამორთმეული არ არის, არ აღირიცხება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფულადი ნაკადების შემოდინება, რომლებიც განპირობებულია საკრედიტო ფინანსური აქტივების ზრდიდან, და რომელთა აღრიცხვა არ ხდება ფასს სტანდარტებისაგან განცალკევებით, გირავნობა განიხილება სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილად და იგი უნდა იღებდეს მონაწილეობას ECL-ის გაზომვაში და იგი უნდა ექვემდებარებოდეს ECL-ს. ამის საფუძველზე, უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივის რეალური ღირებულება გავლენას ახდენს ECL- ის გაანგარიშებაზე. გირაო ზოგადად ფასდება მინიმალური ღირებულებით დაწყებისთანავე და ხელახლა ფასდება კვარტალურად. ბანკის საკრედიტო გაუმჯობესების დეტალები წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

დასაკუთრებული ქონება

ბანკმა უნდა დაადგინოს, შეძლებს თუ არა საკუთრებაში არსებული აქტივის გამოყენებას მისი შიდა ოპერაციებისათვის, ან უნდა გაიყიდოს არსებული აქტივები. აქტივები, რომლებიც განსაზღვრულია შიდა ოპერაციებისათვის, გადადიან მათ შესაბამის აქტივთა კატეგორიაში მათი საკუთრებაში არსებული ღირებულების ან თავდაპირველი უზრუნველყოფილი აქტივის საბალანსო ღირებულების ქვედა ნაწილში. აქტივები, რომელთა გაყიდვაც უფრო სარგებლიანია, გადაეცემა გასაყიდად განთავსებულ აქტივებს მათი რეალური ღირებულებით (თუ ფინანსური აქტივები) და რეალური ღირებულების შემცირება არაფინანსური აქტივების რეალიზაციის ღირებულების შემცირებაზე, გადაცემის დღეს, ბანკის პოლიტიკის შესაბამისად .

პირობითი ვალდებულებები

იქამდე სანამ გადინება ანგარიშსწორების მიზნით არ არის მოსალოდნელი, პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშნებში, როდესაც ეკონომიკური სარგებელის შემოდინება სავარაუდოა.

დამეგვრა

მოგების გადასახადი მოცემული ფინანსურ ანგრაიშგებაში გაანდგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად მოქედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის პერიტორიაზე სადაც ბანკი მოქმედებს. მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასადხელებისგან და აღიარებულია მოგება ან ზალარში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია პირდაპირ სხავ სრულ შემოსავალში, რადგან იგი უკავშირდება გატარებებს, რომლებიც იმავე ან სხვა პერიოდში, პირდაპირ სხავ სრულ შემოსავალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება წლის დასაბეგრი შემოსვალზე, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული ან არესბითად უკე მიღებული საგადასახადო განაკვეთების საშუალებით დანგარიშებული და გასულ წლებთნ მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირებით.მიმდინარე გადასახადი ასევე მოიცავს დივიდენდებისგან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

გადავადებული მოგების გადასახადი დაანგარიშებულია ფინანსური მდგომაროების ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, საგადასახდო ზარალის და დროებითი სხვაობებით, რომელიც წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და მათ სააღრიცხვო ღირებულებებს შორის ფინანსური ანგარიშების მიზნებისთვის.საწყისი აღიარების გამონაკლისების შესაბამისად, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღირიცხება თავდაპირველ აღიარებულ აქტივებსა და ვალდებულებებს ტრანსაქციებს შორის დორებით სავაობებზე, გარდა ბიზნეს კომბინაციისა, თუ გარიგება,როდესაც თავდაპირველად აღირიცხა, გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგ მოგებაზე. გადავადებული მოგების ვალდებულება არ აღირიცხება იმ დროებით სხვაბებზე,გუდვილის თავდაპირველ აღიარებასა და შემდგომი გუდვილს შორის, რომელიც არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის. გადავადებული საგადასახადო ნაშთები იზეომება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამოქმედებულ ან არსებითად ამოქმედებულ საგადასახადო განაკვეთებზე და მოსალოდენლია რომ გამოყენებულ იქნება ინ დროში, როდესად დროებითი სხვაობები შემობრუნდება და ან გამოყენებული იქნება საგადასახადო ზარალი.

საქართველოში ასეევე მოქმდებს სხვასადხვა საოპერაციო გადასახადი რომელიც აფასებს ბანკის საქმიანობას. აღნიშული გადასახადები შედის, როგორც სხვა ოპერატიული ხარჯების კომპონენტი.

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და დამატებების მიღება

ქვემოთ მოცემულია ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური, ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დღემდე. ბანკი აპირებს ამ სტანდარტების მიღებას, საჭიროების შემთხვევაში, მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები - 10% - იანი გადასახადი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისათვის

2018-დან 2020 წლამდე პერიოდში სტანდარტების გაუმჯობესების პროცესსში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 9-ის სტანდარტში. შესწორებითი განმარტებები მოიცავს საკომისიოებს, როდესაც ბანკი აფასებს საწარმოს, განსხვავდება თუ არა ახალი ან შეცვლილი ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად, საწყისი ფინანსური ვალდებულების პირობებისაგან. ეს მოსაკრებლები მოიცავს მხოლოდ მსესხებელს და გამსესხებელს შორის გადახდილ ან მიღებულ გადასახადებს, მათ შორის, მსესხებლის ან გამსესხებლის მიერ სხვის სახელით გადახდილ ან მიღებულ გადასახადებს. საწარმო ცვლილებას იყენებს ფინანსურ ვალდებულებებში, რომელიც შეცვლილია ან იცვლება ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ან მას შემდეგ, როდესაც საწარმო პირველად იყენებს ცვლილებას.

შესწორება ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართული ადრე მიღება. ბანკი შეიტანს ცვლილებებს ფინანსურ ვალდებულებებში, რომლებიც შეიცვალა ან შეიცვლება წლიური პერიოდის დასაწყისში ან მას შემდეგ, როდესაც ის პირველად გამოიყენებს შესწორებას და არ ელოდება, რომ ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან რომ მოახდინოს შეფასებები და დაშვებები და ვარაუდები რომელიც გავლენას მოახდენს რეპორტირებულ შემოსავალზე, ხარჯებზე, აქტივებზე და ვალდებულებებზე და თანხმლებ განმარტებით შენიშვნებზე, აგრეთვე პირობითი ვალდებულებების

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განმარტებით შენიშვნებზე. აღნიშნული ვარაუდებისა და შეფასებების გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგი, რომლითაც საჭიროა მომავალი პერიოდების განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების მატერიალური კორექტირება. ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ფინანსური ანგარიშგების თარირისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი შეფასებები და დაშვებები დაკავშირებული მომავალთან და სხვა შეფასების ძირითადი წყაროების განუსაზღვრელობასთან, რომლებსაც აქვს მნიშვნელოვანი რისკი რომ გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე არსებითი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავობაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელლვანი ზრდა

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის განსაზღრული ტერმინი ფასს-9 ის მიხედვით, და განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, მათი გამოცდილებისა და განსჯის საფუძველზე. შეფასებისას მნიშნვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი თუ არა, ბანკმა დაადგინა თვისობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები, დაფუძნებული სხვადასხავ ფაქტორების ჰოლისტიკური ანალიზით, მათ შორის კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ან მსესხებლისთვის. ბანკმა ჩამოაყალიბა ზოგადი საანგარიშო ღონისძიებები ინდივიდუალურად მნიშნვნელოვანი და კოლექტრიურად შეფასებული სესხებისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს მიუკერძოებელ, ალბათობით შეწონილ შეფასებას, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ძირითად ფაქტორებს: დეფოლტის ალბათობა, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება და დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში, რაც უფრო დაწვრილებით ქვემოთაა განმარტებული:

დეფოლტის ალბათობის შეფასება: ბანკი დეფოლტის ალბათობას აფასებს სარეიტინგო მოდელის კლასიფიკაციის შედეგებისა და მიგრაციის მატრიცების მიდგომის ერთობლიობაზე დაყრდნობით, რაც კორექტირდება მაკროეკონომიკური მოლოდინების მიხედვით ყველა პორტფელისთვის, რათა წარმოადგენდეს დეფოლტის ალბათობის პარამეტრების საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) შეფასებებს. დგება პროგნოზირებული პირობითი დეფოლტის ალბათობის მიგრაციის მატრიცები, საიდანაც გამოითვლება არაპირობითი ზღვრული დეფოლტის ალბათობები, რომლებიც შემდეგ კორექტირდება პორტფელში ამა თუ იმ ინსტრუმენტის ვადის მიხედვით. მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის ალბათობა 100%-ად მიიჩნევა.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება: დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური აქტივის არსებობის განმავლობაში პოტენციური დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. იგი წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ ფულად ნაკადებს, ძირითადი თანხის, პროცენტის და ჯარიმების მოსალოდნელი გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. პირველი ეტაპისთვის EAD გამოითვლება როგორც ყოველთვიური საშუალო გადასახდელი სესხების დასაფარად და საბალანსო ვალდებულებები, CCF– ს და ფულადი სახსრების დაფარვის გათვალისწინებით, საანგარიშო თარიღიდან 12 თვის ბოლოს. 2 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, EAD გამოითვლება თითოეული სახელშეკრულებო დარჩენილი წლისთვის. EAD თითოეული წლისთვის შეფასებულია, როგორც გაურკვეველი თანხა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მინუს წლიური ძირითადი დაფარვების გამოკლებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არსებული თანხა გამოითვლება CCF და ფულადი სახსრების გათვალისწინებით. 3 ეტაპისთვის, EAD გამოითვლება, როგორც ინსტრუმენტის შესანიშნავი თანხა, საანგარიშო თარიღით CCF და ფულადი დაფარვის თანხების გათვალისწინებით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში: დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში განიმარტება, როგორც კონტრაჰენტის მხრიდან გადაუხდელობის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგი. იგი წარმოადგენს დავალიანების შეფასებას, რომლის ამოღებაც ვერ მოხერხდება დეფოლტის შემთხვევის გამო და ამიტომ თვალსაჩინოდ ასახავს დანაკარგების სერიოზულობას. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში სტატისტიკურად გამოითვლება სესხის ამოღების ისტორიული მონაცემების საფუძველზე და ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებზე განცდილ ისტორიულ დანაკარგებს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გამოთვლაში უკიდურესი (ამოვარდნილი) სტატისტიკური მონაცემები არ მონაწილეობს. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში: დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოადგენს დავალიანების იმ პროცენტულ წილს, რომლის ამოღებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის საგნის ლიკვიდაციით ამ დავალიანების დეფოლტის შემთხვევაში. ლიკვიდაციის შემთხვევაში დანაკარგების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც კორექტირდება უზრუნველყოფისთვის

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გამოყენებული უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის დროის, უძრავი ქონების ფასის ინდექსის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და უზრუნველყოფის საგნების გაყიდვებიდან მოსალოდნელი შემოსავლის კოეფიციენტის მიხედვით. არაუზრუნველყოფილი დავალიანებების შემთხვევაში, დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში განისაზღვრება 100%-ით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვის მეთოდოლოგია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შეიტანა გარკვეული ცვლილებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში, მიმდინარე COVID-19 პანდემიის ფონზე. კერძოდ, მასში შესწორებულია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ინდიკატორები და ავტომატურად არ თვლის, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუკი სესხის მოდიფიკაცია მთავრობის მხარდაჭერის ღონისძიებების ნაწილია. ბანკმა ასევე განაახლა მომავალი ინფორმაცია, მათ შორის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და სცენარების წონის პროგნოზები.

მაკროეკონომიკური სცენარი

ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის შემცველობა დაფუძნებულია გონივრული და დამხმარე პერსპექტიული ინფორმაციის მიღებით, რომელიც მიიღება ძალისხმევის ზედმეტი ხარჯების გარეშე, რომელიც ითვალისწინებს წარსულის მოვლენებს, მიმდინარე პირობებს და მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზებს.

ბანკის მიერ საკრედიტო ზარალის ანაზღაურებაზე საპროგნოზო ინფორმაციის ჩასართავად, ბანკი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. ამ პროგნოზებით გათვალისწინებული მაკროეკონომიკური ცვლადები, რომლებიც ბანკმა ჩართო ECL– ის შეფასების მოდელში, მოიცავს მშპ – ს ზრდას, გაცვლითი კურსისა და უმუშევრობის დონეს.. ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად საჭიროა მთელი რიგი სამომავლო ეკონომიკური პირობის შეფასება. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის სამ სხვადასხვა ეკონომიკურ სცენარს მიმართავს: ოპტიმისტურს (0.25-იანი წონა), საბაზისო (0.50-იანი წონა) და პესიმისტურს (0.25-იანი წონა) თითოეული შესაბამისი პორტფელისთვის. თითოეული სცენარისთვის წონა გამოითვლება ალბათური ეკონომიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს უახლეს ინფორმაციას და საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებულ ისტორიულ მონაცემებს.

მოგების გადასახადი

ბანკი ექვემდებარება მოგების გადასახადს და მნიშვნელოვანი განხილვაა საჭირო მოგების გადასახადის განაწილების დადგენისას. ჩვეულებრივი საქმიანობის განმავლობაში არსებობს გარიგებები და გამოთვლები, რომლებისთვისაც საბოლოო გადასახადის განსაზღვრა გაურკვეველია. შედეგად, ბანკი აღიარებს საგადასახადო დავალიანებას იმის საფუძველზე, თუ რამდენად გამოიწვევს დამატებით გადასახადებს და პროცენტებს. ეს საგადასახადო დავალიანება აღიარებულია მაშინ, როდესაც მიუხედავად ბანკის რწმენისა, რომ მისი საგადასახადო მდგომარეობა მოწესრიგებულია, ბანკი თვლის რომ სავარაუდოდ, გარკვეული საკითხები მაინც გახდება სადავო საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვის დროს.

5 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ბანკის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი არის შემდეგი:

	2020	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი			
ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**17,230**	14,207	12,213
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**503**	1,163	811
სხვა სრული შემოსავლები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**1,655**	1,633	1,648
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	**19,388**	17,003	14,672
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	**(2,663)**	(2,301)	(1,838)
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	**(910)**	(1,306)	(3,356)
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	**(630)**	(935)	(1,090)
საპროცენტო ხარჯი	**(4,203)**	(4,542)	(6,284)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**15,185**	12,461	8,388

6 წმინდა საკომისიო შემოსავალი

ბანკის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები არის შემდეგი:

	2020	2019	2018
საკომისიო შემოსავალი			
საკომისიო გარანტიებიდან	**2,189**	1,706	596
საანგარიშსწორებო ოპერაციები	**366**	341	506
საბარათე ოპერაციები	**270**	438	306
სხვა ოპერაციები	**21**	74	49
სულ საკომისიო შემოსავალი	**2,846**	2,559	1,457
საკომისიო ხარჯი			
საბარათე ოპერაციები	**(685)**	(757)	(851)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	**(294)**	(312)	(437)
სხვა ოპერაციები	**(76)**	(80)	(78)
სულ საკომისიო ხარჯი	**(1,055)**	(1,149)	(1,366)
სულ წმინდა საკომისიო მოგება	**1,791**	1,410	91

ბანკი იყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას ფასს 15-ის 121-ე პარაგრაფის შესაბამისად და არ ასახავს განმარტებით შენიშვნაში ინფორმაციას დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებზე, რომლებსაც აქვს საწყისი მოსალოდნელი ხანგრძლივობა ერთი წლის ან ნაკლები ვადით.

7 საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ აქტივებზე

ქვემოთ მითითებული ცხრილი ასახავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯს (ცვლილებას) ფინანსურ ინტსრუმენტებზე ასახული 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება:

	შენიშვნები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ფული და ფულადი ექვივალენტები	11	-	-	-	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	12	-	-	-	**-**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	14	366	9	(137)	**238**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	15	(82)	-	-	**(82)**
ფინანსური გარანტიები		98	-	-	**98**
სულ საკრედიტო ზარალი		**382**	**9**	**(137)**	**254**

7 საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ აქტივებზე (გაგრძელება)

ქვემოთ მითითებული ცხრილი ასახავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯს (ცვლილებას) ფინანსურ ინტრუმენტებზე ასახული 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ფული და ფულადი ექვივალენტები	-	-	-	**-**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1	-	-	**1**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	24	(48)	59	**35**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	115	-	-	**115**
ფინანსური გარანტიები	59	-	-	**59**
სულ საკრედიტო ზარალი	**199**	**(48)**	**59**	**210**

ქვემოთ მითითებული ცხრილი ასახავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯს ფინანსურ ინტრუმენტებზე ასახული 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მოგება-ზარალის:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	-	-	**1**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2	-	-	**2**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	(237)	6	(200)	**(431)**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	(3)	-	-	**3**
ფინანსური გარანტიები	(18)	-	-	**(18)**
სულ საკრედიტო ზარალის შემობრუნება	**(249)**	**6**	**(200)**	**(443)**

8 პერსონალის ხარჯი

ბანკის პერსონალის ხარჯები არის შემდეგი:

	2020	2019	2018
ხელფასები და პრემიები	**4,558**	4,202	4,109
სხვა საკომპენსაციო თანხები	**292**	353	526
	4,850	4,555	4,635

2020 წელს ბანკში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა იყო 64 (2019: 68; 2018: 66).

9 სხვა ხარჯები

ბანკის სხვა ხარჯები არის შემდეგი:

	2020	**2019**	**2018**
ცვეთა და ამორტიზაცია **(შენიშვნა 16)**	**1,269**	1,286	805
როიალტი	**549**	92	72
პროფესიული მომსახურების ხარჯები	**114**	158	146
დაზღვევის ხარჯები	**112**	10	10
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	**94**	134	-
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	**81**	49	45
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურება	**53**	46	53
კომუნალური ხარჯები	**46**	46	49
წარმომადგენლობითი ხარჯი	**32**	75	95
მოგზაურობის ხარჯები	**30**	113	86
დაბალი ღირებულების აქტივების იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	**14**	17	-
საოფისე მარაგები	**10**	16	14
გადასახადები, მოგების გადასახადი გარდა	**7**	10	15
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	**5**	-	6
ჯარიმების საფასური	**-**	218	-
საოპერაციო იჯარა	**-**	-	1,063
სხვა	**230**	278	349
	2,646	2,548	2,808

9 სხვა ხარჯები (გაგრძელება)

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება ბანკის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის შეადგენდა 63 ათას ლარს (2019: 75 ათასი ლარი, 2018: 90 ათასი ლაირ) (დღგ-ს გარეშე).

10 დაბეგვრა

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ხუთ მაისს ბანკებისთვის ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღმა 2023 წლის იანვრამდე გადაიწია. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ არის მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანი.

2016 წლის თავდაპირველი ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ბასს 12-ის „მოგების გადასახადების“ თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია ახალი ცვლილების მოქმედების პერიოდებში.

ბოლო ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ ბანკმა გადაიანგარიშა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისად აღიარა გადავადებული საგადასახადო ხარჯი 2020 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2020	2019	2018
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	**(218)**	(987)	(157)
გადავადებული საგადასახადო სარგებელი/(ხარჯი)			
დროებითი სხვაობების წარმოქმნისა და შემობრუნების გამო			
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალის ჩამოწერა	**(160)**	(407)	(520)
	(160)	(407)	(520)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	**(378)**	(1,394)	(677)

2020 წელს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის მოქმედი განაკვეთი იყო 15% (2019 წ.: 15%, 2018 წ.: 15%).

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2020	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	**10,053**	7,456	3,227
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შემთხვევაში (15%)	**(1,508)**	(1,119)	(484)
შემოსავალი, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება და სხვა განსხვავებები	**1,130**	712	(36)
	(378)	(407)	(520)

გადავადებული საგაგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი განსხვავებების მოძრაობები 2020 წლის 31 დეკემბრის დასასრულისათვის, 2019 და 2018 წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

10 სხვა ხარჯები (გაგრძელება)

	ნაშთი 1 იანვარი 2020	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	ნაშთი 31 დეკემბერი 2020
ძირითადი საშუალებები,არამატერიალური და გამოყენების უფლების მქონე აქტივები	(323)	24	-	(299)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(654)	(153)	-	(807)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	49	(45)	(91)	(87)
სხვა ვალდებულებები	(85)	14	-	(71)
წმინდა საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები	**(1,013)**	**(160)**	**(91)**	**(1,264)**

	ნაშთი 1 იანვარი 2019	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	ნაშთი 31 დეკემბერი 2019
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(102)	(221)	-	(323)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(581)	(73)	-	(654)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	88	(81)	42	49
სხვა ვალდებულებები	(54)	(32)	-	(85)
წმინდა საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები	**(649)**	**(407)**	**42**	**(1,013)**

	ნაშთი 1 იანვარი 2018	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	ფასს - 9 მიღება	აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში	ნაშთი 31 დეკემბერი 2018
რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ბანკის წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, შესაბამისი რისკის ლიმიტებისა და კონტროლის დადგენას, რისკების დონის მუდმივად მონიტორინგს და ლიმიტების დაცვას.რეგულარულად განიხილება რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რათა ასახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებებში და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

ხელმძღვანელობის ზოგადი პასუხისმგებლობაა რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობა, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლება, თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა და ასევ დიდი კრედიტების დამტკიცება.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის დირექტორი საკითხებში პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის წინაშეა ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე გარიგებების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების სისტემის, რისკების მართვის განყოფილების და აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ. მსგავსი კონტროლის მექანიზმები იძლევა იმის გარანტიას, რომ ბანკი მიიღებს ინფორმირებულ რისკობრივ გადაწყვეტილებებს, რომლებიც იქნება შეფასებული ადექვატურად, ბანკის დადგენილი ზღვრის მიღმა რისკების აღების თავიდან აცილების მიზნით.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა.განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას.

(a) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვალებადობა და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლები და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

ბანკი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. მათი მონიტორინგი ხდება რეგულარულად და გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. ეს რისკი შეიძლება წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობის გამო, აგრეთვე ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების მახასიათებლებით. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთების აცდენების ანალიზი

საპროცენტი განაკვეთის რისკის მართვა ძირითადად ხდება საპროცენტო განაკვეთების აცდენების მონიტორინგით. საპროცენტო პოზიციები ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შეჯამებულია ქვემოთ:

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2020 წ.						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	32,485	-	-	-	-	**32,485**
მოთხოვნების ბანკების მიმართ	9,190	-	-	-	-	**9,190**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	36,217	-	-	-	-	**36,217**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,999	-	1,490	13,549	-	**18,038**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	67,177	21,392	36,442	74,848	37,096	**236,955**
	148,068	**21,392**	**37,932**	**88,397**	**37,096**	**332,885**
ვალდებულებები						
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	90,599	40,674	5,248	-	-	**136,521**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	49,520	2,052	23,007	1,241	-	**75,820**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბოდრინირებული ვალი	-	2,613	2,548	24,027	-	**29,188**
	140,119	**45,339**	**30,803**	**25,268**	-	**241,529**
	7,949	**(23,947)**	**7,129**	**63,129**	**37,096**	**91,356**

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებუ-ლება
31 დეკემბერი, 2019 წ. აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	57,013	-	-	-	-	**57,013**
მოთხოვნების ბანკების მიმართ	-	1,627	-	-	-	**1,627**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	24,609	-	-	-	-	**24,609**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	9,613	4,961	15,991	3,139	**33,704**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	22,209	23,876	28,099	52,778	28,458	**155,420**
	103,831	**35,116**	**33,060**	**68,769**	**31,597**	**272,373**
ვალდებულებები						
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	82,763	16,146	34,747	-	-	133,656
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	25,067	3,526	6,360	1,909	-	36,862
სხვა ნასესხები სახსრები და სუბოდრინირებული ვალი	-	2,291	2,230	11,153	-	15,674
	107,830	**21,963**	**43,337**	**13,062**	**-**	**186,192**
	(3,999)	**13,153**	**(10,277)**	**55,707**	**31,597**	**86,181**

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღრებულება
31 დეკემბერი, 2018 წ. აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	38,031	-	-	-	-	38,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	4,878	73	204	-	-	5,155
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	26,567	-	-	-	-	26,567
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	6,430	13,612	5,419	25,461
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	4,654	14,197	44,471	48,700	44,449	156,471
	74,130	**14,270**	**51,105**	**62,312**	**49,868**	**251,685**
ვალდებულებები						
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	46,987	-	44,339	15,183	-	106,509
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	25,133	8,029	4,530	660	-	38,352
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	635	1,780	4,584	24,917	-	31,916
	72,755	**9,809**	**53,453**	**40,760**	**-**	**176,777**
	1,375	**4,461**	**(2,348)**	**21,552**	**49,868**	**74,908**

საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთები 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის. ეს საპროცენტო განაკვეთები მიახლოებულია ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადამდე მიღებულ შემოსავალთან.

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

	2020 საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკეთები %			2019 საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკეთები %			2018 საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკეთები %		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
პროცენტიანი აქტივები									
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7.15 %	1.25%	0%	8.8%	1.8%	1.2%	5.9%	0%	1.5%
მოთხოვნების ბანკების მიმართ	0%	4.0%	0%	0%	7%	0%	0%	6.5%	3.9%
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7.4%	6.5%	0%	8.2%	5.7%	0%	7.7%	5.7%	0%
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	11.5%	6.7%	5.5%	11.4%	7.4%	5.3%	11.7%	8.3%	5.7%
პროცენტიანი ვალდებულებები									
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	7.93%	1.36%	1.13%	0%	3.8%	0.9%	0%	4.2%	1%
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	5.14%	1.87%	0.56%	3.5%	2.9%	0.5%	8.9%	3.4%	0.6%
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	0%	4%	0%	0%	5.4%	0%	0%	6.4%	1.9%

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთების აცდენების ანალიზის საფუძველზე საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად დამატებით ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის მონიტორინგი.

წმინდა მოგების ან ზარალის და საკუთარი კაპიტალის (გადასახადების გარეშე) საპროცენტო განაკვეთების მერყეობის (გადაფასების რისკი) მიმართ მგრძნობელობის ანალიზი, 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდისა და პოზიციების 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარზე დაყრდნობით, ასეთია:

	2020	*2019*	*2018*
100 საბაზისო პუნქტით პარალელური ვარდნა	(175)	(125)	(84)
100 საბაზისო პუნქტით პარალელური ზრდა	175	125	84

საკუთარი კაპიტალის (გადასახადების გარეშე) მგრძნობელობა შემოსავლიანობის მრუდის 100 საბაზისო პუნქტით ცვილიების მიმართ 31 დეკემბრისთვის ასეთი იყო:

	2020	*2019*	*2018*
100 საბაზისო პუნქტით პარალელური ვარდნა	(149)	(106)	(72)
100 საბაზისო პუნქტით პარალელური ზრდა	149	106	72

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ბანკი მუდმივად აკონტროლებს, რომ სებ- ის სავალუტო პოზიციების ლიმიტები საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებით დაცული იყოს. ბანკს აქვს აქტივები და ვალდებულებები დასახელებული სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

	ევრო	*აშშ დოლარი*	*თურქული ლირა*	*ბრიტანული გირვანქა სტერლინგი*	*სულ*
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალტები	2,469	24,489	24	710	**27,692**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	9,121	-	-	**9,121**
სავადებულო რეზერვები სებ-ში	18,688	17,530	-	-	**36,218**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	10,553	-	-	**10,553**
მომხარებლებზე გაცემული სესხები	73,938	68,670	-	-	**142,608**
სხვა ფინანსური აქტივები	217	72	3	-	**292**
სულ აქტივები	**95,312**	**130,435**	**27**	**710**	**226,484**
ვალდებულებები					
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	90,584	40,226	-	711	**131,521**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	4,812	60,585	7	2	**65,406**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	29,188	-	-	**29,188**
სხვა ლადებულებები	6	1,054	-	-	**1,060**
სულ ვალდებლებები	**95,402**	**131,053**	**7**	**713**	**227,175**
ნეტო პოზიცია	**(90)**	**(618)**	**20**	**(3)**	**(691)**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	*აშშ დოლარი*	*თურქული ლირა*	*ბრიტანული გირვანქა სტერლინგი*	*სულ*
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	17,516	32,655	56	600	**50,827**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	1,630	-	-	**1,630**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	8,262	16,348	-	-	**24,610**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	11,836	-	-	**11,836**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	42,988	48,076	-	-	**91,064**
სხვა ფინანსური აქტივები	155	95	-	-	**250**
სულ აქტივები	**68,921**	**110,640**	**56**	**600**	**180,217**
ვალდებულებები					
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	68,605	64,453	-	598	**133,656**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	1,128	29,285	39	2	**30,454**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	15,674	-	-	**15,674**
სხვა ვალდებულებები	689	848	-	-	**1,537**
სულ ვალდებულებები	**70,422**	**110,260**	**39**	**600**	**181,321**
ნეტო პოზიცია	**(1,501)**	**380**	**17**	**-**	**(1,104)**

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	*აშშ დოლარი*	*თურქული ლირა*	*ბრიტანული გირვანქა სტერლინგი*	*სულ*
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	17,775	6,993	146	344	**25,258**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	509	4,646	-	-	**5,155**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	10,678	15,889	-	-	**26,567**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	10,440	-	-	**10,440**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	22,947	77,628	-	-	**100,575**
სხვა ფინანსური აქტივები	148	5,421	-	-	**5,569**
სულ აქტივები	**52,057**	**121,017**	**146**	**344**	**173,564**
ვალდებულებები					
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები	37,930	68,183	51	345	**106,509**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	1,112	31,658	30	-	**32,800**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	12,986	18,930	-	-	**31,916**
სხვა ვალდებულებები	4	247	-	-	**251**
სულ ვალდებულებები	**52,032**	**119,018**	**81**	**345**	**171,476**
ნეტო პოზიცია	**25**	**1,999**	**65**	**(1)**	**2,088**

ლარის გაუფასურება, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, შემდეგი ვალუტების მიმართ 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) საკუთარ კაპიტალსა და მოგებას ან ზარალს ქვემოთ მოცემული ოდენობებით. ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც ბანკის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	2020	*2019*	*2018*
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება ლარის მიმართ	**(105)**	65	340
ევროს 20%-ით გამყარება ლარის მიმართ	**(15)**	(256)	4
თურქული ლირას 20%-ით გამყარება ლარის მიმართ	**3**	3	11
გირვანქა სტერლინგის 20%-ით გამყარება ლარის მიმართ	**(1)**	-	-

ლარის გამყარებას ზემოაღნიშნული ვალუტების მიმართ 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის იგივე, მაგრამ საპირისპირო ეფექტი ექნებოდა ზემოაღნიშნულ ვალუტებში ზემოთ მოცემულ თანხებზე იმ შემთხვევაში, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივი დარჩება.

(b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ბანკს დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში), მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის წესები, და ჩამოყალიბებული აქვს საკრედიტო კომიტეტი, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი. საკრედიტო პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირისთვის ნებისმიერი სესხის გაცემამდე ბანკი მომხმარებლის ბიზნესისა და ფინანსური შედეგების კომპლექსურ შემოწმებას ატარებს.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდებობების მიღებით. ზემოაღნიშნული სესხების უზრუნველყოფის საგანს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები.საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა მნიშვნელოვანი არ არის.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ბანკმა შესაძლოა განახორციელოს გადახდები მათი სახელით.

ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება, ურთიერთგაქვითვის და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით ამ რისკების შემცირების ეფექტამდე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად.

გაუფასურების შეფასება

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

PD დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ ინსტრუმენტის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.

EAD დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა, ხელშეკრულების მიხედვით ან სხვაგვარად, კრედიტების, რომელთა გაცემის ვალდებულება ნაკისრია, მოსალოდნელი ათვისება და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხული პროცენტი.

LGD დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გარეშე. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

LGL დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოადგენს დავალიანების იმ პროცენტულ წილს, რომლის ამოღებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის საგნის ლიკვიდაციით ამ დავალიანების დეფოლტის შემთხვევაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12- თვიანი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად გამოითვლება.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2 და მე-3 ეტაპებად, ქვემოთ აღწერილი წესით:

პირველი ეტაპი: სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე ეტაპიდან.

მეორე ეტაპი: როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი სესხს მიაკუთვნებს მეორე ეტაპს და ქმნის რეზერვს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.

მესამე ეტაპი: სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა. ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული: შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

დეფოლტის განმარტება და აღმოფხვრა

ბანკი დეფოლტს განმარტავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ინსტრუმენტი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ:

- პროცენტის, ძირითადი თანხის ან საკომისიოს გადახდას მოვალე 90 დღეზე მეტი ხნით აგვიანებს; ან
- თუ მოხდა სესხის პრობლემური (იძულებითი) რესტრუქტურიზაცია, რადგან სხვა შემთხვევაში სესხი გადაუხდელი იქნებოდა; ან
- მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება ის ფაქტი, რომ დაწყებულია იძულებითი ლიკვიდაციისას გაკოტრების ან გადახდისუუნაროობის პროცედურები ან არსებობს სხვა მტკიცებულება იმისა, რომ გადახდის ვალდებულება სრულად არ შესრულდება.

როდესაც ხდება ფინანსური ინსტრუმენტის მიკუთვნება მეორე ეტაპისთვის, იგი ამ ეტაპზე რჩება შემდეგი ორი პირობის დაკმაყოფილებამდე:

1. ფინანსურმა ინსტრუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტული სესხის კატეგორიის მოთხოვნებს, რომლებიც სებ-ის მიერ არის დადგენილი;
2. უნდა შესრულდეს ვადაგადაცილების დღეების და გამოსაცდელი ვადის პირობები.

ამ ორი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება ინსტრუმენტის კლასიფიცირება პირველი ეტაპის ინსტრუმენტად.

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

სესხის სტანდარტულად კლასიფიცირება ხდება, თუ:

- გადახდები დროულად ხდება ან ვადაგადაცილებული დღეები არ აღემატება 30 დღეს;
- მსესხებლის ლიკვიდურობა, კაპიტალი და სესხის გადახდისუნარიანობა სტაბილურია;
- მსესხებელი ფინანსურად საკმარისად ძლიერია, რომ გაუმკლავდეს საშუალო დონის სტრესის შედეგებს და საკმარისი ლიკვიდურობა აქვს, რომ დაფაროს ყველა ვალდებულება.

რაც შეეხება ვადაგადაცილებულ დღეებს და გამოსაცდელ ვადას, არარესტრუქტურიზებული მეორე ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, გამოსაცდელი ვადა არის ექვსი თვე, რომლის განმავლობაშიც ინსტრუმენტი არ უნდა გახდეს 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული.

რესტრუქტურიზებული მოქმედი მეორე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტების გამოსაცდელი ვადა ერთი წელია (რომლის განმავლობაშიც იგი არ უნდა გახდეს 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული და დააკმაყოფილოს სტანდარტული სესხის კატეგორიის მოთხოვნები), რის შემდეგაც ინსტრუმენტის რეკლასიფიცირება ხდება პირველ ეტაპზე.

გამოსასწორებელი ვადა მესამე ეტაპის არარესტრუქტურიზებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ექვსი თვეა, რის შემდეგაც ხდება ამ ინსტრუმენტის კლასიფიცირება პირველ ეტაპზე, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტი არ გახდა 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული და აკმაყოფილებს სტანდარტული სესხის კატეგორიის მოთხოვნებს, ხოლო მეორე ეტაპზე კლასიფიცირდება, თუ ინსტრუმენტი გამოსასწორებელი ვადის განმავლობაში 30-90 დღით იყო ვადაგადაცილებული.

მესამე ეტაპის რესტრუქტურიზებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოსასწორებელი პერიოდი არის ექვსი თვე, რომლის შემდეგაც ამ ინსტრუმენტის კლასიფიცირება ხდება მეორე ეტაპზე (მოქმედი რესტრუქტურიზებული), თუ ინსტრუმენტი გამოსასწორებელი ვადის განმავლობაში 90 დღეზე მეტი ხნით არ იყო ვადაგადაცილებული. როგორც კი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიცირება მოქმედ რესტრუქტურიზებულ ფინანსურ ინსტრუმენტად, იწყება მისი ერთწლიანი გამოსაცდელი ვადის ათვლა, რის შემდეგაც ინსტრუმენტის კლასიფიცირება ხდება პირველ ეტაპზე, თუ ინსტრუმენტი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ ყოფილა 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული და აკმაყოფილებს სტანდარტული სესხის კატეგორიის მოთხოვნებს. თუ ინსტრუმენტი 30-90 დღით გახდება ვადაგადაცილებული, იგი დარჩება მეორე ეტაპზე. ერთწლიანი გამოსაცდელი ვადის ათვლა იწყება ბოლო თვიდან როდესაც ბოლოს მოხდა 30-90 დღით ვადაგადაცილებული ინსტრუმენტის ამოღება.

დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

საცალო და კორპორაციული სესხების პორტფელებისთვის დეფოლტის ალბათობა გამოითვლება მაკრო მოდელით, რომელიც აღწერს ურთიერთდამოკიდებულებას საცალო და კორპორატიული პორტფელების ისტორიული დეფოლტის ალბათობას და ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის, როგორიცაა რეალური მშპ-ის ზარდა, აშშ დოლარის/ლარის სავალუტო კურსი და უმუშევრობის დონე. წინასწარი შეფასებისისა და სებ-ის მიერ მოწოდებული პროგნოზირებული მაკრო ცვლადების მიხედვით ხდება საცალო და კორპორატიული პორტფელის პირობითი დეფოლტის ალბათობების განსაზღვრა. ამ მოდელის გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და სხვა მაკროეკონომიკური ცვლადები აისახება, თუ ისინი გააუმჯობესებს მოდელის განმარტებით უნარს. დგება პროგნოზირებული პირობითი დეფოლტის ალბათობის მიგრაციის მატრიცები, საიდანაც გამოითვლება არაპირობითი ზღვრული დეფოლტის ალბათობები, რომლებიც შემდეგ კორექტირდება პორტფელში ამა თუ იმ ინსტრუმენტის ვადის მიხედვით.

მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის ალბათობა 100%-ად მიიჩნევა.

იმ სესხების შემთხვევაში, რომლებზეც ბანკს აქვს თავდებობა მსესხებლის მშობელი კომპანიებისგან, ბანკი იყენებს მშობელი კომპანიების დეფოლტის ალბათობებს.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება სხვადასხვანაირად გამოითვლება პირველი, მეორე და მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება მცირდება ფულადი უზრუნველყოფის თანხებით. გარებალანსური ვალდებულებები განისაზღვრება ფულადი კონვერსიის კოეფიციენტის გამოყენებით, კერძოდ, 100%-ით კორპორატიული ვალდებულებების შემთხვევაში და 50%-ით - საცალო ვალდებულებების შემთხვევაში.პირველი ეტაპისთვის დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება გამოითვლება, როგორც სესხებისა და გარებალანსური ვალდებულებების დაუფარავი თანხების საშუალო თვიური ოდენობა, ფულადი კონვერსიის კოეფიციენტის და საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის ბოლოსთვის ფულადი უზრუნველყოფის თანხების გათვალისწინებით.

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

მეორე და მესამე ეტაპისათვის დეფოლტის მომენტისათვის დაუფარავი დავალიანება გამოითვლება, როგორც ინსტრუმენტის დაუფარავი თანხა, საანგარიშგებო პერიოდში CCF-ის გათვალისწინებით და ფულადი დაფარვის თანხებით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

კორპორატიული და საცალო სესხების აქტივების შემთხვევაში დანაკარგების ოდენობა დეფოლტის შემთხვევაში ყოველწლიურად ფასდება. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრება, როგორც კონტრაჰენტის მხრიდან არაუზრუნველყოფილი დავალიანების გადაუხდელობის შედეგად მოსალოდნელი ზარალი. იგი წარმოადგენს დავალიანების შეფასებას, რომლის ამოღებაც ვერ მოხერხდება დეფოლტის შემთხვევის გამო და ამიტომ თვალსაჩინოდ ასახავს დანაკარგების სერიოზულობას. დანაკარგების დონე დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება კორპორატიული და საცალო სესხების პორტფელებისთვის. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში სტატისტიკურად გამოითვლება სესხის ამოღების ისტორიული მონაცემების საფუძველზე და ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებზე განცდილ ისტორიულ დანაკარგებს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გამოთვლაში უკიდურესი (ამოვარდნილი) სტატისტიკური მონაცემები არ მონაწილეობს. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

დანაკარგები უზრუნველყოფის საგნების ლიკვიდაციის შემთხვევაში:

დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოადგენს დავალიანების იმ პროცენტულ წილს, რომლის ამოღებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის საგნის ლიკვიდაციით ამ დავალიანების დეფოლტის შემთხვევაში. ლიკვიდაციის შემთხვევაში დანაკარგების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც კორექტირდება უზრუნველყოფისთვის გამოყენებული უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის დროის, უძრავი ქონების ფასის ინდექსის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და უზრუნველყოფის საგნების გაყიდვებიდან მოსალოდნელი შემოსავლის კოეფიციენტის მიხედვით. არაუზრუნველყოფილი დავალიანებების შემთხვევაში, დანაკარგები ლიკვიდაციის შემთხვევაში განისაზღვრება 100%-ით.

ლიკვიდაციის შემთხვევაში დანაკარგების საშუალო კოეფიციენტები გამოითვლება უზრუნველყოფის ღირებულებასთან სესხის ფარდობის ხუთი დიაპაზონისთვის, ცალ-ცალკე საცალო და არასაცალო მსესხებლებისთვის, რომლებიც შემდეგ თითოეულ დავალიანებას მიენიჭება იმისდა მიხედვით, თუ უზრუნველყოფის ღირებულებასთან სესხის ფარდობის რომელ დიაპაზონს მიეკუთვნება ესა თუ ის დავალიანება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მუდმივად აკონტროლებს ყველა აქტივს, რომლებზეც მოსალოდნელია საკრედიტო ზარალი. საკრედიტო რისკის ზრდის მნიშვნელობისა და აგრეთვე იმის შეფასებისას, ინსტრუმენტზე 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა გამოიყენოს თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ბანკი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს ადარებს თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკთან. იმისათვის, რომ განსაზღვროს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, ბანკი მიმართავს სხვადასხვა ფაქტორის ჰოლისტიკურ ანალიზს, რომელთა შორისაც არის კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის ან მსესხებლისთვის დამახასიათებელი ფაქტორები. ანალიზის დროს ხდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გათვალისწინება ბანკის ისტორიულ გამოცდილებაზე, საკრედიტო რისკის შეფასებასა და საპროგნოზო ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე დავალიანებების შემთხვევაში, ბანკი ინდივიდუალურად აფასებს, ხომ არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ან გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, რათა აღიაროს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე დავალიანებებად მიიჩნევა ისეთი დავალიანებები ჯგუფის მიმართ, რომლებიც საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აღემატება. ბანკი კოლექტიურად აფასებს ისეთ სესხებს, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და სესხებს, რომლებიც ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ობიექტური მტკიცებულება არ არსებობს.

ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხები

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენის პროცესი ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე დავალიანებების შემთხვევაში ასევე საჭიროებს ხარისხობრივი ტესტირების ჩატარებას. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად ბანკმა დააწესა ზოგადი გამომწვევი მოვლენები ყველა ტიპის დავალიანებისთვის, კონკრეტული გამომწვევი მოვლენები არასაცალო

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

მსესხებლებისთვის და კონკრეტული გამომწვევი მოვლენები საცალო მსესხებლებისთვის. ზოგადი გამომწვევი მოვლენები, სხვებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- მსესხებლების გარკვეული ჯგუფისთვის აქტუალური მაკროეკონომიკური, მარეგულირებელი, პოლიტიკური და ტექნოლოგიური პროგნოზის გაუარესება;
- იმ სექტორში ან დარგში მომხდარი უარყოფითი ცვლილებები, რომელშიც მსესხებელი საქმიანობს.

კონკრეტული გამომწვევი მოვლენები არასაცალო მსესხებლების შემთხვევაში მოიცავს შემდეგს:

- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, რომლის რაოდენობრივი გამოსახვა ხდება უარყოფითი ცვლილებებით ფინანსურ კოეფიციენტებში;
- 30 დღეზე მეტი, მაგრამ 90 დღეზე ნაკლები ხნით ვადაგადაცილება;
- რესტრუქტურიზაცია, რომლის გარეშეც ინსტრუმენტი 90 დღეზე მეტი ხნით იქნებოდა ვადაგადაცილებული.
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
- ბიზნესის ან უძრავი ქონების გადამწყვეტი ნაწილის გაყიდვა, რომელიც აუცილებელია მსესხებლის მომგებიანი საქმიანობისთვის;
- თაღლითობის შემთხვევა მსესხებლის კომპანიაში და სხვა.

თუ გამოვლინდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ფასდება, მსესხებლის სამომავლო შემომავალი ფულადი ნაკადები საკმარისია თუ არა გამდინარე ფულადი ნაკადების დასაფარად, სხვადასხვა სცენარის მიხედვით. მსესხებლის ფულადი ნაკადების ანალიზი მოიცავს იმ დარგის არსებული და პროგნოზირებული ტენდენციების ანალიზს, რომელშიც მსესხებელი საქმიანობს. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა კრედიტის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია კრედიტის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ნებისმიერი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მსესხებლის ოპერაციებიდან, დაფინანსების ნებისმიერი სხვა წყაროები და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგნის ლიკვიდაციიდან მოსალოდნელი შემოსავალი.

კოლექტიურად შეფასებული სესხები

არასაცალო დავალიანებებზე, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით (30-დან 90-მდე), ასევე იმის მიხედვით, რესტრუქტურიზებულია თუ არა ისინი და რესტრუქტურიზაციის გარეშე 90 დღეზე მეტი ხნით თუ გახდებოდა ვადაგადაცილებული, და სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის გაუარესების საფუძველზე (სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI), სასესხო კაპიტალი/EBITDA, საკუთარი კაპიტალი/აქტივები, პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი და ვალდებულებების მომსახურების (DSCR) კოეფიციენტი.

საცალო მსესხებლების შემთხვევაში კონკრეტული გამომწვევი მოვლენები, სხვებთან ერთად, მოიცავს სესხის ვადაგადაცილებას 30-ზე მეტი, მაგრამ 90-ზე ნაკლები დღით, დავალიანების რესტრუქტურიზაციას, რომლის გარეშეც ინსტრუმენტი 90 დღეზე მეტი ხნით იქნებოდა ვადაგადაცილებული, სესხის მომსახურების კოეფიციენტის გაუარესება და სხვა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური ინსტრუმენტები იყოფა ერთგვაროვან ჯგუფებად აქტივების ტიპების მიხედვით - საცალო და არასაცალო ინსტრუმენტებად და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით. სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები ხუთ ჯგუფად იყოფა.

ხაზინა და ბანკთაშორისო ურთიერთობები

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაჰენტები არიან ფინანსური მომსახურების გამწევი დაწესებულებები, ბანკები, კორპორაციები და საქართველოსა და თურქეთის მთავრობები.

დეფოლტის ალბათობების მინიჭება ემიტენტებისთვის ან ბანკებისთვის ხდება გარე რეიტინგების მიხედვით მინიჭებული დეფოლტის განაკვეთების საფუძველზე. მინიმალური დეფოლტის ალბათობა, ბაზელის მიხედვით, 0.03%-ს უდრის. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში 45%-ით განისაზღვრება ისეთი დავალიანებებისთვის, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი აღიარებული გირაოთი, ბაზელის დოკუმენტის საბაზო მიდგომის თანახმად. კორპორატიული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

განისაზღვრება 44.89%-ით. ეს რიცხვი წარმოადგენს ბანკს მიერ 2014 წლიდან დავალიანების ამოღების საშუალო მაჩვენებელს. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საშუალო თვიურ დაუფარავ დავალიანებას ფასიანი ქაღალდებისა და სუვერენული ობლიგაციების შემთხვევაში და დაუფარავი ძირითადი თანხის საშუალო თვიურ ოდენობას, ბანკთაშორისი დავალიანების დარიცხული პროცენტის დამატებით.

საპროგნოზო ინფორმაცია და სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ბანკი შემდეგ საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და

მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- მშპ-ის ზრდა;
- უცხოური ვალუტის კურსები.

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ყველა ფინანსური აქტივისთვის ინდივიდუალურად გამოითვლის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება სამი სცენარისთვის (საბაზო 50%. ოპტიმისტური 25%, და პესიმისტური 25%) და შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოიანგარიშება, როგორც სამივე სცენარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეწონილი ჯამი.

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს სებ-ისგან. ქვედა ცხრილებში მოცემულია საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად.

„მომდევნო წლების“ სვეტში რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა.

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სცენარი	მინიჭებული ალბათობები %	2021	2022	2023	მომდევნო წლები
მშპ-ს ზრდა, %						
	ოპტიმისტური	25%	6%	5%	5%	5%
	საბაზისო	50%	5%	4.5%	4.5%	4.5%
	პესიმისტური	25%	1%	4%	4%	4%
აშშ დოლარი/ ლარის სავალუტო კურსი %, ცვლილება						
	ოპტიმისტური	25%	-5%	-5%	0%	0%
	საბაზისო	50%	0%	0%	0%	0%
	პესიმისტური	25%	10%	-5%	0%	0%

„მომდევნო წლების“ სვეტში რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა.

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სცენარი	მინიჭებული ალბათობები %	2020	2021	2022	მომდევნო წლები
მშპ-ს ზრდა, %						
	ოპტიმისტური	25%	5.5%	5.5%	5.0%	5.0%
	საბაზისო	50%	4.5%	5.0%	5.0%	5%
	პესიმისტური	25%	2.5%	4.0%	4.5%	4.5%
აშშ დოლარი/ ლარის სავალუტო კურსი%, ცვლილება						
	ოპტიმისტური	25%	-5%	-3%	0%	0%

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

	საბაზისო	50%	-3%	-3%	-3%	0%
	პესიმისტური	25%	10.0%	-5%	-5%	0%
უმუშევრობის დონე, %						
	ოპტიმისტური	25%	12.0%	11.5%	11.2%	11.2%
	საბაზისო	50%	12.7%	12.5%	12.2%	12.2%
	პესიმისტური	25%	14.2%	14.5%	14.5%	14.5%

„მომდევნო წლების“ სვეტში რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა.

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სცენარი	მონიჭებული ალბათობები %	2019	2020	2021	მომდევნო წლები
მშპ-ს ზრდა, %						
	ოპტიმისტური	25%	6.5%	5.5%	5%	5%
	საბაზისო	50%	5%	5%	5%	5%
	პესიმისტური	25%	2%	3%	4%	4%
აშშ დოლარი/ ლარის სავალუტო კურსი %, ცვლილება						
	ოპტიმისტური	25%	-3%	-2%	-2%	0%
	საბაზისო	50%	0%	0%	0%	0%
	პესიმისტური	25%	15%	10%	-5%	0%
უმუშევრობის დონე, %						
	ოპტიმისტური	25%	10.1%	9.6%	9.4%	9.4%
	საბაზისო	50%	11%	10.8%	10.6%	10.6%
	პესიმისტური	25%	12.6%	13.1%	13.3%	13.3%

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი. ბანკი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ბანკი აქტიურად ცდილობს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზის შენარჩუნებას, რომ შეძლოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური მართვის და რისკის მართვის ქვეგანყოფილებები. ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ ხელმძღვანელობას კვირაში ერთხელ მიეწოდება. ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს და მათ ახორციელებს ხაზინის ქვეგანყოფილება.

გარდა ამისა, ბანკი ახდენს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი ლიკვიდურობის კოეფიციენტის რეგულარულ მონიტორინგს.

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებებზე და საკრედიტო ვალდებულებებზე მათი დაფარვის უადრესი შესაძლო სახელშეკრულებო ვადების საფუძველზე. ცხრილებში ასახული ფულადი სახსრების მთლიანი გადინება და შემოდინება წარმოადგენს ფინანსური აქტივების, ვალდებულებებისა თუ საკრედიტო ვალდებულებების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელია გარანტიის გამოთხოვნა.

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი ვადით	სულ მთლიანი თანხის შემოდინება (გადინება)	საბ-ალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები								
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	(80,686)	(9,989)	(40,949)	(5,299)	-	-	(136,923)	**(136,521)**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	(40,687)	(8,873)	(2,074)	(23,314)	(1,297)	-	(76,245)	**(75,820)**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	(33,156)	-	(33,156)	**(29,188)**
სხვა ვალდებულებები *	(3,141)	(159)	(721)	(125)	-	-	(4,246)	**(4,246)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(124,614)**	**(19,021)**	**(43,744)**	**(28,738)**	**(34,453)**	-	**(250,570)**	**(245,775)**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	**(74,830)**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**(74,830)**

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნადე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი ვადით	სულ მთლიანი თანხის შემოდინება (გადინება)	საბ-ალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები								
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	(74,094)	(8,769)	(16,245)	(35,346)	-	-	(134,454)	**(133,656)**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	(20,293)	(4,801)	(3,573)	(6,565)	(2,016)	-	(37,248)	**(36,862)**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	(18,601)	-	(18,601)	**(15,674)**
სხვა ვალდებულებები *	(3,653)	(145)	(221)	(452)	(1,041)	-	(5,512)	**(5,512)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(98,040)**	**(13,715)**	**(20,039)**	**(42,363)**	**(21,658)**	**-**	**(195,815)**	**(191,704)**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	**(60,363)**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**(60,363)**

**როგორც მე -3 შენიშვნაში აღინიშნა, ბანკმა 2019 წლის 1 იანვარს დანერგა ფასს-16 და აღიარა საიჯარო ვალდებულებები.*

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი ვადით	სულ მთლიანი თანხის შემოდინება (გადინება)	საბ-ალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები								
ბანკებიდან მიღებული ავანსები და ნაშთები	(36,336)	(10,764)	-	(45,006)	(16,018)	-	**(108,124)**	(106,509)
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	(16,103)	(9,093)	(8,114)	(4,675)	(695)	-	**(38,680)**	(38,352)
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	(637)	(1,790)	(4,653)	(30,448)	-	**(37,528)**	(31,916)
სხვა ვალდებულებები	(8,949)	-	-	-	-	-	**(8,949)**	(8,949)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(61,388)**	**(20,494)**	**(9,904)**	**(54,334)**	**(47,161)**	**-**	**(193,281)**	**(185,726)**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	**(42,820)**	-	-	-	-	-	**(42,820)**	**(42,820)**

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

საქართველოს კანონის თანახმად, ფიზიკურ პირებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ თავიანთი ვადიანი ანაბრების გატანა, უმეტეს შემთხვევაში, დარიცხული პროცენტის დათმობით. შესაბამისად, ეს ანაბრები ქვედა ცხრილში მოცემულია მათი შეთანხმებული ვადიანობის შესაბამისად. ამ ანაბრების კლასიფიკაცია მათი შეთანხმებული ვადების მიხედვით ასე გამოიყურება:

	2020	2019	2018
მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	**13,675**	**6,308**	6,135
1-დან 3 თვემდე	**7,828**	4,629	8,235
3-დან 12 თვემდე	**6,153**	7,541	4,444
1-დან 5 წლამდე	**1,240**	1,909	300
5 წელზე მეტი ვადაით	-	-	-
	28,896	20,387	19,114

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი, მოსალოდნელი ვადების მიხედვით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვადო	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	32,485	-	-	-	-	-	**32,485**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	9,190	-	-	-	-	**9,190**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	36,217	-	-	-	-	-	**36,217**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,999	-	1,490	13,549	-	-	**18,038**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8,330	58,848	57,835	74,848	37,094	-	**236,955**
ძირითადი საშუალებები და არამატერიაული გამოყენების უფლების მქონე აქტივები	-	-	-	-	-	2,354	**2,354**
სხვა აქტივები	4,749	-	-	-	-	-	**4,749**
სულ აქტივები	**84,780**	**68,038**	**59,325**	**88,397**	**37,094**	**2,354**	**339,988**
ვალდებულებები							
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	80,672	9,928	45,921	-	-	-	**136,521**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	40,684	8,836	25,059	1,241	-	-	**75,820**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	-	5,161	24,027	-	-	**29,188**
სხვა ვალდებულებები*	3,241	159	721	125	-	-	**4,246**
სულ ვალდებულებები	**124,597**	**18,923**	**76,862**	**25,393**	-	-	**245,775**
ნეტო პოზიცია	**(39,817)**	**49,115**	**(17,537)**	**63,004**	**37,094**	**2,354**	**94,213**

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი, მოსალოდნელი ვადების მიხედვით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვადო	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	57,013	-	-	-	-	-	**57,013**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	1,627	-	-	-	-	**1,627**
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	24,609	-	-	-	-	-	**24,609**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	14,574	15,991	3,139	-	**33,704**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	3,356	18,965	51,974	52,667	28,458	-	**155,420**
ძირითადი საშუალებები და არამატერიაული აქტივები	-	-	-	-	-	2,541	**2,541**
სხვა აქტივები	812	-	-	-	-	-	**812**
სულ აქტივები	**85,790**	**20,592**	**66,548**	**68,658**	**31,597**	**2,541**	**275,726**
ვალდებულებები							
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	74,058	8,705	50,893	-	-	-	**133,656**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	20,290	4,777	9,886	1,909	-	-	**36,862**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	-	-	4,521	11,153	-	-	**15,674**
სხვა ვალდებულებები*	3,653	145	673	1,041	-	-	**5,512**
სულ ვალდებულებები	**98,001**	**13,627**	**65,973**	**14,103**	**-**	**-**	**191,704**
ნეტო პოზიცია	**(12,211)**	**6,965**	**575**	**54,555**	**31,597**	**2,541**	**84,022**

** როგორც მე -3 შენიშვნაში აღინიშნა, ბანკმა 2019 წლის 1 იანვარს დანერგა ფასს-16 და აღიარა საიჯარო ვალდებულებები.*

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი, მოსალოდნელი ვადების მიხედვით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვადო	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	38,031	-	-	-	-	-	**38,031**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	1,400	3,478	277	-	-	-	**5,155**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	26,567	-	-	-	-	-	**26,567**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	6,430	13,612	5,419	-	**25,461**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	6,260	8,148	69,482	58,045	14,536	-	**156,471**
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	984	**984**
სხვა აქტივები	11,257	-	-	-	-	-	**11,257**
სულ აქტივები	**83,515**	**11,626**	**76,189**	**71,657**	**19,955**	**984**	**263,926**
ვალდებულებები							
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	36,280	10,707	44,339	15,183	-	-	**106,509**
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	16,099	9,033	12,559	661	-	-	**38,352**
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	153	2,321	12,360	17,082	-	-	**31,916**
სხვა ვალდებულებები	8,949	-	-	-	-	-	**8,949**
სულ ვალდებულებები	**61,481**	**22,061**	**69,258**	**32,926**	**-**	**-**	**185,726**
ნეტო პოზიცია	**22,034**	**(10,435)**	**6,931**	**38,731**	**19,955**	**984**	**78,200**

22 რისკის მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

საოპერაციო და ბიზნეს რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემის უკმარისობის, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის და გარეგანი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზარალის რისკი. როდესაც კონტროლი ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად, საპერაციო რისკებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, ჰქონდეს იურიდიული ან რეგულირების გავლენა, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. ბანკი არ უნდა ელოდოს ყველა ოპერაციული რისკის აღმოფხვრას, მაგრამ ის ცდილობს ამ რისკების მართვას საკონტროლო ჩარჩოს მეშვეობით, პოტენციურ რისკებზე მონიტორინგისა და რეაგირების გზით. კონტროლი მოიცავს მოვალეობათა ეფექტურ დაყოფას, წვდომის, ავტორიზაციისა და შერიგების პროცედურებს, პერსონალის განათლებას და შეფასების პროცედურებს, როგორიცაა შიდა აუდიტის გამოყენება.

23 საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

ბანკს აქვს მიმდინარე საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება სესხების გაცემას. ეს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები წარმოდგენილია ოვერდრაფტის სახით.

ბანკი იძლევა ფინანსურ გარანტიებს მესამე მხარეების წინაშე მომხმარებლების მიერ ვალდებულების შესრულებაზე.ამ ხელშეკრულებებს აქვთ ფიქსირებული ლიმიტები და, როგორც წესი, ხუთ წლამდე ვადით გაიცემა.

ბანკი საკრედიტო ვალდებულებების აღებისას და ფინანსური გარანტიების გაცემისას საკრედიტო რისკის მართვის იმავე პოლიტიკასა და პროცედურებს იყენებს, როგორსაც - მომხმარებლებზე სესხების გაცემისას.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში კატეგორიების მიხედვით. ცხრილში საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების თანხები იმ დაშვებითაა წარმოდგენილი, რომ ეს თანხები სრულად არის გაცემული. ცხრილში მოცემული გარანტიების თანხები წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომლის აღიარებაც მოხდებოდა საანგარიშგებო თარიღით, კონტრაჰენტებს საერთოდ რომ ვერ შეესრულებინათ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

	2020	2019	2018
სახელშეკრულებო თანხა			
აუთვისრებელი ოვერდრდაფტები	52	72	89
აკრედიტივი	1,782	684	-
გარანტიები	72,996	59,607	42,731
	74,830	**60,363**	**42,820**

ზემოთ მოყვანილი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მთლიანი მიმდინარე საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები შესაძლოა არ წარმოადგენდეს სამომავლო მოთხოვნებს ნაღდ ფულზე, რადგან ამ საკრედიტო ვალდებულებებს შეიძლება ვადა ამოეწუროს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე.

ამ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 46,501 ათასი ლარი არის ექვსი ბანკის მიმართ (2019 წ.: 28,487 ათასი ლარი; 2018 წ.: 23,668). ეს თანხა ბანკისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

ყველა საკრედიტო ხასიათის ვალდებულება პირველ ეტაპს მიეკუთვნება. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 275 ათასი ლარი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი მოძრაობა წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა (მე-7 შენიშვნა).

24 პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

საქართველოში დაზღვევის სფერო განვითარების ეტაპზეა და დაზღვევის ბევრი ფორმა, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს სხვა კუთხეებში, ჯერ ხელმისაწვდომი არ არის.

24 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ბ) სამართლებრივი დავები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

(გ) საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს კარგად განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ზოგადად არსებობს უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში. საქართველოში განხორციელებული ოპერაციები შესაძლოა იყოს რისკის შემცველი, რაც ჩვეულებრივ არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ გადადგა რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი, რამაც პოზიტიური გავლენა იქონია ქვეყნის მთლიან საინვესტიციო კლიმატზე, განსაკუთრებით განხორციელდა რეფორმები, რომლებიც საჭიროა გამართული საბანკო, სასამართლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების შესაქმნელად. ეს მოიცავს ახალი საკანონმდებლო რეგულირებების ადაპტირებას, მათ შორის ახალ საგადასახადო კოდექსსა და საპროცერო ნორმებს. ხელმძღვანელობის აზრით, ეს ნაბიჯები ხელს უწყობს საქართველოში, ბიზნესის წარმოების ეტაპზე, რისკების შემცირებას.

არსებული ტენდენცია, რომელიც მიმართულია ბიზნესგარემოს საერთო გაუმჯობესებისაკენ, მოსალოდნელია, რომ შენარჩუნდეს. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო სტაბილურობა მეტწილად დამოკიდებულია ამ რეფორმებსა და მოვლენებზე, ასევე მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად ზომების ეფექტურობაზე. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მსოფლიოს სხვა წერტილებში მიმდინარე საბაზრო კრიზისსა და ეკონომიკური განვითარების შენელებაზე.

კოვიდ-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან მძიმე და თვალსაჩინოა. ტურიზმი, ყველაზე დაზარალებული სფერო მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი მიმართულება იყო, რომელიც მოიცავდა უამრავ ურთიერთდაკავშირებულ სექტორებს, როგორიცაა: სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, უძრავი ქონება და სხვა. წინასწარი შეფასების საფუძველზე, 2020 წელს საქართველოს მშპ 6,1%-ით შემცირდა, ხოლო უმუშევრობის დონემ კი 12%-ს მიაღწია, ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან მიმართებით 14% შეადგინა 2020 წლის 1-ლი იანვრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის პერიოდში, და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 12%-ს მიაღწია. ინფლაციის დონე 2020 წლის განმავლობაში შენარჩუნდა დაახლოებით 4%-მდე, რაც მოსალოდნელი იყო პანდემიის შიდა მოთხოვნის შესუსტებისა და მთავრობის მიერ მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო. წლის ბოლოსთვის, საქართველოს ეროვნული ბანკი ვარაუდობს, რომ დღევანდელ 8%-იან დონეზე შენარჩუნდება რეფინანსირების განაკვეთი, ინფლაციის დონის 3%-იანი ზრდით. მთავრობა ახორციელებს ანტი-კრიზისულ ეკონომიკის აღდგენის გეგმას, რომელიც მოიცავს ფინანსურ დახმარებას მოსახლეობისა და მეწარმეების მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ქონებისა და მოგების გადასახადის გადავადებას ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის, რაც მსესხებლებს საშუალებას აძლევს გააკეთონ მათი სესხების რესტრუქტურიზაცია კომერციულ ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებში. საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა გამოყვეს 3 მილიარდი აშშ დოლარი ქვეყნის ეკონომიკის დასახმარებლად.

საქართველოს საბანკო სექტორში განვითარებული მოვლენების შესაბამისად, ბანკმა ასევე განიცადა ეკონომიკური ვარდნის შედეგები, რაც გამოიწვია კოვიდ 19-მა, დაუცველ სექტორებში მოქმედი მსესხებლების საქმიანობის შეფერხებისა და საკრედიტო რისკების წარმოშობის გზით. უნდა აღინიშნოს, რომ დაუცველი სექტორი არ არის მნიშვნელოვანი ბანკისათვის საკრედიტო რისკების კუთხით. როგორც აღნიშნულია მე-14 შენიშვნაში (მომხმარებლებზე გაცემული სესხები), ყველაზე დაუცველი სექტორი არის სასტუმროები, რესტორნები და ტურიზმი, თუმცა ამ სექტორის მსესხებლები მიიჩნევა მინიმალური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მქონედ. ვინაიდან კოვიდ-19-ის „აფეთქება“ გრძელდება და პანდემიის ხანგრძლივობასთან და უახლოეს პერიოდში შესაძლო ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებით გაურკვევლობაა, ბანკის ხელმძღვანელობა ყურადღებით განაგრძობს სიტუაციის მონიტორინგს, რათა დროულად შეაფასოს და უპასუხოს შესაბამის გამოწვევებსა და რისკებს. კორონავირუსის შემთხვევების კლება ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის, ასევე მთავრობის მიზანი დაიწყოს მასობრივი ვაქცინაციის პროცესი და გააუქმოს ადრე დაწესებული შეზღუდვები, გარკვეულწილად აძლიერებს გაუმჯობესების პერსპექტივებს 2021 წლისათვის.

24 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა აგრძელებს განვითარებას და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს აღქმული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი ორგანოს მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების დაკისრების უფლება. საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

25 გარიგებები დაკავშირებულ მხარებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

(ა) კონტროლი

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა იშბანკის წევრების დამატებითი საპენსიო უზრუნველყოფის ფონდი.

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს არ გამოუშვია საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებები. თუმცა, ასეთი ფინანსური ანგარიშგებები გამოშვებული აქვს Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ს, რომელიც ბანკის შუალედური მაკონტროლებელი მხარეა.

(ბ) გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯში ჩართული მთლიანი ანაზღაურება 2020 წლის, 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	2020	2019	2018
მოკლევადიანი დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	2,133	1,653	1,135

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ აღებული სესხები, გახსნილი ანაბრები და შესაბამისი საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები იყო არამატერიალური, როგორც 2020 ასევე, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(გ) გარიგებები მშობელ ბანკთან

2020, 2019 და 2018 წლები 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო მუხლები და შესაბამისი მოგება-ზარალის ანგარიშები შემდეგია:

25 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2020	2019	2018
ფინანსური მდგომარეობით ანგარიშგება			
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			
- თურქულ ლირაში	13	33	44
- ევროში	19	19	13
- აშშ დოლარში	8	7	-
ვალდებულებები			
ბანკებიდან მიღებული ანგარიშები და დეპოზიტები			
- ევროში	1,388	32,144	7,074
- აშშ დოლარში	13,915	26,386	24,889
- ბრიტანულ ფუნტ სტერილნგში	711	598	345
- თურქულ ლირაში	-	-	51
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი			
- ევროში	-	-	108
- აშშ დოლარში	-	-	12,985
მოგება/ (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავალი	7	12	10
საპროცენტო ხარჯი	(263)	(493)	(4,161)

2020 წლის 31 დეკემბრის ანაბრების და ნაშთების და მშობელი ბანკისგან ნასესხები სხვა სახსრების სახელშეკრულებო ვადებია: 16,014 ათასი ლარის დაფარვის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. (2019 წ.: 59,128 ათასი ლარი - 12 თვეზე ნაკლები,2018 წ.: 37,569 ათასი ლარი - 12 თვეზე ნაკლები, 7,883 ათასი ლარი 1-5 წელი).

26 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

(ა) სამართლიანი ღირებულებების შეფასებები და დაშვებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

ქვემოთ აღწერილია მეთოდები და დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებების და აგრეთვე იმ მუხლების სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება ცნობილია.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

წარმოებული ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს და ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელებს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით. ისეთი მეთოდებით შეფასებული წარმოებულსი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს იყენებს,

26 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ძირითადად, გრძელვადიანი ოფციონის კონტრაქტებია. ეს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება ბინომიალური მოდელების გამოყენებით. მოდელები მოიცავს სხვადასხვა არასაბაზრო დაშვებას, რომლებიც ასახავს საბაზრო განაკვეთების მერყეობას.

სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასწარმოქმნის მოდელით, ძირითადად შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სავალო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით, რომელიც ზოგჯერ შეიცავს მხოლოდ ბაზარზე არსებულ მონაცემებს, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. მოდელებში გამოყენებულ არასაბაზრო მონაცემებს შორის არის დაშვებები ინვესტიციის ობიექტის სამომავლო ფინანსური შედეგების, მისი რისკის პროფილის შესახებ და ასევე ეკონომიკური დაშვებები დარგისა და იმ ტერიტორიის იურისდიქციის შესახებ, რომელშიც ინვესტიციის ობიექტი საქმიანობს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კოტირებული თამასუქებისა და ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა საანგარიშგებო თარიღისთვის კოტირებულ ფასებს. არაკოტირებული ინსტრუმენტების, კლიენტებზე გაცემული სესხების, კლიენტთა ანაბრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, სებ-ისთვის და საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(ბ) სამართლიანი ღირებულების იერარქია

ბანკი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

26 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2020 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ მთლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	18,038	-	-	18,038	**18,038**
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით					
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი	-	-	236,955	236,955	**236,955**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	212,341	-	212,341	**212,341**

31 დეკემბერი, 2019წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	33,704	-	-	33,704	**33,704**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	155,420	155,420	**155,420**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ვალდებულებები მომხამრებლების მიმართ	-	170,518	-	170,518	**170,518**

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პრინციპები წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

26 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2018 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ მთლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	15,022	10,439	-	**25,461**	**25,461**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	156,676	**156,676**	**156,471**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	-	144,900	-	**144,900**	**144,861**

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი ერთეულების მიხედვით

შეფასების მიზნებისათვის, ფასს 9 ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას, რომელიც განხილულია 3-ე შენიშვნაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასების შეჯამება აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	32,485	-	-	32,485
მოთხოვნები ბანკების მიმართ	9,190	-	-	9,190
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	36,217	-	-	36,217
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	18,038	-	18,038
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	236,955	-	-	236,955
სხვა აქტივები	4,749	-	-	4,749
სულ ფინანსური აქტივები	**319,596**	**18,038**	-	**337,634**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასების შეჯამება აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი ერთეულების მიხედვით (გაგრძელება)

	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	57,013	-	-	57,013
მოთხოვნები ბანკების მიმართ	1,627	-	-	1,627
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	24,609	-	-	24,609
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	33,704	-	33,704
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	155,420	-	-	155,420
სხვა აქტივები	812	-	-	812
სულ ფინანსური აქტივები	**239,481**	**33,704**	**-**	**273,185**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების კლასების შეჯამება აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	38,031	-	-	38,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	5,155	-	-	5,155
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	26,567	-	-	26,567
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	25,461	-	25,461
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	156,471	-	-	156,471
სხვა აქტივები	11,257	-	-	11,257
სულ ფინანსური აქტივები	**237,481**	**25,461**	**-**	**262,942**

28 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდგომ განხორციელდა შემდეგი მოვლენები;

- 2021 წლის 24 თებერვალს, ბანკმა აიღო 5,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC).

ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არ განხორციელებულა დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენის საჭიროებას შექმნიდა.

Nexia TA

Member of Nexia International

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „იშბანკი საქართველო“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „იშბანკი საქართველო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2021 წლის 22 მარტს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2021 წლის 22 მარტის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2021 წლის 22 მარტს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „იშბანკი საქართველო“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „იშბანკი საქართველო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2021 წლის 22 მარტს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2021 წლის 22 მარტის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2021 წლის 22 მარტს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 22 მარტი

თბილისი, საქართველო

სს იშბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2020

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3
ძირითადი მაჩვენებლები 4
ბანკის საქმიანობა და არაფინანსური მაჩვენებლები 9
გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები 10
აქციონერის სტრუქტურა 14
კორპორატიული მმართველობა 18
რისკების მართვა 27
ანაზღაურება 30
ანგარიშგების სხვა საკითხები 30

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

_____

ოზან გური
გენერალური დირექტორი

_____

უჩა სარალიძე
ფინანსური დირექტორი

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ოზან გური
გენერალური დირექტორი

უჩა სარალიძე
ფინანსური დირექტორი

ძირითადი მაჩვენებლები

	2020	2019	2018
მომგებიანობა			
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.30%	6.30%	5.85%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	1.37%	1.68%	2.51%
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.78%	5.47%	4.08%
წმინდა საპროცენტო მარჟა	6.84%	6.72%	4.61%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.14%	2.25%	1.02%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	10.86%	7.47%	4.43%
აქტივების ხარისხი			
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	1.16%	2.75%	1.93%
სშდრ / მთლიან სესხებთან	0.44%	0.52%	0.49%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	60.18%	58.59%	64.28%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	66.62%	65.36%	65.76%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	52.34%	-0.65%	-0.80%
ლიკვიდობა			
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	28.22%	42.42%	36.08%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	92.43%	94.58%	92.33%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	11.12%	6.14%	4.54%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი			
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	81,903,876	110,089,136	68,091,162
ფულის წმინდა გადინება (სულ)	61,860,189	75,563,024	46,919,640
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	132.40%	145.69%	145.12%

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავალი (აუდირებული მონაცემები)

	2020 000'ლარი	*2019 000'ლარი*	*2018 000'ლარი*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	19,388	17,003	14,672
საპროცენტო ხარჯი	(4,203)	(4,542)	(6,284)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**15,185**	**12,461**	**8,388**
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	2,846	2,559	1,457
საკომისიო ხარჯი	(1,055)	(1,149)	(1,366)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**1,791**	**1,410**	**91**
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	827	898	1,748
საოპერაციო შემოსავალი	**17,803**	**14,769**	**10,227**
საკრედიტო ზარალის შემობრუნება	(254)	(210)	443
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(4,850)	(4,555)	(4,635)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(2,646)	(2,548)	(2,808)
დასაბეგრი მოგება	**10,053**	**7,456**	**3,227**
მოგების გადასახადის ხარჯი	(378)	(1,394)	(677)
წლის მოგება	**9,675**	**6,062**	**2,550**
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად			
არარეალიზებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	–	–	–
წმინდა ცვლილება იმ სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	608	(282)	(621)
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	(91)	42	94
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად:	**517**	**(240)**	**(527)**
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა	**517**	**(240)**	**(527)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**10,192**	**5,822**	**2,023**

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

მომგებიანობის ანალიზი

N	ძირითადი მაჩვებებლები	31-Dec-20	31-Dec-19	31-Dec-18
1	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.30%	6.30%	5.85%
2	მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	1.37%	1.68%	2.51%
3	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.78%	5.47%	4.08%
4	წმინდა საპროცენტო მარჟა	6.84%	6.72%	4.61%
5	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.14%	2.25%	1.02%
6	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	10.86%	7.47%	4.43%

2020 წლის განმავლობაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები სს „იშბანკი საქართველო“-ს მაჩველებლებში

საბალანსო უწყისი (აუდირებული მონაცემები)

	2020 000'ლარი	*2019 000'ლარი*	*2018 000'ლარი*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32,485	57,013	38,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	9,190	1,627	5,155
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	36,217	24,609	26,567
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	236,955	155,420	156,471
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	18,038	33,704	25,461
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,354	2,541	984
სხვა აქტივები	4,749	812	11,257
სულ აქტივები	**339,988**	**275,726**	**263,926**
ვალდებულებები			
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	136,521	133,656	106,509
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	75,820	36,862	38,352
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	29,188	15,674	31,916
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,264	1,013	649
სხვა ვალდებულებები	2,982	4,499	8,300
სულ ვალდებულებები	**245,775**	**191,704**	**185,726**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	69,162	69,162	69,162
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	(127)	(644)	(404)
გაუნაწილებელი მოგება	25,178	15,504	9,442
სულ საკუთარი კაპიტალი	**94,213**	**84,022**	**78,200**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**339,988**	**275,726**	**263,926**

სს „იშბანკი საქართველო“ იკავებდა მე-12 ადგილს საქართველოს კომერციულ ბანკებს შორის აქტივებით.

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)
კაპიტალის მართვა

ბანკი ინარჩუნებს კაპიტალის ბაზის მართვასთან დაკავშირებულ აქტივობებს ბიზნესის თანდაყოლილი რისკების დასაფარად და აკმაყოფილებს ადგილობრივი ბანკის ზედამხედველის, საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ხდება, სხვა ზომებთან ერთად, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ დადგენილი წესებისა და კოეფიციენტების გამოყენებით, (BIS წესები / კოეფიციენტები) რომელიც შემოღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკის მიერ კომერციული ბანკების ზედამხედველობის პროცესში.

ბანკი კაპიტალად მიიჩნევს იმ მუხლებს, რომლებიც კანონმდებლობით განისაზღვრება საკრედიტო დაწესებულებებისთვის კაპიტალად. სებ-ის არსებული კაპიტალის მოთხოვნების მიხედით, ბანკებმა კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი) მინიმალურ საზედამხედველო კაპიტალზე მაღალ დონეზე უნდა შეინარჩუნონ. ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია უზრუნველყოს სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნების დაცვა და ბანკის ფუნქციონირებადობის შენარჩუნება. სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და რომელსაც გადახედავენ და ხელს აწერენ ბანკის გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი.

ბაზელ 1

ბაზელ I-ის კაპიტალის მოთხოვნების თანახმად, ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის მინიმუმ 9.6%-იანი კოეფიციენტი („საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“), ხოლო პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის მინიმუმ 6.4% კოეფიციენტი უნდა შეინარჩუნონ. ბანკი აკმაყოფილებდა სებ-ის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. 2017 წელი ბაზელ I-ის კაპიტალის მოთხოვნის მოქმედების ბოლო წელია. 2018 წლის იანვრიდან იგი სრულად გაუქმდა.

2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა იყო:

ძირითადი პირველადი კაპიტალი: 7%; პირველადი კაპიტალი: 8.5% და საზედამხედველო კაპიტალი: 10.5%.

ბაზელ 3

2017 წლის დეკემბერში სებ-მა ცვლილებები შეიტანა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულებაში. კაპიტალის განახლებული ჩარჩოს მიხედვით, კაპიტალის მოთხოვნები დაიყო პილარ 1-ის მოთხოვნებად, რომელიც ეხება ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი მინიმალურ მოთხოვნებს და პილარ-1-ით და პილარ 2-ით გათვალისწინებულ დამატებით ბუფერებად.

პილარ 1

► კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი (რომელიც შედიოდა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებში) ცალკე გამოიყო და განისაზღვრა 2.5%-ის ოდენობით;
► კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი ამჟამად დადგენილია 0%-ის ოდენობით;
► სისტემურობის ბუფერი დაინერგება სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში.

პილარ 2

► სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერმა ჩაანაცვლა უცხოურ ვალუტებში გამოხატული არაჰეჯირებული სავალუტო სესხების კონსერვატიული შეწონვა;
► დაინერგება კონცენტრაციის რისკის ბუფერი სექტორული და ერთი მსესხებლის კონცენტრაციის რისკისთვის;
► წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი დაინერგება ბანკის მიერ წარმოდგენილ სტრეს-ტესტების შედეგებზე დაყრდნობით;
► მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ბუფერი ბანკის კონკრეტულ რისკებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე დაინერგა სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების კონკრეტული ზღვრები. აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ სესხის მომსახურების კოეფიციენტისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის ლიმიტებს, უფრო მაღალი რისკით შეიწონება.

საქართველოს ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო გეგმა კოვიდ-19-თან დაკავშირებით
კორონავირუსის (კოვიდ-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირებისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი სამეთვალყურეო გეგმა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანოების რეკომენდაციებთან.

დაუყოვნებელი ზომები:
• კაპიტალის კონსევარციის ბუფერის მოთხოვნების გაუქმება (2.5%);
• უცხოურ ვალუტაში ინდუცირებული საკრედიტო რისკის ბუფერის შემცირება 2/3-ით.
• კომერციული ბანკების ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტისთვის უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვების გამოქვითვის ზრდის გადადება, რომელიც შეიქმნა „აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო სასესხო ზარალის“ წესის მიხედვით.

სებ-ის მიერ დაწესებულია მორატორიუმი კომერციულო ბანკების ნებისმიერი მარეგულირებელი დარღვევის შესახებ, რაც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, როგორიცაა დამატებითი დაკრედიტო ზარალი, უცხოური ვალუტის კურსის რყევები და ა.შ.

სებ მოითხოვს, რომ ბანკმა შეინარჩუნოს სულ მცირე კაპიტალის მთლიანი ადეკვატურობის კოეფიციენტი 16.63%, პირველი საფეხურის კაპიტალის თანაფარდობა 8.10% და ძირითადი პირველი საფეხურის კაპიტალის თანაფარდობა 6.07% რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, გამოანგარიშებული ბაზელ III-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)
კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

სბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები დაანგარიშებული საქართველოს ეროვნული ბანკისა და ბაზელ II / III მოთხოვნების შესაბამისად მდგომარეობს შემდეგში:

000'ლარი	*2020*	*2019*	*2018*
საწესდებო კაპიტალი	69,162	69,162	69,162
გაუნაწილებელი მოგება	14,154	11,357	5,549
გამოქვითვები	(318)	(111)	(220)
მთლიანი ძირითადი პირველადი კაპიტალი და პირველადი კაპიტალი	**82,998**	**80,408**	**74,491**
სუბორდინირებული ვალი (საზედამხედველო კაპიტალში ჩართული)	–	–	–
სესხებზე შესაძლო დანაკარგების ზოგადი რეზერვი (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	4,423	3,208	3,394
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**87,421**	**83,616**	**77,885**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები			
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (საბალანსო და გარესაბალანსო მუხლები)	353,850	256,660	271,488
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,464	1,503	346
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	26,884	22,161	18,304
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**382,198**	**280,324**	**290,138**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**22.00%**	**28.68%**	**25.67%**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**22.00%**	**28.68%**	**25.67%**
სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	**23.00%**	**29.83%**	**26.84%**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა	**6.00%**	**9.14%**	**9.31%**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა	**8.00%**	**11.35%**	**11.59%**
სულ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	**17.00%**	**19.90%**	**20.38%**

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები ფასდება რისკის წონების იერარქიით, რომელიც კლასიფიცირდება მათი ხასიათის მიხედვით და ასახავს თითოეულ აქტივთან და კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების შეფასებას, ნებისმიერი დასაშვები გირაოს ან თავდებობის გათვალისწინებით.

ბანკის საქმიანობა და არაფინანსური მაჩვენებლები

სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი”) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას რომელიც იურიდიულ პირად იქნა დარეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად , 2015 წლის 29 ივნისს. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2015 წლის 1 აგვისტოს მინიჭებული ლიცენზიის (№ 368) შესაბამისად. ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611.

რეორგანიზაციამდე (2015 წლის 1 აგვისტო) ბანკი წარმოადგენდა სს „თურქეთის იშ ბანკის“ ბათუმის ფილიალს, დარეგისტრირებულს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლიცენზია №: 908) როგორც თურქეთში 1924 წელს დაფუძნებული უცხოური ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი ბანკი“ ან „მფლობელი“) ფილიალი.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი მთავარი ოფისი თბილისშია განთავსებული და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე როგორც 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გააჩნია ორი ფილიალი თბილისსა და ბათუმში.

ბანკის ოფიციალური იურიდიული მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზირი 140/ბ, თბილისი, საქართველო. 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის 100%- იან წილს ფლობდა „თურქეთის იშ ბანკი“.

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა იშბანკის წევრების დამატებითი საპენსიო უზრუნველყოფის ფონდი. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

სტრატეგია

ბანკის მთავარი მიზანია გახდეს ბიზნესისა და საცალო კლიენტების ეფექტური მხარდამჭერი. როგორც უმსხვილესი თურქული ბანკის შვილობილი, ჩვენ ვცილობთ, ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ დაგროვილი საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა გადმოვიტანოთ საქართველოში. ჩვენი სტრატეგია ორიენტირებულია აქციონერისათვის გრძელვადიანი სტაბილური მომგებიანობის უზრუნველყოფასა და მდგრად ზრდა/განვითარებაზე, რისკების ეფექტური მართვით კარგად დაბალანსებული აქტივების ზრდით.

ჩვენი ძირითადი ღირებულებებია:

- მკაფიო ბიზნესის მოდელის შექმნა;
- მომხმარებელზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბება;
- სტაბილური ფინანსური შედეგების უზრუნველყოფა.

ყოველი წლის ბოლოს ბანკი ანხორციელებს მიმდინარე სიტუაციის დეტალურ შეფასებას და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი სამი წლისათვის. ბანკის სტრატეგია დეტალურად აღწერს იმ ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ბანკი გეგმავს მისი ძირითადი გეგმებისა და შედეგების მიღწევას. 2021 წლის დასაწყისში ბანკმა განსაზღვრა სტრატეგია 2021 – 2023 წლებისათვის. 2023 წლისათვის განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის ბანკი ძირითადად ორიენტირებულია შემდეგ პრინციპებზე:

- **განავითაროს და შეთავაზოს ციფრული პროდუქტების ფართო არჩევანი.** რადგან ციფრული პროდუქტები და მომსახურება მძლავრად ვითარდება და მოთხოვნაც სწრაფად იზრდება საქართველოში, ბანკი გეგმავს აქტიურად ინვესტირებას ტექნოლოგიებში, რომ შეძლოს ყველაზე მოქნილი და ეფექტური გადაწყვეტილებების შეთავაზება თავისი კლიენტებისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია როგორც ბანკისათვის, ისე მისი მომხმარებლებისათვის ბიზნესში მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევისათვის, რომელიც, თავის მხრივ გამოათავისუფლებს მნიშვნელოვან დროს მათი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

- **მიოზიდოს და გაზარდოს მომხმარებელთა ბაზა** მრავალფეროვანი პროდუქტების შეთავაზებით მოქნილი პირობებითა და კონკურენტული ფასებით. რადგან ბანკი არის უმსხვილესი კერძო თურქული ბანკის შვილობილი, იგი აპირებს გამოიყენოს მშობელი კომპანიის მაღალი რეპუტაცია და სანდოობა ფინანსური რესურსების კონკურენტულ ფასებში მოსაზიდად. ამ მიმართულების განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვალიფიციური თანამშრომლების გუნდი, რაშიც ბანკი ანხორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციას, შესაბამისად, ბანკმა გაზარდა თანამშრომლების რაოდენობა 69%-ით ბოლო 5 წლის განმაბლობაში (2020: 64; 2019: 68; 2015: 38).

- **დივერსიფიკაცია და კონცენტრაციის რისკის მინიმალური დონე ,** რადგან მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღი მდგრადი განვითარებისა და სტაბილური მომგებიანობისათვის.

- **განავითაროს ვაჭრობის დაფინანსების მიმართულება**. რადგან თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და არის უამრავი კომპანია, რომელიც დაკავებულია თურქეთთან ექსპორტ/იმპორტით, ამ კლიენტებისათვის ამ მიმართულებით მომსახურებისა და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სხვადასხვა ტიპის საბანკო გარანტიებისა და აკრედიტივების შეთავაზებით წარმოადგენს ბანკისათვის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე.

- **ფინანსური კონსულტანტის მომსახურება**. ბანკი, როგორც წევრი უმსხვილესი საბანკო ჯგუფის, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო თითქმის ყველა ქვეყანაში, ნერგავს ფინანსური კონსულტანტის მომსახურებას ჯგუფში დაკავშირებული კომპანიების დახმარებით იმ კლიენტებისათვის, რომლებიც ძირითადად დაკავებული არიან ექსპორტით და შესაბამისად, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ღირებული ინფორმაცია და ცოდნა კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობასა და რეგულაციებზე.

ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვა ხელს უწყობს ბანკს თავის ძირითადი მიზნების მიღწევასა და აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაში. აქტიური კლიენტების რაოდენობა 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა: 14 ათასს (2019: 13 ათასი; 2018: 12 ათასი; 2017: 10 ათასი; 2016: 8 ათასი).

2021 -2023 წლების სტრატეგია დადასტურდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკის მენეჯმენტი აკონტროლებს განსაზღვრული პრინციპების ეფექტურ დანერგვას ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში შედეგების ძირითადი მაჩვენებლების ანალიზით. მენეჯმენტმა განსაზღვრა სტრატეგიის განხორციელების გეგმა, პროცესის ეფექტური კონტროლისათვის. გეგმებიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად, მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს პროცესს და წარუდგენს მიმდინარე სტატუსს აღმასრულებელ და სამეთვალყურეო საბჭოებს.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები

1. მიზანი

ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიზანია განისაზღვროს იშბანკი საქართველოს ძირითადი პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია მისი ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებთან და განსაზღვროს მიდგომა ამ ასპექტების ინტეგრირებისათვის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ბანკის დაფინანსების პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებები საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. ამრიგად, საჭიროა ბანკმა მიიღოს აუცილებელი ზომები ამ რისკებისა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, ერთი მხრივ და ამავე დროს, ხელი შეუწყოს სხვა დადებითი ეფექტების მაქსიმუმადე მიყვანას.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ეფექტური მართვისათვის, აუცილებელია გამოვლენილი, შეფასებული, შერბილებული და გაკონტროლებული იყოს ეს რისკები. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყველა მსესხებლის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მონიტორინგი, მათი პოტენციური რისკისა და ზემოქმედების და უზრუნველყოს შესაბამისობა, ამ პოლიტიკის მოთხოვნებთან.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)

2. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზანი

გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი ამოცანა:

ა) პოტენციური, ეკოლოგიური და სოციალური რისკების და უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება, მათ შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის რეპუტაციაზე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ბანკის მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ პროექტთან;

ბ) ეფექტიანი პროფილაქტიკური და შემარბილებელი ღონისძიებების, ასევე პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური შესაძლებლობების იდენტიფიცირება; და

გ) მათ ინტეგრირება საოპერაციო სტრუქტურაში.

ამდენად, ბანკს შეუძლია მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება დააფინანსოს თუ არა კონკრეტული მსესხებელი და თუ კი, რა არის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, რომლებიც უნდა განხილულ იქნეს პროექტის დაგეგმვის, დაფინანსებისა და განხორციელების დროს.

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების სიღრმე უნდა შეესაბამებოდეს განსახილველი სესხის ბუნებას და მასშტაბს და პოტენციური რისკების დონე და ხარისხი უნდა იყოს ადეკვატური გარემოსი, რომელზეც ასეთ პროექტს აქვს გავლენა.

3. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კრიტერიუმები

ბანკის მიერ დაფინანსებული სესხების ეკოლოგიური და სოციალური შეფასება ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში:

• კლიენტის ბიზნეს აქტივობასთან და კონკრეტულ დაფინანსებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, ზემოქმედებისა და შესაძლებლობების შეფასება და იდენტიფიკაცია და ამ რისკების მართვის მექანიზმების გამოვლენა;

• დაცულია თუ არა დასაქმებულის სამუშაო პირობები, სამართლიანი მოპყრობის პრინციპები, მინიმალური ასაკი, არადისკრიმინაციული მიდგომა, თანაბარი შესაძლებლობები, კოლექტიური ხელშეკრულებების უფლება, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო;

• კლიენტის ბიზნეს აქტივობასთან დაკავშირებული საკითხები,რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ მაცხოვრებლებზე, მათ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე;

• მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები, არანებაყოფლობით განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება;

• კლიენტის ბიზნეს აქტივობის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე და ამ ზემოქმედების გავლენის შერბილება;

• ნებისმიერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომელზეც გავლენას ახდენს კლიენტის საქმიანობა ან / და ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაცია;

4. გარემოსდაცვითი და სოციალური კლასიფიკაცია

ბანკი აკლასიფიცირებს მის ოპერაციებს შემდეგნაირად:

i) ასოცირებული პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური რისკები და ზემოქმედება და

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)

ii) ამ ზემოქმედებებისა და რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და შესამცირებლად საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კატეგორიზაცია. ეს კატეგორიები A, B +, B, C და განისაზღვრება შემდეგით:

ა. კატეგორია A წარმოადგენს მაღალი რისკის ოპერაციებს, რომლებსაც გააჩნიათ უარყოფითი გარემო და სოციალური ზემოქმედებები და რომლებიც მრავალფეროვანი, შეუქცევადი და უპრეცედენტოა;

ბ. კატეგორია B + არის საშუალო - მაღალი რისკის ოპერაციები, რომლებსაც აქვთ პოტენციალი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გენერირებისა, რაც, უმეტესად შექცევადია და შესაძლებელია შესაბამისი გავლენის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;

გ. კატეგორია B არის საშუალო რისკის ოპერაციები, რომლებსაც აქვთ შეზღუდული უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების პოტენციალი, რომელიც ადვილად შექცევადია შემარბილებელი ღონისძიებების საშუალებით;

დ. კატეგორია C დაბალი რისკის ოპერაციები, მინიმალური ან სრულად არ არსებული უარყოფითი გარემო და სოციალური ზემოქმედებებით;

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები მსესხებლებმა უნდა მართონ სესხის მთელ პერიოდში შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით. ამ ქმედებების განხორციელება ოპერაციების დაფინანსების პირობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

5. გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის მოთხოვნები

ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა სესხის მოთხოვნა უნდა იყოს შესაბამისობაში შემდეგ მინიმალურ გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნებთან:

• ეროვნული და ევროკავშირში მოქმედი გარემოსდაცვითი, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და საჯარო ინფორმაციის კანონები და რეგულაციები, მათ შორის, საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული ეროვნული ვალდებულებები;

• ნებართვების, დამტკიცების, ლიცენზიებისა და სერთიფიკატების არსებობა, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების მიხედვით. თუ ეს არ არის ხელმისაწვდომი სესხის დამტკიცების დროს, კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი გეგმა ასეთი ნებართვების, ლიცენზიებისა და სერტიფიკატების მისაღებად;

• არ მოიცავს ჩართულობას, გამოყენებას, განაწილებას, ვაჭრობას, ან გამონაკლისთა ჩამონათვალში გათვალისწინებულ საწარმოებს.

ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, რისკების ეფექტური მართვა მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება, რადგან გარემო, სადაც ბანკი ოპერირებს, ხასიათდება განვითარებადი ბაზრების სპეციფიკაციით. ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც ბანკი დგას, დაკავშირებულია საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რეისკებთან.

რისკის მართვა საბანკო საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ბანკის ოპერაციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბანკის ძლიერი რისკების მენეჯმენტი ასახავს ბანკის რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტის მიერ არსებულ მნიშვნელობას რისკების სტრატეგიის ფორმირებაში და საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვისთვის. რისკის ყოვლისმომცველი მართვისთვის საჭირო ყველა კომპონენტი ჩართულია რისკების ორგანიზაციის სტრუქტურაში: საწარმოს რისკის მენეჯმენტი; საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვა; რისკების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და აიტი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა; ჯვარედინი რისკის ანალიტიკური საშუალებები და ტექნიკა, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და სტრესის ტესტირება. ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდობის რისკს და საბაზრო რისკს. ის ასევე ექვემდებარება სხვადასხვა ოპერაციულ და ბიზნეს რისკებს.
რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ბანკის წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, შესაბამისი რისკის ლიმიტებისა და კონტროლის დადგენას, რისკების დონის მუდმივად მონიტორინგს და ლიმიტების დაცვას. რეგულარულად განიხილება რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რათა ასახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებებში და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
ხელმძღვანელობის ზოგადი პასუხისმგებლობაა რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობა, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლება, თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა და ასევ დიდი კრედიტების დამტკიცება.
ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის დირექტორი საკითხებში პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშეა ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე გარიგებების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების სისტემის, რისკების მართვის განყოფილების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ.
მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას.

რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვალებადობა და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლები და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

ბანკი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. მათი მონიტორინგი ხდება რეგულარულად და გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.
სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ბანკი მუდმივად აკონტროლებს, რომ სებ- ის სავალუტო პოზიციების ლიმიტები საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებით დაცული იყოს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ბანკს დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში), მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის წესები, და ჩამოყალიბებული აქვს საკრედიტო კომიტეტი, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი. საკრედიტო პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.
საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირისთვის ნებისმიერი სესხის გაცემამდე ბანკი მომხმარებლის ბიზნესისა და ფინანსური შედეგების კომპლექსურ შემოწმებას ატარებს.
საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდებობების მიღებით. ზემოაღნიშნული სესხების უზრუნველყოფის საგანს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა მნიშვნელოვანი არ არის.

რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი. ბანკი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ბანკი აქტიურად ცდილობს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზის შენარჩუნებას, რომ შეძლოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური მართვის და რისკის მართვის ქვეგანყოფილებები. ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ ხელმძღვანელობას კვირაში ერთხელ მიეწოდება. ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს და მათ ახორციელებს ხაზინის ქვეგანყოფილება. გარდა ამისა, ბანკი ახდენს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი ლიკვიდურობის კოეფიციენტის რეგულარულ მონიტორინგს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემის უკმარისობის, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის და გარეგანი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზარალის რისკი. როდესაც კონტროლი ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად, საოპერაციო რისკებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, ჰქონდეს იურიდიული ან რეგულირების გავლენა, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. ბანკი არ უნდა ელოდოს ყველა ოპერაციული რისკის აღმოფხვრას, მაგრამ ის ცდილობს ამ რისკების მართვას საკონტროლო ჩარჩოს მეშვეობით, პოტენციურ რისკებზე მონიტორინგისა და რეაგირების გზით. კონტროლი მოიცავს მოვალეობათა ეფექტურ დაყოფას, წვდომის, ავტორიზაციისა და შერიგების პროცედურებს, პერსონალის განათლებას და შეფასების პროცედურებს, როგორიცაა შიდა აუდიტის გამოყენება.

ანაზღაურება

ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული საკითხები წყდება ანაზღაურების კომიტეტის მიერ. ანაზღაურების ძირითადი პრინციპი ეფუძნება კონკურენტული სამოტივაციო სისტემის შეთავაზებას თანამშრომლებისათვის, რომ იყოს შესაძლებელი მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დასახული მიზნების მიღწევისათვის. ამ დროისათვის ბანკში არ არის რამე განსხვავებული ანაზღაურების სისტემა, მაგრამ ბანკი მუშაობს სამოტივაციო სისტემის შექმნაზე გაყიდვების და არა -გაყიდვებთან დაკავშირებული თანამშრომლებისათვის. ყველა თანამშრომელს აქვს ფიქსირებული ხელფასი და ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი.

ანგარიშგების სხვა საკითხები

სს „იშბანკი საქართველო“ არ ახორციელებს რაიმე მნიშვნელოვან კვლევასა და განვითარების აქტივობას.

სს „იშბანკი საქართველო“ არ ფლობს რაიმე წილს ხაზინაში და არ შეუძენია/გაუსხვისებია წილები 2020 წელს.

სს იშბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2020

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3
ძირითადი მაჩვენებლები 4
ბანკის საქმიანობა და არაფინანსური მაჩვენებლები 9
გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები 10
აქციონერის სტრუქტურა 14
კორპორატიული მმართველობა 18
რისკების მართვა 27
ანაზღაურება 30
ანგარიშგების სხვა საკითხები 30

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ოზან გური
გენერალური დირექტორი

უჩა სარალიძე
ფინანსური დირექტორი

ძირითადი მაჩვენებლები

	2020	2019	2018
მომგებიანობა			
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.30%	6.30%	5.85%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	1.37%	1.68%	2.51%
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.78%	5.47%	4.08%
წმინდა საპროცენტო მარჟა	6.84%	6.72%	4.61%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.14%	2.25%	1.02%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	10.86%	7.47%	4.43%
აქტივების ხარისხი			
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	1.16%	2.75%	1.93%
სშდრ / მთლიან სესხებთან	0.44%	0.52%	0.49%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	60.18%	58.59%	64.28%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	66.62%	65.36%	65.76%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	52.34%	-0.65%	-0.80%
ლიკვიდობა			
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	28.22%	42.42%	36.08%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	92.43%	94.58%	92.33%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	11.12%	6.14%	4.54%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი			
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	81,903,876	110,089,136	68,091,162
ფულის წმინდა გადინება (სულ)	61,860,189	75,563,024	46,919,640
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	132.40%	145.69%	145.12%

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავალი (აუდირებული მონაცემები)

	2020 000'ლარი	*2019 000'ლარი*	*2018 000'ლარი*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	19,388	17,003	14,672
საპროცენტო ხარჯი	(4,203)	(4,542)	(6,284)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**15,185**	**12,461**	**8,388**
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	2,846	2,559	1,457
საკომისიო ხარჯი	(1,055)	(1,149)	(1,366)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**1,791**	**1,410**	**91**
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	827	898	1,748
საოპერაციო შემოსავალი	**17,803**	**14,769**	**10,227**
საკრედიტო ზარალის შემობრუნება	(254)	(210)	443
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(4,850)	(4,555)	(4,635)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(2,646)	(2,548)	(2,808)
დასაბეგრი მოგება	**10,053**	**7,456**	**3,227**
მოგების გადასახადის ხარჯი	(378)	(1,394)	(677)
წლის მოგება	**9,675**	**6,062**	**2,550**
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად			
არარეალიზებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	–	–	–
წმინდა ცვლილება იმ სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	608	(282)	(621)
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	(91)	42	94
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ რეკლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად:	**517**	**(240)**	**(527)**
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა	**517**	**(240)**	**(527)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**10,192**	**5,822**	**2,023**

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

მომგებიანობის ანალიზი

N	ძირითადი მაჩვებებლები	31-Dec-20	31-Dec-19	31-Dec-18
1	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.30%	6.30%	5.85%
2	მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	1.37%	1.68%	2.51%
3	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.78%	5.47%	4.08%
4	წმინდა საპროცენტო მარჟა	6.84%	6.72%	4.61%
5	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.14%	2.25%	1.02%
6	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	10.86%	7.47%	4.43%

2020 წლის განმავლობაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები სს „იშბანკი საქართველო“-ს მაჩველებლებში

საბალანსო უწყისი (აუდირებული მონაცემები)

	2020 000'ლარი	*2019 000'ლარი*	*2018 000'ლარი*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32,485	57,013	38,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	9,190	1,627	5,155
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	36,217	24,609	26,567
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	236,955	155,420	156,471
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	18,038	33,704	25,461
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,354	2,541	984
სხვა აქტივები	4,749	812	11,257
სულ აქტივები	**339,988**	**275,726**	**263,926**
ვალდებულებები			
ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	136,521	133,656	106,509
მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები	75,820	36,862	38,352
სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული ვალი	29,188	15,674	31,916
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,264	1,013	649
სხვა ვალდებულებები	2,982	4,499	8,300
სულ ვალდებულებები	**245,775**	**191,704**	**185,726**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	69,162	69,162	69,162
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	(127)	(644)	(404)
გაუნაწილებელი მოგება	25,178	15,504	9,442
სულ საკუთარი კაპიტალი	**94,213**	**84,022**	**78,200**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**339,988**	**275,726**	**263,926**

სს „იშბანკი საქართველო“ იკავებდა მე-12 ადგილს საქართველოს კომერციულ ბანკებს შორის აქტივებით.

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)
კაპიტალის მართვა

ბანკი ინარჩუნებს კაპიტალის ბაზის მართვასთან დაკავშირებულ აქტივობებს ბიზნესის თანდაყოლილი რისკების დასაფარად და აკმაყოფილებს ადგილობრივი ბანკის ზედამხედველის, საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ხდება, სხვა ზომებთან ერთად, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ დადგენილი წესებისა და კოეფიციენტების გამოყენებით, (BIS წესები / კოეფიციენტები) რომელიც შემოღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკის მიერ კომერციული ბანკების ზედამხედველობის პროცესში.

ბანკი კაპიტალად მიიჩნევს იმ მუხლებს, რომლებიც კანონმდებლობით განისაზღვრება საკრედიტო დაწესებულებებისთვის კაპიტალად. სებ-ის არსებული კაპიტალის მოთხოვნების მიხედით, ბანკებმა კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი) მინიმალურ საზედამხედველო კაპიტალზე მაღალ დონეზე უნდა შეინარჩუნონ. ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია უზრუნველყოს სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნების დაცვა და ბანკის ფუნქციონირებადობის შენარჩუნება. სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და რომელსაც გადახედავენ და ხელს აწერენ ბანკის გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი.

ბაზელ 1

ბაზელ I-ის კაპიტალის მოთხოვნების თანახმად, ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის მინიმუმ 9.6%-იანი კოეფიციენტი („საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“), ხოლო პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის მინიმუმ 6.4% კოეფიციენტი უნდა შეინარჩუნონ. ბანკი აკმაყოფილებდა სებ-ის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. 2017 წელი ბაზელ I-ის კაპიტალის მოთხოვნის მოქმედების ბოლო წელია. 2018 წლის იანვრიდან იგი სრულად გაუქმდა.

2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა იყო:

ძირითადი პირველადი კაპიტალი: 7%; პირველადი კაპიტალი: 8.5% და საზედამხედველო კაპიტალი: 10.5%.

ბაზელ 3

2017 წლის დეკემბერში სებ-მა ცვლილებები შეიტანა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულებაში. კაპიტალის განახლებული ჩარჩოს მიხედვით, კაპიტალის მოთხოვნები დაიყო პილარ 1-ის მოთხოვნებად, რომელიც ეხება ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი მინიმალურ მოთხოვნებს და პილარ-1-ით და პილარ 2-ით გათვალისწინებულ დამატებით ბუფერებად.

პილარ 1

► კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი (რომელიც შედიოდა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებში) ცალკე გამოიყო და განისაზღვრა 2.5%-ის ოდენობით;
► კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი ამჟამად დადგენილია 0%-ის ოდენობით;
► სისტემურობის ბუფერი დაინერგება სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში.

პილარ 2

► სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერმა ჩაანაცვლა უცხოურ ვალუტებში გამოხატული არაჰეჯირებული სავალუტო სესხების კონსერვატიული შეწონვა;
► დაინერგება კონცენტრაციის რისკის ბუფერი სექტორული და ერთი მსესხებლის კონცენტრაციის რისკისთვის;
► წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი დაინერგება ბანკის მიერ წარმოდგენილ სტრეს-ტესტების შედეგებზე დაყრდნობით;
► მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ბუფერი ბანკის კონკრეტულ რისკებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე დაინერგა სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების კონკრეტული ზღვრები. აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ სესხის მომსახურების კოეფიციენტისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის ლიმიტებს, უფრო მაღალი რისკით შეიწონება.

საქართველოს ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო გეგმა კოვიდ-19-თან დაკავშირებით
კორონავირუსის (კოვიდ-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირებისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი სამეთვალყურეო გეგმა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანოების რეკომენდაციებთან.

დაუყოვნებელი ზომები:
• კაპიტალის კონსევარციის ბუფერის მოთხოვნების გაუქმება (2.5%);
• უცხოურ ვალუტაში ინდუცირებული საკრედიტო რისკის ბუფერის შემცირება 2/3-ით.
• კომერციული ბანკების ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტისთვის უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვების გამოქვითვის ზრდის გადადება, რომელიც შეიქმნა „აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო სასესხო ზარალის“ წესის მიხედვით.

სებ-ის მიერ დაწესებულია მორატორიუმი კომერციულო ბანკების ნებისმიერი მარეგულირებელი დარღვევის შესახებ, რაც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, როგორიცაა დამატებითი დაკრედიტო ზარალი, უცხოური ვალუტის კურსის რყევები და ა.შ.

სებ მოითხოვს, რომ ბანკმა შეინარჩუნოს სულ მცირე კაპიტალის მთლიანი ადეკვატურობის კოეფიციენტი 16.63%, პირველი საფეხურის კაპიტალის თანაფარდობა 8.10% და ძირითადი პირველი საფეხურის კაპიტალის თანაფარდობა 6.07% რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, გამოანგარიშებული ბაზელ III-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)
კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

სბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები დაანგარიშებული საქართველოს ეროვნული ბანკისა და ბაზელ II / III მოთხოვნების შესაბამისად მდგომარეობს შემდეგში:

000'ლარი	*2020*	*2019*	*2018*
საწესდებო კაპიტალი	69,162	69,162	69,162
გაუნაწილებელი მოგება	14,154	11,357	5,549
გამოქვითვები	(318)	(111)	(220)
მთლიანი ძირითადი პირველადი კაპიტალი და პირველადი კაპიტალი	**82,998**	**80,408**	**74,491**
სუბორდინირებული ვალი (საზედამხედველო კაპიტალში ჩართული)	–	–	–
სესხებზე შესაძლო დანაკარგების ზოგადი რეზერვი (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	4,423	3,208	3,394
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**87,421**	**83,616**	**77,885**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები			
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (საბალანსო და გარესაბალანსო მუხლები)	353,850	256,660	271,488
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,464	1,503	346
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	26,884	22,161	18,304
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**382,198**	**280,324**	**290,138**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**22.00%**	**28.68%**	**25.67%**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**22.00%**	**28.68%**	**25.67%**
სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	**23.00%**	**29.83%**	**26.84%**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა	**6.00%**	**9.14%**	**9.31%**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა	**8.00%**	**11.35%**	**11.59%**
სულ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	**17.00%**	**19.90%**	**20.38%**

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები ფასდება რისკის წონების იერარქიით, რომელიც კლასიფიცირდება მათი ხასიათის მიხედვით და ასახავს თითოეულ აქტივთან და კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების შეფასებას, ნებისმიერი დასაშვები გირაოს ან თავდებობის გათვალისწინებით.

ბანკის საქმიანობა და არაფინანსური მაჩვენებლები

სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი”) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას რომელიც იურიდიულ პირად იქნა დარეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად , 2015 წლის 29 ივნისს. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2015 წლის 1 აგვისტოს მინიჭებული ლიცენზიის (№ 368) შესაბამისად. ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611.

რეორგანიზაციამდე (2015 წლის 1 აგვისტო) ბანკი წარმოადგენდა სს „თურქეთის იშ ბანკის“ ბათუმის ფილიალს, დარეგისტრირებულს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლიცენზია №: 908) როგორც თურქეთში 1924 წელს დაფუძნებული უცხოური ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი ბანკი“ ან „მფლობელი“) ფილიალი.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი მთავარი ოფისი თბილისშია განთავსებული და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე როგორც 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გააჩნია ორი ფილიალი თბილისსა და ბათუმში.

ბანკის ოფიციალური იურიდიული მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზირი 140/ბ, თბილისი, საქართველო. 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის 100%- იან წილს ფლობდა „თურქეთის იშ ბანკი“.

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა იშბანკის წევრების დამატებითი საპენსიო უზრუნველყოფის ფონდი. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

სტრატეგია

ბანკის მთავარი მიზანია გახდეს ბიზნესისა და საცალო კლიენტების ეფექტური მხარდამჭერი. როგორც უმსხვილესი თურქული ბანკის შვილობილი, ჩვენ ვცილობთ, ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ დაგროვილი საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა გადმოვიტანოთ საქართველოში. ჩვენი სტრატეგია ორიენტირებულია აქციონერისათვის გრძელვადიანი სტაბილური მომგებიანობის უზრუნველყოფასა და მდგრად ზრდა/განვითარებაზე, რისკების ეფექტური მართვით კარგად დაბალანსებული აქტივების ზრდით.

ჩვენი ძირითადი ღირებულებებია:

- მკაფიო ბიზნესის მოდელის შექმნა;
- მომხმარებელზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბება;
- სტაბილური ფინანსური შედეგების უზრუნველყოფა.

ყოველი წლის ბოლოს ბანკი ანხორციელებს მიმდინარე სიტუაციის დეტალურ შეფასებას და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი სამი წლისათვის. ბანკის სტრატეგია დეტალურად აღწერს იმ ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ბანკი გეგმავს მისი ძირითადი გეგმებისა და შედეგების მიღწევას. 2021 წლის დასაწყისში ბანკმა განსაზღვრა სტრატეგია 2021 – 2023 წლებისათვის. 2023 წლისათვის განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის ბანკი ძირითადად ორიენტირებულია შემდეგ პრინციპებზე:

- **განავითაროს და შეთავაზოს ციფრული პროდუქტების ფართო არჩევანი.** რადგან ციფრული პროდუქტები და მომსახურება მძლავრად ვითარდება და მოთხოვნაც სწრაფად იზრდება საქართველოში, ბანკი გეგმავს აქტიურად ინვესტირებას ტექნოლოგიებში, რომ შეძლოს ყველაზე მოქნილი და ეფექტური გადაწყვეტილებების შეთავაზება თავისი კლიენტებისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია როგორც ბანკისათვის, ისე მისი მომხმარებლებისათვის ბიზნესში მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევისათვის, რომელიც, თავის მხრივ გამოათავისუფლებს მნიშვნელოვან დროს მათი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

- **მიოზიდოს და გაზარდოს მომხმარებელთა ბაზა** მრავალფეროვანი პროდუქტების შეთავაზებით მოქნილი პირობებითა და კონკურენტული ფასებით. რადგან ბანკი არის უმსხვილესი კერძო თურქული ბანკის შვილობილი, იგი აპირებს გამოიყენოს მშობელი კომპანიის მაღალი რეპუტაცია და სანდოობა ფინანსური რესურსების კონკურენტულ ფასებში მოსაზიდად. ამ მიმართულების განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვალიფიციური თანამშრომლების გუნდი, რაშიც ბანკი ანხორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციას, შესაბამისად, ბანკმა გაზარდა თანამშრომლების რაოდენობა 69%-ით ბოლო 5 წლის განმაბლობაში (2020: 64; 2019: 68; 2015: 38).

- **დივერსიფიკაცია და კონცენტრაციის რისკის მინიმალური დონე ,** რადგან მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღი მდგრადი განვითარებისა და სტაბილური მომგებიანობისათვის.

- **განავითაროს ვაჭრობის დაფინანსების მიმართულება**. რადგან თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და არის უამრავი კომპანია, რომელიც დაკავებულია თურქეთთან ექსპორტ/იმპორტით, ამ კლიენტებისათვის ამ მიმართულებით მომსახურებისა და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სხვადასხვა ტიპის საბანკო გარანტიებისა და აკრედიტივების შეთავაზებით წარმოადგენს ბანკისათვის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე.

- **ფინანსური კონსულტანტის მომსახურება**. ბანკი, როგორც წევრი უმსხვილესი საბანკო ჯგუფის, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო თითქმის ყველა ქვეყანაში, ნერგავს ფინანსური კონსულტანტის მომსახურებას ჯგუფში დაკავშირებული კომპანიების დახმარებით იმ კლიენტებისათვის, რომლებიც ძირითადად დაკავებული არიან ექსპორტით და შესაბამისად, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ღირებული ინფორმაცია და ცოდნა კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობასა და რეგულაციებზე.

ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვა ხელს უწყობს ბანკს თავის ძირითადი მიზნების მიღწევასა და აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაში. აქტიური კლიენტების რაოდენობა 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა: 14 ათასს (2019: 13 ათასი; 2018: 12 ათასი; 2017: 10 ათასი; 2016: 8 ათასი).

2021 -2023 წლების სტრატეგია დადასტურდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკის მენეჯმენტი აკონტროლებს განსაზღვრული პრინციპების ეფექტურ დანერგვას ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში შედეგების ძირითადი მაჩვენებლების ანალიზით. მენეჯმენტმა განსაზღვრა სტრატეგიის განხორციელების გეგმა, პროცესის ეფექტური კონტროლისათვის. გეგმებიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად, მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს პროცესს და წარუდგენს მიმდინარე სტატუსს აღმასრულებელ და სამეთვალყურეო საბჭოებს.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები

1. მიზანი

ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიზანია განისაზღვროს იშბანკი საქართველოს ძირითადი პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია მისი ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებთან და განსაზღვროს მიდგომა ამ ასპექტების ინტეგრირებისათვის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ბანკის დაფინანსების პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებები საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. ამრიგად, საჭიროა ბანკმა მიიღოს აუცილებელი ზომები ამ რისკებისა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, ერთი მხრივ და ამავე დროს, ხელი შეუწყოს სხვა დადებითი ეფექტების მაქსიმუმადე მიყვანას.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ეფექტური მართვისათვის, აუცილებელია გამოვლენილი, შეფასებული, შერბილებული და გაკონტროლებული იყოს ეს რისკები. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყველა მსესხებლის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მონიტორინგი, მათი პოტენციური რისკისა და ზემოქმედების და უზრუნველყოს შესაბამისობა, ამ პოლიტიკის მოთხოვნებთან.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)

2. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზანი

გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი ამოცანა:

ა) პოტენციური, ეკოლოგიური და სოციალური რისკების და უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება, მათ შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის რეპუტაციაზე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ბანკის მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ პროექტთან;

ბ) ეფექტიანი პროფილაქტიკური და შემარბილებელი ღონისძიებების, ასევე პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური შესაძლებლობების იდენტიფიცირება; და

გ) მათ ინტეგრირება საოპერაციო სტრუქტურაში.

ამდენად, ბანკს შეუძლია მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება დააფინანსოს თუ არა კონკრეტული მსესხებელი და თუ კი, რა არის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, რომლებიც უნდა განხილულ იქნეს პროექტის დაგეგმვის, დაფინანსებისა და განხორციელების დროს.

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების სიღრმე უნდა შეესაბამებოდეს განსახილველი სესხის ბუნებას და მასშტაბს და პოტენციური რისკების დონე და ხარისხი უნდა იყოს ადეკვატური გარემოსი, რომელზეც ასეთ პროექტს აქვს გავლენა.

3. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კრიტერიუმები

ბანკის მიერ დაფინანსებული სესხების ეკოლოგიური და სოციალური შეფასება ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში:

• კლიენტის ბიზნეს აქტივობასთან და კონკრეტულ დაფინანსებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, ზემოქმედებისა და შესაძლებლობების შეფასება და იდენტიფიკაცია და ამ რისკების მართვის მექანიზმების გამოვლენა;

• დაცულია თუ არა დასაქმებულის სამუშაო პირობები, სამართლიანი მოპყრობის პრინციპები, მინიმალური ასაკი, არადისკრიმინაციული მიდგომა, თანაბარი შესაძლებლობები, კოლექტიური ხელშეკრულებების უფლება, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო;

• კლიენტის ბიზნეს აქტივობასთან დაკავშირებული საკითხები,რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ მაცხოვრებლებზე, მათ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე;

• მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები, არანებაყოფლობით განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება;

• კლიენტის ბიზნეს აქტივობის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე და ამ ზემოქმედების გავლენის შერბილება;

• ნებისმიერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომელზეც გავლენას ახდენს კლიენტის საქმიანობა ან / და ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაცია;

4. გარემოსდაცვითი და სოციალური კლასიფიკაცია

ბანკი აკლასიფიცირებს მის ოპერაციებს შემდეგნაირად:

i) ასოცირებული პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური რისკები და ზემოქმედება და

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)

ii) ამ ზემოქმედებებისა და რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და შესამცირებლად საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კატეგორიზაცია. ეს კატეგორიები A, B +, B, C და განისაზღვრება შემდეგით:

ა. კატეგორია A წარმოადგენს მაღალი რისკის ოპერაციებს, რომლებსაც გააჩნიათ უარყოფითი გარემო და სოციალური ზემოქმედებები და რომლებიც მრავალფეროვანი, შეუქცევადი და უპრეცედენტოა;

ბ. კატეგორია B + არის საშუალო - მაღალი რისკის ოპერაციები, რომლებსაც აქვთ პოტენციალი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გენერირებისა, რაც, უმეტესად შექცევადია და შესაძლებელია შესაბამისი გავლენის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;

გ. კატეგორია B არის საშუალო რისკის ოპერაციები, რომლებსაც აქვთ შეზღუდული უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების პოტენციალი, რომელიც ადვილად შექცევადია შემარბილებელი ღონისძიებების საშუალებით;

დ. კატეგორია C დაბალი რისკის ოპერაციები, მინიმალური ან სრულად არ არსებული უარყოფითი გარემო და სოციალური ზემოქმედებებით;

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები მსესხებლებმა უნდა მართონ სესხის მთელ პერიოდში შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით. ამ ქმედებების განხორციელება ოპერაციების დაფინანსების პირობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

5. გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის მოთხოვნები

ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა სესხის მოთხოვნა უნდა იყოს შესაბამისობაში შემდეგ მინიმალურ გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნებთან:

• ეროვნული და ევროკავშირში მოქმედი გარემოსდაცვითი, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და საჯარო ინფორმაციის კანონები და რეგულაციები, მათ შორის, საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული ეროვნული ვალდებულებები;

• ნებართვების, დამტკიცების, ლიცენზიებისა და სერთიფიკატების არსებობა, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების მიხედვით. თუ ეს არ არის ხელმისაწვდომი სესხის დამტკიცების დროს, კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი გეგმა ასეთი ნებართვების, ლიცენზიებისა და სერტიფიკატების მისაღებად;

• არ მოიცავს ჩართულობას, გამოყენებას, განაწილებას, ვაჭრობას, ან გამონაკლისთა ჩამონათვალში გათვალისწინებულ საწარმოებს.

ბანკი, როგორც წესი, სესხის დამტკიცების მომენტისათვის მოითხოვს შესაბამისობას გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისობის დაცვა ვერ ხერხდება სესხის დამტკიცების მომენტში, ბანკი და კლიენტი ერთობლივად თანხმდებიან გეგმაზე, მოთხოვნილი შესაბამისობის გონივრულ ვადაში მიღწევისთვის. ასეთი შეთანხმება მოიცავს შესაბამის განმარტებებს, თუ როგორ მოგვარდება შეუსაბამობა და რა ვადებში. თუ კლიენტი არ აჩვენებს დამაკმაყოფილებელ პროგრესს შესაბამისობის მისაღწევად, ბანკს შეუძლია გააუქმოს სესხი ან / და შეწყვიტოს დამატებითი დაფინანსება.

6. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება

შეფასების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს უახლეს ინფორმაციას, მათ შორის, კლიენტის ბიზნესის ან პროექტის ზუსტი აღწერა და დახასიათება და სოციალური და გარემოსდაცვითი მონაცემების დეტალიზაციის მისაღებ დონეზე.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები და საკითხები უნდა შეფასდეს მსესხებლის გავლენის სფეროზე. ზემოქმედების ეს სფერო შეიძლება მოიცავდეს ერთს ან რამდენიმეს შემდეგიდან:

a. კლიენტის მიერ საკუთრებაში ან მართვაში არსებული აქტივები და ობიექტები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის დაფინანსებასთან (ასე მაგალითად: საწარმოო ქარხანა, ელექტროგადამცემი დერეფნები, მილსადენები, არხები, პორტები, მისასვლელი გზები და სამშენებლო ბანაკები).
b. კლიენტების საქმიანობისათვის ან პროექტის შესრულებისათვის, კონტრაქტორების კონტროლის ქვეშ არსებული აქტივებითა და სხვა საშუალებებით ხელშეწყობა.
c. საქმიანობასთან დაკაშირებული ობიექტები, რომლებიც არ განიხილება/ფინანსდება ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში, შეიძლება იყოს დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომელთა პროდუქცია და მომსახურება კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის.
d. კლიენტთა მფლობელობაში ან მართვაში არსებული ობიექტები, ოპერაციები და მომსახურება, რომლებიც ბანკისთვის წარმოადგენს უზრუნველყოფის პაკეტის ნაწილს.
e. ტერიტორიები და თემები, რომლებზეც პოტენციურად გავლენას ახდენს: პროექტის შემდგომი განვითარება ან სხვა, მსგავსი გავლენის მქონე წყაროები გეოგრაფიულ არეალში, ნებისმიერი არსებული თუ პროექტთან დაკავშირებული დაგეგმარება, რომელიც რეალისტურად შეიძლება განსაზღვრულიყო ანალიზის ჩატარების მომენტში .
f. ტერიტორიები და თემები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება დაზარალებულიყო დაუგეგმავი, მაგრამ პროგნოზირებადი აქტივობით პროექტიდან გამომდინარე და შეიძლება გამოვლინდეს მოგვიანებით ან სხვა ადგილას. გავლენის არეალი არ მოიცავს რისკებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო პროექტის განხორციელების გარეშეც ან მისგან დამოუკიდებლად.
g. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები და ზემოქმედება ასევე მოიცავს პროექტის ციკლის შესაბამისი საფეხურების ანალიზს. ეს შეიძლება მოიცავდეს წინასწარ მშენებლობას, მშენებლობას, ოპერაციებს და დეკონსტრუქციას ან დახურვასა და აღდგენას. სათანადო შემთხვევაში, შეფასებისას ასევე უნდა განიხილულ იქნას მესამე მხარის როლი და გავლენები, ისეთების, როგორიცაა ადგილობრივი და ეროვნული მთავრობა, კონტრაქტორები და მომწოდებლები, იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას მოახდენენ პროექტზე, აღიარებენ, რომ კლიენტის უნარი ამ რისკებისა და ზემოქმედების გადამისამართებისა, დამოკიდებული იქნება მესამე მხარის ქმედებებზე. პროექტის ძირითად ფუნქციებთან დაკავშირებული ზემოქმედებები განიხილება, როდესაც პროექტის მიერ გამოყენებული რესურსი ეკოლოგიურად სენსიტიურია ან იმ შემთხვევებში, როდესაც დაბალი შრომითი ღირებულება მატერიალური ფაქტორია მიწოდებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე. შეფასება ასევე განიხილავს პოტენციურ ტრანსსასაზღვრო და გლობალურ საკითხებს, როგორიცაა ექსპლუატაციებისა და ემისიების ზემოქმედება, საერთაშორისო წყალმზომების გაზრდის გამოყენება ან დაბინძურება, სათბურის გაზის ემისიები, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაციის საკითხები და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების და ჰაბიტატების ზემოქმედება.

7. შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეფასება და მონიტორინგი ეფუძნება მსესხებლის მიერ მოწოდებული და ვიზიტების დროს შეგროვებულ ინფორმაციას, რომლებიც სავალდებულოა A და B + კატეგორიის პროექტებისათვის და საჭიროებიდან გამომდინარე B კატეგორიის პროექტებისათვის.

შეფასება და მონიტორინგი ტარდება კლიენტთა წარმომადგენლის მიერ, რომელიც აწვდის სრულ ინფორმაციას ფინანსურ ანალიტიკოსს, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი გარემოებების

შესახებ. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შედეგები ფინანსური ანალიტიკოსის მიერ შედის სასესხო განაცხადის დამუშავებაში და წარედგინება საკრედიტო კომიტეტს მსესხებლის ფინანსურ ანალიზთან ერთად.

მაღალი რისკის მქონე და კომპლექსური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შემთხვევაში, ბანკს ან კლიენტს შეუძლია მოითხოვოს მესამე, დამოუკიდებელი მხარის წარმომადგენელი/კონსულტანტი, რათა შეაფასოს და გააკონტროლოს A და B + კატეგორიის ოპერაციები.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)

8. გადაწყვეტილების მიღება

ბანკის საკრედიტო კომიტეტში დასამტკიცებლად წარდგენილ სესხის განაცხადებს (კატეგორია A და B +) უნდა ჰქონდეს თანდართული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შემაჯამებელი ანალიზი.

ეს შეფასება უნდა შეიცავდეს კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის კატეგორიების აღწერას, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის აღწერას, მატერიალურ ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებს და გამოვლენილ ზემოქმედებას, შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას, პოტენციურად დაზარალებული დაინტერესებული მხარეების მიერ დასმულ ნებისმიერ შენიშვნას და საკითხებს, თუ როგორ იქნება მართული აღნიშნული შემთხვევები კლიენტის მიერ ოპერაციის/სესხის სრული პერიოდის განმავლობაში.

საკრედიტო კომიტეტმა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა გაითვალისწინოს სესხის/პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შედეგები.

9. დასკვნა

ბანკი იტოვებს უფლებას გადახედოს პოლიტიკას საჭიროების მიხედვით და შეიმუშავებს და შეინარჩუნებს ადეკვატურ გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურებს, მისი ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების დანერგვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია რისკების მართვის განყოფილება.

აქციონერის სტრუქტურა

სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს 1924 წელს თურქეთში დაფუძნებული ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი ბანკი“, „აქციონერი“ ან „თურქეთის იშბანკი“) შვილობილ კომპანიას. თურქეთის იშბანკი საქართველოს ბაზარზე 2012 წელს შემოვიდა, როდესაც სს „თურქეთის იშბანკის ბათუმის ფილიალი” (შემდგომში „ფილიალი“) გაიხსნა. ფილიალის ოფიციალური რეგისტრაციის თარიღია 2012 წლის 13 ივლისი (საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიის #908). 2015 წლის 1 აგვისტოს მოხდა ფილიალის რეორგანიზაცია ბანკად - სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) (ლიცენზიის # 368). ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611. აქციონერი ფლობს ბანკის 100%-იან წილს.

სს „თურქეთის იშბანკი“ (აქციონერი) მოკლე მიმოხილვა


მშობელი ბანკი წარმოადგენს უმსხვილეს კერძო ბანკს თურქეთში მთლიანი აქტივების, სესხებისა, დეპოზიტების მოცულობისა და ბანკომატების რაოდენობის მიხედვით. მთლიანი აქტივების მოცულობა 2020 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით შეადგენდა 80.877 მილიონ აშშ დოლარს. მთლიანი აქტივების 58%-ს სესხების პორტფელი შეადგენს. დეპოზიტების მოცულობა შეადგენს 50.233 მილიონ აშშ დოლარს, რაც მთლიანი ვალდებულებების 70%-ია. ბანკს აქვს თურქულ ლირაში არსებული დაფინანსების უმსხვილესი ბაზა კერძო მფლობელობის ბანკებს შორის.

ბანკისა და ჯგუფის საქმიანობა თურქეთში დაიწყო 1924 წელს. ბანკი უზრუნველყოფს კერძო, საცალო, კომერციულ და კორპორაციულ საბანკო საქმიანობას, ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოპერაციებს, აგრეთვე საერთაშორისო საბანკო მომსახურებას. ბანკი დღეისათვის ფუნქციონირებს 1205 ფილიალით თურქეთში და 22 უცხოური ფილიალით: 15 ფილიალი ჩრდილოეთ კვიპროსში, 2 ფილიალი დიდ ბრიტანეთში (ლონდონი), 2 ფილიალი კოსოვოში (პრიშტინა და პრიზრენში), 2 ფილიალი ერაყში (ერბილსა და ბაღდადში) , 1 ფილიალი ბაჰრეინში (მანამა).

ბანკის აქციონერი წარმოდგენილია 3 შვილობილი ბანკით: საქართველოში (სათავო ოფისი და 2 ფილიალი თბილისსა და ბათუმში), გერმანიასა (9 ფილიალი გერმანიაში და ერთი ფილიალი ნიდერლანდების სამეფოში) და რუსეთში (ორი ფილიალი და ერთი სერვის ცენტრი).

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

აქციონერის სტრუქტურა შემდეგია:



იშბანკის საპენსიო ფონდი – 37.08%: საპენსიო ფონდი მოქმედებს როგორც ბანკის აქტიური, ისე პენსიონერი თანამშრომლების სახელით.
ათათურქის აქციები - 28.09%: რესპუბლიკური სახალხო პარტია (CHP) სამართალმემკვიდრეა იმ აქციების, რომლებიც თავდაპირველად ათათურკს (Isbank– ის დამფუძნებელი) ეკუთვნოდა. ათათურქის საკუთრებაში არსებულ ამ აქციებს წარმოადგენს CHP ათათურქის ნების შესაბამისად. რადგან ამ აქციების დივიდენდიდან მიღებული შემოსავლები თურქეთის ენათმეცნიერულ საზოგადოებასა და თურქეთის ისტორიულ საზოგადოებას ათათურქის ანდერძის შესაბამისად დარჩა, დივიდენდის გადახდა ხდება ხსენებულ ინსტიტუტებზე ათათურქის ნებით და სამართლებრივ ჩარჩოებში.
თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი აქციები – 34.83%.
აქციები კვოტირებულია სტამბულის საფონდო ბირჟაზე და ასევე ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე GDR-ების ფორმით.
მშობელი კომპანიის საერთაშორისო რეიტინგი შემდეგია:

S&P Global

FC Issuer Credit Rating	B+ / Stable / B
LC Issuer Credit Rating	B+ / Stable / B
Turkish National Scale	trA+ / trA-1

FitchRatings

FC Issuer Default Rating	B+ / Negative / B
LC Issuer Default Rating	B+ / Stable / B
National Long Term Rating	A+(tur) / Stable
Viability Rating	b+
Support Rating	5
Support Rating Floor	B
Senior Unsecured Notes	B+/B
Subordinated Debt Notes	B-

Moody's

FC Bank Deposit	B3 / Negative / Not-Prime
LC Bank Deposit	B3 / Negative / Not-Prime
Senior Unsecured Debt Rating	B3 / Negative

** გრძელვადიანი / ხედვა / მოკლევადიანი*

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები დეტალურად გაწერილია ბანკის წესდებაში, რომელიც იცავს ბანკის, როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს სუბიექტის, ასევე აქციონერის ინტერესებს.

ბანკის აქციონერს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე საკმარისი ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე; ასევე მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;

გ) მიიღოს მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში, გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხებზე, დასვას შეკითხვები და წამოაყენოს წინადადებები;

დ) მიიღოს მონაწილეობა ბანკის მართვაში აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების გზით;

ე) შეიძინოს ან/და გაასხვისოს აქციები; მიიღოს დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;

ვ) მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე;

ზ) გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში);

თ) გაეცნოს ბანკის წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს, ასევე ინფორმაციებს მნიშვნელოვანი შენაძენისა და ბანკის მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ;

ი) მმართველი ორგანოს წევრებისაგან მიიღოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ბანკის მმართველი ორგანოების გასული, მიმდინარე და სამიზნე საქმიანობის, მნიშვნელოვანი აქტივების შეძენისა და გასხვისების, ასევე მისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. უარი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე შეიძლება ეთქვას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს საზიანოა ბანკის კომერციული ინტერესებისთვის, რაც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული;

კ) ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა. აღნიშნული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკის აქციათა ხუთი ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერს ასევე უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება; საერთო კრების მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. შემოწმებას ახორციელებს აქციონერის მიერ შერჩეული შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სპეციალურ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ბანკი;

ბ) მოითხოვოს, ბანკის ინტერესების შესაბამისად, რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. თუ ბანკის დირექტორები, მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში, არ მოიწვევენ კრებას, აქციონერს შეუძლია ამ მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს;

გ) მოითხოვოს კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანა; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვოს აგრეთვე, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია და ანგარიში;

დ) მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლი ან/და ინფორმაცია დასადები გარიგეგების შესახებ.

აქციონერს არა აქვს უფლება ხმა მისცეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.

თუ აქციონერს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზის გამო ირღვევა მისი, როგორც აქციონერის უფლება, ის უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად ან წერილობით მიაწოდოს აქციონერს დასაბუთებული პასუხი მის განცხადებაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ბანკის აქციონერებს აქვთ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გასაზღვრული სხვა უფლებები.

ჩვეულებრივ აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

ბანკის აქციონერი არის ერთ-ერთი უმსხვილესი კონგლომერატი თურქეთში. მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საბანკო და სხვა ფინანსურ მომსახურებასთან, რომელიც მოიცავს დაზღვევას, კერძო საპენსიო ფონდს, აქტივების მართვას, ლიზინგსა და ფაქტორინგს, საინვესტიციო საბანკო და საბროკერო მომსახურებებსა და მინის წარმოებას. 74.7% ივაჭრება საფონდო ბირჟებზე.

მინის წარმოება

შიშეჯამის მინის ტარის ჯგუფი აწარმოებს ექსკლუზიური დიზაინის შუშის ტარას სხვადასხვა მოცულობით, ფერით. **შიშეჯამი** აფართოებს წარმოებას მეზობელ ქვეყნებში. მისი პირველი ინვესტიცია საზღვარგარეთ იყო **ქსნის მინის ქარხნის** შეძენა 1997 წელს. **შიშეჯამის** 50.93%-ს ფლობს სს „თურქეთის იშ ბანკი". საქართველოსა და თურქეთის გარდა ჯგუფს საწარმოები აქვს 11 ქვეყანაში (გერმანია, იტალია, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, უკრაინა, რუსეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ეგვიპტე, ინდოეთი).


ფინანსური მომსახურება

კომპანიის დასახელება	საქმიანობის სფერო	ბანკის პირდაპირ წილი (%)	ჯგუფის წილი (%)	აქტივები (USD 000) (1)	საქციო კაპიტალი (USD 000) (1)	ბაზრის წილი (%) (1)	ბაზრის წილის მდგენელი
Türkiye Sınai Kalkınma Bankası A.Ş.	საინვესტიციო ბანკი	47.23	50.92	6,969,040	826,616	13.3	მთლიანი აქტივები
İşbank AG [2]	ბანკი	100.00	100.00	2,062,447	253,178	N/A	
JSC İşbank	ბანკი	100.00	100.00	157,611	57,413	N/A	
JSC Isbank Georgia	ბანკი	100.00	100.00	100,194	25,504	N/A	
Anadolu Anonim Türk Sigorta Şirketi	დაზღვევა	-	64.31	1,635,190	380,552	11.8	მიღებული პრემია
Anadolu Hayat Emeklilik A.Ş.	სიცოცხლის დაზღვევა და კერძო საპენსიო ფონდი	62.00	83.00	4,883,835	214,118	18/ 11.7 [3]	კერძო საპენსიო ფონდები მართვაში / სიცოცხლის პრემიის შემოსავალი
Milli Reasürans T.A.Ş. [2]	გადაზღვევა	87.60	87.60	683,225	314,468	6.1 [4]	მიღებული პრემია
İş Yatırım Menkul Değerler A.Ş. [2] [5]	საბროკერო საქმიანობა	65.65	70.69	1,000,870	238,243	9.67	ტრანზაქციების მოცულობა
Yatırım Finansman Menkul Değerler A.Ş. [2] [5]	საბროკერო საქმიანობა	-	98.42	169,337	19,484	2.7	ტრანზაქციების მოცულობა
İş Yatırım Ortaklığı A.Ş. [2]	ტრასტ კომპანია	-	38.66	31,518	31,322	39.1	NAV
İş Portföy Yönetimi A.Ş.	პორტფელის მართვა	-	100.00	25,730	22,921	16.83	მართვაში არსებული ფონდები
İş Finansal Kiralama A.Ş. [5]	ლიზინგი	27.79	58.24	1,727,910	232,593	11.4 [2]	ლიზინგისგან მისაღები თანხები
İş Faktoring A.Ş.	ფაქტორინგი	-	100.00	629,003	64,532	10.8 [2]	ფაქტორინგით მისაღები თანხები
İş Gayrimenkul Yatırım Ortaklığı A.Ş.	უძრავი ქონების მართვა	50.51	63.89	707,570	559,371	4.5	საბაზრო ღირებულება
İş Girişim Sermayesi Yatırım Ortaklığı A.Ş.	აქტივების მართვა	-	57.67	36,791	36,238	-	მთლიანი აქტივები
Efes Varlık Yönetim A.Ş. [2]	აქტივების მართვა	-	100.00	29,785	4,227	-	
TOTAL				20,850,056	3,280,780		

(1) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(2) 2020 წლის 30 სექტემბერის მდგომარეობით
(3) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; კერძო საპენსიო სისტემაში განსახორციელებელი თანხების მთლიანი თანხა (სახელმწიფო შენატანებისა და ავტომატურად ჩარიცხვის ჩათვლით) შეადგენს 170 მილიარდ ლირას, ხოლო Anadolu Hayat Emeklilik- ს შეადგენს 18%. კომპანიის საბაზრო წილი სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე 11.7% -ია იმავე თარიღისთვის..
(4) Milli Reasürans T.A.Ş. აქვს ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის გადაზღვევზე გადაცემული პრემიების დაახლოებით 6.1%. (5) კონსოლიდირებული მონაცემები

კორპორატიული მმართველობა

ორგანიზაციული სტრუქტურა


აქციონერთა საერთო კრება
სამეთვალყურეო საბჭო
აუდიტის კომიტეტი
შიდააუდიტის სამსახური
ანაზღაურების კომიტეტი
საკრედიტო კომიტეტი
საკრედიტოპორტფელის კომიტეტი
რისკების კომიტეტი
რისკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
რისკების მართვის სამსახური
AML და შესაბამისობის სამსახური
დირექტორთა საბჭო
გენერალური დირექტორი
გაყიდვებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
გენერალური დირექტორის მოადგილე
ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ბანკომატების ადმინისტრირების სამსახური
ფილიალების ქსელის მართვის სამსახური
ფინანსური ანალიზისა და კონსოლიდაციის სამსახური
ფინანსური სამსახური
ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება
რეპორტინგის განყოფილება
სტრატეგიული დაგეგმვის განყ.
თანხლები ბარათების განყოფილება
საბანკო ოპერაციების სამსახური
IT სამსახური
ბეკ-ოფისის განყოფილება
საბანკო სისტემების განყოფილება
ბანკომატების ადმინისტრირების განყოფილება
ფილიალების ქსელის მართვის განყ.
ბანკომატ

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების აქტივების შეძენის, გასხვისების გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების), რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას;
ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას ბანკის საქმიანობაზე. იგი შედგება 7 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე კვარტალში ერთხელ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის ძირითად სტრატეგიაზე და აკონტროლებს დასახულ მიზნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციაა:

ა) გაუწიოს კონტროლი დირექტორების საქმიანობას;
ბ) ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ბანკის საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;
გ) გააკონტროლოს და შეამოწმოს ბანკის საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, ბანკის სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას ეს შეუძლია დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
დ) მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება, თუ ამას ბანკის აუცილებლობა მოითხოვს;
ე) შეამოწმოს წლიური ანგარიშები. მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის შესახებ მოახსენოს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული ფინანსური წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
ვ) დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დირექტორები, ასევე დადოს და შეწყვიტოს მათთან ხელშეკრულებები; დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს აუდიტის კომიტეტის წევრები.
ზ) დაამტკიცოს ბანკის სტრუქტურა და ბანკის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
თ)წარმოადგინოს ბანკი დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა;
ი) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი.
კ) განსაზღვროს ბანკის ხედვა და მისია;
ლ) განსაზღვროს და განახორციელოს ბანკის ინვესტიციების, ფინანსების, აღრიცხვის, პერსონალის, ხელფასისა და ანაზღაურების და დივიდენდის პოლიტიკის მონიტორინგი.

საქმიანობა, რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს:

ა) საზოგადოების აქციების/წილების შესყიდვა ან გაყიდვა, ნებისმიერი საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობა, საკუთარ აქციებთან/წილებთან დაკავშირებით შეზღუდვების განხორციელებისთვის უფლების მიცემა;
ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
გ) წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;
დ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან გაცვლა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები);
ე) სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ვ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზურნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;
ზ) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
თ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
ი) ხელმძღვანელ პირებისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
კ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

ლ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
მ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
ნ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;
ო) ბანკის სასარგებლოდ უფლების დათმობა, ვალის პატიება, საჭიროებისას არბიტრაჟისთვის მიმართვა და მორიგება მოთხოვნებთან დაკავშირებით;
პ) ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიმართ სარჩელის შეტანა, ბანკის მიერ სასამართლო დავის დროს ან სანქციის დაკისრებისას განსახორციელებელი მოქმედების განსაზღვრა;
ჟ) სანებართვო მოწმობების, ლიცენზიების, მარეგულირებელ/სახელმწიფო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების ხელმოწერა, შეცვლა, განახლება და შეწყვეტა;
რ) კალენდარული წლის განმავლობაში ისეთი ინვესტიციების განხორციელება, რომლებიც აღემატება წინა კალენდარული წლის საკუთარი კაპიტალის 0.1%-ს; ინვესტიციების განხორციელება, რომლის მთლიანი თანხა აღემატება წინა წლის საკუთარი კაპიტალის 0.5%-ს;
ს) კალენდარული წლის განმავლობაში საქონლის და მომსახურების შეძენა, რომლის ღირებულება აღემატება წინა კალენდარული წლის საკუთარი კაპიტალის 0.05%-ს, ან თუ შესაძენი საქონლის და მომსახურების ღირებულება აღემატება წინა წლის საკუთარი კაპიტალის 0.25%-ს;
ტ) საგადასახადო ჯარიმების და ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდა;
უ) დეპარტამენტის ხელმძღვანელების ან მათთან გათანაბრებული პირების დანიშვნა, მათი ფინანსური და არაფინანსური უფლებების განსაზღვრა და მათი ანაზღაურებისა და დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ფ) გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად არ მიეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოს კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს, ასევე, გადაწყვეტილებებს კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. კერძოდ, ისინი ვალდებულები არიან იზრუნონ ბანკზე და მის სტაბილურობაზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედონ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია ბანკისათვის.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, წევრთა განათლება და გამოცდილება

ოზან გურსოი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონ ოზან გურსოის აქვს ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი საჯარო მმართველობაში. ის, ასევე, ფლობს ბირმინგემის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო საბანკო-საფინანსო დარგში და გავლილი აქვს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის უმაღლესი მენეჯმენტის პროგრამა.
ბატონმა გურსოიმ თურქეთის იშბანკში კარიერა დაიწყო 1996 წელს ასისტენტ ინსპექტორის თანამდებობაზე. 2006-2011 წლებში იკავებდა განყოფილების უფროსის მოადგილის და უფროსის თანამდებობებს სხვადასხვა განყოფილებაში. 2011 წელს დაინიშნა კომერციული ბანკინგის პროდუქტების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 2015 წელს გებზეს კორპორატიული ფილიალის დირექტორად. ბატონი გურსოი იკავებს თურქეთის იშბანკის აღმასრულებელი დიირექტორის მოადგილის თანამდედობას 2020 წლის 20 მაისიდან.
ბატონი გურსოი სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა 2020 წლის სექტემბრიდან.

მურათ ბილგიჩ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2020 წლის სექტემბრამდე)

ბატონ მურათ ბილგიჩს აქვს ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. ის, ასევე, ფლობს ბირმინგემის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საბანკო-საფინანსო დარგში და გავლილი აქვს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის უმაღლესი მენეჯმენტის პროგრამა.
ბატონმა ბილგიჩმა თურქეთის იშბანკში კარიერა დაიწყო 1990 წელს ინსპექტორთა საბჭოში ასისტენტ ინსპექტორის თანამდებობაზე. 1999 წელს დაინიშნა ასისტენტ მენეჯერის პოზიციაზე კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტში. მოგვიანებით, 2002 წელს, გახდა რეგიონალურ მენეჯერი, 2008 წელს კი დაწინაურდა კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. 2016 წლის 25 მარტიდან ბატონი ბილგიჩი თურქეთის იშბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეა.

ბატონი ბილგიჩი იყო სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2016 წლის დეკემბერიდან 2020 წლის სექტემბრამდე.

სეზგინ ლულე , სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონმა სეზგინ ლულემ 1998 წელს დაამთავრა ბოგაზიჩის უნივერსიტეტი, სტამბოლში და მიიღო ბაკალავრის ხარისხი სამრეწველო ინჟინერიაში. მას, ასევე, აქვს ბირმინგემის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო საბანკო საქმესა და ფინანსებში.
ბატონი ლულე თურქეთის იშბანკის გუნდს 1999 წელს შეუერთდა შიდა აუდიტორის პოზიციაზე. 2006-2009 წლებში მუშაობდა ბანკის მომხმარებლებზე ორიენტირებული ტრანსფორმაციის პროექტის მენეჯერის პოზიციაზე. 2009 წელს კი, გახდა ცვლილებების მართვის დეპარტამენტის მენეჯერი. 2011 წელს ბატონმა ლულემ გადაინაცვლა საწარმოო არქიტექტურის დეპარტამენტში მენეჯერის თანამდებობაზე. 2014-2016 წლებში ის იყო ციფრული ინოვაციების გუნდის ლიდერი და, პარალელურად, 2017 წლამდე მუშაობდა ბანკის ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პროგრამის მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე. 2017 წლიდან ბატონი ლულე იკავებს საწარმოო არქიტექტურის სამმართველოს უფროსის თანამდებობას.
ბატონი სეზგინ ლულე არის სს ,,იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2018 წლის ივნისიდან. 2020 წლის სექტემბრიდან დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ჯან იუჯელ , სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (2020 წლის სექტემბრამდე)

ბატონმა ჯან იუჯელმა 1999 წელს დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი და მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებებათა განხრით.
ბატონმა იუჯელმა 1999 წელს დაიწყო მუშაობა თურქეთის იშბანკში აუდიტორის პოზიციაზე, სადაც იმუშავა 8 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ მან გააგრძელა მუშაობა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების დეპარტამენტში ასისტენტ მენეჯერის პოზიციაზე, ხოლო 2009 წელს კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტში. 2011 წელს ბატონი ჯან იუჯელი დაწინაურდა პროექტის ფინანსების განყოფილების მენეჯერის პოზიციაზე. 2016 წლის მარტიდან ის იკავებს თურქეთის იშბანკის კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას.
ბატონი ჯან იუჯელი იყო სს "იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის სექტემბრამდე.

იავუზ ერგინ, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ბატონ იავუზ ერგინს აქვს ულუდაგის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი და ლუიზიანას უნივერსიტეტის, აშშ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი.
ბატონმა ერგინმა კარიერა 1983 წელს ანკარაში სითი ბანკში მენეჯერის პოზიციაზე დაიწყო. 1986 წლიდან ის მუშაობდა ფედერალურ საკრედიტო ბანკში (Federal Home Loan Bank) ინსპექტორის პოზიციაზე. ერთი წლის შემდეგ ის შეუერთდა ნიუ-იორკის ბანკს ასისტენტ ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე. 1990 წელს ბატონი ერგინი ნიუ იორკში ფერომინ ინტერნეიშენალის აღმასრულებელი დირექტორი გახდა. 1992 წლიდან ბატონი ერგინი სტამბოლის სითი ბანკში გადავიდა ვიცე-პრეზიდენტად და აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობდა 6 წლის განმავლობაში. 1998 წლიდან 11 წლის განმავლობაში იგი იყო ჟენევის BCP ბანკის გენერალური დირექტორი. 2010 წლიდან ბატონი ერგინი იკავებს თურქეთის იშბანკში მრჩევლის თანამდებობას.
ბატონი იავუზ ერგინი სს ,,იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2015 წლიდან. 2019 წლის ივლისიდან ბატონი ერგინი არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.

ნათია ჯანელიძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ქალბატონი ნათია ჯანელიძე ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს ფინანსებში, მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის, (აშშ) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს.

ქალბატონ ნათია ჯანელიძეს საფინანსო სექტორში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მან დაიწყო კარიერა სს „თიბისი ბანკში“ სესხების ოფიცრის პოზიციაზე. აშშ-ში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხის მოპოვებისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 2005 წელს მან განაგრძო მუშაობა თიბისი ბანკში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე, ხოლო 2007 წელს დაინიშნა კორპორატიული გაყიდვების უფროსის თანამდებობაზე. 2007 წელს ქალბატონი ჯანელიძე გადავიდა „ბანკ რესპუბლიკაში“ (ჯგუფი “სოსიეტე ჟენერალი“), სადაც დაახლოებით 8 წლის განმავლობაში იმუშავა სხვადასხვა მმართველ თანამდებობაზე: 2007-2008 წლებში იყო კორპორატიული პორტფელის მართვის დეპარტამენტის უფროსი და, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების დეპარტამენტის უფროსი; 2008-2011 წლებში მას ეკავა ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის პოზიცია, ხოლო 2011-2012 წლებში - მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკინგის

დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა; 2012-2014 წლებში კი, განსაკუთრებულ დავალებათა კოორდინატორი იყო. 2015 წელს ქალბატონი ნათია გადავიდა ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ (ATIPFUND). 2007-2010 წლებში ქალბატონი ჯანელიძე, ასევე, კითხულობდა ლექციებს კავკასიის უნივერსიტეტში საბანკო საქმისა და სესხების სტრუქტურუზაციის მიმართულებით.

2015 წლიდან ქალბატონი ნათია ჯანელიძე არის „გაზელ ფაინანსში“ (რეგიონალური საინვესტიციო ფონდი) საინვესტიციო/რეგიონალური დირექტორი. ის, ამავდროულად, არის გაზელ ფაინანსის საინვესტიციო კომიტეტის და პარტნიორობის წევრი. ნათია ჯანელიძე, ასევე, ხელმძღვანელობს ფინანსურ კომიტეტს ბიზნეს ასოციაციაში „ქალები მომავლისთვის“.

ქალბატონი ნათია ჯანელიძე სს ,,იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2019 წლის ივლისიდან.

ონურ ქუთუქი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2020 წლის სექტემბრამდე)

ბატონმა ონურ ქუთუქმა 1998 წელს დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის სტატისტიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი.
ბატონმა ქუთუქმა კარიერა დაიწყო 1998 წელს ანკარის უნივერსიტეტში მკვლევარის/სწავლების ასისტენტის თანაშემწედ. 2000 წელს ის შეუერთდა თურქეთის იშბანკის გუნდს, როგორც ტრენინგების განყოფილების სპეციალისტი. 2006 წელს ბატონი ქუთუქი გადავიდა თურქეთის იშბანკის ბაჰრეინის ფილიალის დაკრედიტების დეპარტამენტში უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე. 2 წლის შემდეგ დაინიშნა ხაზინის დეპარტამენტში უფროსი დილერის პოზიციაზე, ხოლო 2011 წელს გახდა ამავე დეპარტამენტის უფროსი. 2014 წელს ბატონი ონურ ქუთუქი გადავიდა თურქეთის იშბანკის სათავო ოფისში საერთაშორისო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 2016 წელს ის საზღვარგარეთის ფილიალების მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე გახდა, ხოლო 2018 წელს დაწინაურდა ამავე სამსახურის უფროსის პოზიციაზე.
ბატონი ონურ ქუთუქი იყო სს ,,იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის ივნისიდან 2020 წლის სექტემბრამდე.

ჰუსეინ სერდარ იუჯელ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონმა ჰუსეინ სერდარ იუჯელმა 1996 წელს დაამთავრა მარმარის უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში.
ბატონმა სერდარ იუჯელმა კარიერა დაიწყო 1996 წელს თურქეთის იშბანკის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტში ოფიცრის თანამდებობაზე. 1999 წელს ბატონი სერდარ იუჯელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტში საზღვარგარეთის საბანკო საქმიანობის განყოფილების სპეციალისტი გახდა. 2008 წელს ის დაინიშნა ამავე განყოფილების მენეჯერის პოზიციაზე. 2013 წლიდან ბატონი სერდარ იუჯელი მუშაობს თურქეთის იშბანკის შვილობილი კომპანიების მართვის დეპარტამენტში, 2016 წლიდან კი უკავია ამავე დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა.
ბატონი ჰუსეინ სერდარ იუჯელი არის სს ,,იშბანკი საქართველოს'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის ივნისიდან.

ბანუ ალთუნ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ქალბატონმა ბანუ ალთუნი მარმარის უნივერსიტეტის ეკონომიკის ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულია და ფლობს ბაკალავრის ხარისხს.
ქალბატონი ალთუნი თურქეთის იშბანკს შემოუერთდა 1994 წელს და კარიერა დაიწყო საკრედიტო ექსპერტის მოადგილის თანამდებობაზე. 2002 წელს დაინიშნა კორპორატიული სესხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2007 წელს გახდა ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2010-2018 წლებში ქალბანოტი ალთუნი იყო იშ ლიზინგის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2018-2020 წლებში თურქეთის იშბანკის მასლაქის კორპორატიული ფილიალის დირექტორი. 2020 წლიდან ქალბატონი ბანუ ალთუნი იკავებს კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტის უფროსის პოზიციას.
ქალბატონი ბანუ ალთუნი არის სს ,,იშბანკი საქართველოს'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2020 წლის სექტემბრიდან.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭო

ბანკის დირექტორთა საბჭოს ევალება ბანკის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე, შედეგებზე და საბჭოს საქმიანობის ბანკის მიზნების შესაბამისად წარმართვაზე.
დირექტორატს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

დირექტორთა საბჭოს მოვალეობები და კომპეტენციაა:

ა) განახორციელოს ბანკის მიმდინარე საქმიანობა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული შიდა პოლიტიკისა და ბიზნეს გეგმის შესაბამისად;
ბ) მოამზადოს შეთავაზებები, გადაწყვეტილებების პროექტები, ანგარიშები და სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ მოთხოვნილი ან წარსადგენი ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია;
გ) მიიღოს გადაწყვეტილებები თანამშრომლების შერჩევის, გათავისუფლების და ანაზღაურების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები ბანკის ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით.
დ) მოამზადოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად მიმდინარე წლის ბიზნეს-გეგმა არაუგვიანეს წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში;
ე) ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის ყველა ფილიალს, სტრუქტურულ ერთეულს და დეპარტამენტს და უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისათვის სათანადო სერვისის მიწოდება;
ვ) შეიმუშავოს და მოამზადოს ბანკის ნებისმიერი და ყველა სახის წესები და შიდა რეგულაციები და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად;
ზ) მიაწოდოს ინფორმაცია ეროვნულ ბანკს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
თ) მიანიჭოს კომპანიის თანამშრომლებს ხელმოწერის უფლებამოსილება;
ი) გასცეს რწმუნებულება კომპანიის თანამშრომლებსა და მესამე პირებზე როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური ხასიათისს;
კ) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს და საერთო კრების მიერ დავალებული ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სახის მოქმედება;
ლ) განახორციელოს ბანკის მიერ გაცემული კრედიტების უზრუნველყოფის სახით, თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით მდებარე, უძრავი ქონების რეგისტრაციის სამმართველოებში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკის დატვირთვის შესაძლებლობასთან ერთად, მანამდე დატვირთული იპოთეკების მოხსნის უზრუნველსაყოფად, ბანკის გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილის ერთობლივი ხელმოწერით, მესამე პირებისთვის მინდობილობის მიცემის საკითხში უფლებამოსილების მინიჭება.

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა; წევრთა განათლება და გამოცდილება

1.ოზან გურ, გენერალური დირექტორი

ბატონმა ოზან გურმა დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკისა და სამრეწველო ურთიერთობების ფაკულტეტი და მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი. მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მან მოიპოვა სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში.
ბატონი ოზან გურის კარიერა თურქეთის იშბანკში 1999 წელს დაიწყო. 9 წლის განმავლობაში მან შიდა აუდიტორის პოზიციაზე იმუშავა. ამის შემდეგ კი გაყიდვების მიმართულებით გააგრძელა მუშაობა. 2008 წელს ბატონი გური დაინიშნა საცალო დაკრედიტების დეპარტამენტში დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, ხოლო შემდგომ გახდა პროექტის მენეჯერი. ბატონ გურს, ასევე, ეკავა ხელმძღვანელი პოზიციები საბარათე გადახდების სისტემებისა და საცალო დაკრედიტების დეპარტამენტებში. 2014-2016 წლებში ის სს „იშბანკი რუსეთში", მოსკოვში, ხელმძღვანელობდა საცალო დაკრედიტების დეპარტამენტს.
ბატონი ოზან გური არის სს „იშბანკი საქართველოს" გენერალური დირექტორი 2016 წლიდან.

2.ჰაქან ქურალ, გენერალური დირექტორის მოადგილე

ბატონმა ჰაქან ქურალმა ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები ეკონომეტრიკაში მიიღო დოქუზ ეიულის უნივერსიტეტში, იზმირში. ის ამჟამად არის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი აკდენიზის უნივერსიტეტში, ანტალიაში.
ბატონმა ქურალმა კარიერა 2006 წელს დაიწყო თურქეთის იშბანკის აკდენიზის კორპორატიულ ფილიალში კორპორატიული ბანკინგის მარკეტინგის სპეციალისტის პოზიციაზე. 2017 წელს ის დაწინაურდა ფილიალის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, სადაც ხელმძღვანელობდა ფილიალის მარკეტინგისა და გაყიდვების

საქმიანობას, კორპორატიული დაკრედიტების, საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის, სვიფტების და სხვა ოპერაციებს.
ბატონი ქურალი სს „იშბანკ საქართველოს“ გუნდს შეუერთდა 2019 წლის ივლისში. 2019 წლის დეკემბრიდან მას უკავია გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა.

3.თეიმურაზ პირმისაშვილი, დირექტორი

ბატონ თეიმურაზ პირმისაშვილს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ფლობს ბაკალავრის დიპლომს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

ბატონმა პირმისაშვილმა კარიერა 2002 წელს ბრიტანეთის საელჩოში დაიწყო. მისი საბანკო გამოცდილება კი 10-ზე მეტ წელს ითვლის. 2008 წლიდან მუშაობდა სს „თიბისი ბანკში“ კორპორატიული დაკრედიტების განყოფილებაში. 2016 წელს ბატონი პირმისაშვილი შეუერთდა სს „იშბანკი საქართველო” გუნდს კორპორატიული გაყიდვების ხელმძღვანელის პოზიციაზე, ხოლო 2017 წელს საკრედიტო გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსად დაწინაურდა.

ბატონი თეიმურაზ პირმისაშვილი არის სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს წევრი 2017 წლის აგვისტოდან.

დირექტორთა საბჭო კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემდეგი კომიტეტების მეშვეობით:

- რისკების კომიტეტი;
- ანაზღაურების კომიტეტი;
- აუდიტის კომიტეტი;
- საკრედიტო კომიტეტი;
- საკრედიტო ლიმიტების რევიზიის კომიტეტი.

ინფორმაცია კომიტეტების თავმჯდომარეების შესახებ

- **ბატონი იავუზ ერგინი** იკავებს სს „იშბანკი საქართველოს“ რისკების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას
- **ქალბატონი ბანუ ალთუნი** იკავებს სს „იშბანკი საქართველოს“ საკრედიტო და საკრედიტო ლიმიტების კომიტეტების თავჯდომარის თანამდებობას
- **ქალბატონი ნათია ჯანელიძე** იკავებს სს „იშბანკი საქართველოს“ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას
- **ბატონი სეზგინ ლულე** იკავებს სს „იშბანკი საქართველოს“ ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას.

<u>რისკების კომიტეტი</u>
რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია შესაბამისი რეკომენდაციები და მოსაზრებები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის არსებულ და მომავალ რისკის აპეტიტთან დაკავშირებით. კომიტეტი მონიტორინგს უწევს რამდენად ხდება ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

რისკების კომიტეტი:

ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
ბ) აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაციას ბანკის სტრატეგიაზე და ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიის განხორციელებაში მენეჯმენტის მიერ.
გ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად;
დ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს;
ე) თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;
ვ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
ზ) მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა;

თ) წარუდგენს ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს გამოვლენილი მატერიალური რისკებისა და სხვა საკითხების შესახებ, მათ შორის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურის ეფექტური ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად, ბანკში არსებული რისკის კულტურის თაობაზე;
ი) აკონტროლებს არის თუ არა საფასო პოლიტიკა შესაბამისობაში ბანკის ბიზნეს მოდელთან და რისკების სტრუქტურასთან;
კ) აკონტროლებს საფასო პოლიტიკის შესაბამისობას ბანკის რისკების, კაპიტალის და ლიკვიდობის სტრუქტურასთან;
ლ) ადგენს სტრატეგიისა და რისკების ანგარიშების სახეს, მასშტაბს, ფორმასა და სიხშირეს;
მ) აფასებს ბანკის ანაზღაურების სისტემას და წარადგენს შესაბამის ანგარიშს.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

<u>ანაზღაურების კომიტეტი</u>
ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია ხელი შეუწყოს სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის მასშტაბით ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე იმის მიღწევაში, რომ ბანკის ანაზღაურების სისტემა შესაბამისობაში იყოს ბანკის კულტურასთან, გრძელვადიან ბიზნეს სტრატეგიასა და რისკის აპეტიტთან, ბანკის საქმიანობასა და კონტროლის გარემოსთან ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებთან.

<u>საკრედიტო კომიტეტი</u>
საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია საკრედიტო პოლიტიკის შექმნაზე, განვითარებასა და შეთავაზებაზე ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსათვის დასადასტურებლად. კომიტეტი განსაზღვრავს

- ლიმიტებს მსესხებლებისათვის – იურიდიული და ფიზიკური პირები;
- ლიმიტებს საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის;
- ადგენს, ადასტურებს ან აუქმებს ლიმიტებს ბანკებთან ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციებისათვის;
- ადგენს საკრედიტო რისკის ლიმიტებს ფასიან ქაღალდებსა და სხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციისათვის.

საკრედიტო კომიტეტი აკონტროლებს ბანკის შესაბამისობას დამტკიცებულ ლიმიტებთან. განიხილავს სასესხო განაცხადებს, იღებს გადაწყვეტილებას ვალის რესტრუქტურიზაციაზე, ჩამოწერასა და ყველა სხვა შესაძლო ფაქტზე, რომელიც დაკავშირებულია ბანკის საკრედიტო რისკთან.

<u>საკრედიტო ლიმიტების რევიზიის კომიტეტი</u>
კომიტეტი განიხილავს:

- ბანკის საკრედიტო აქტივებს, მათ შორის ინფორმაციას სესხებისა და გარანტიების, კორპორატიული ბონდების, პორტფელის სეგმენტაციისა და პრობლემური აქტივების შესახებ
- ბანკის იმ კლიენტებს, რომელთა სესხები დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს საკრედიტო კომიტეტის მიერ (სესხები 1,500,000 აშშ დოლარიდან 3,000,000 აშშ დოლარამდე) ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (სესხები, რომლებიც აღემატება 3,000,000 აშშ დოლარს).

<u>აუდიტის კომიტეტი</u>
აუდიტის კომიტეტი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც აკონტროლებს ბანკის აქტივობას ყველა მიმართულებით, ორგანიზაციის თითოეულ დონეზე. კომიტეტი პასუხისმგებელია პროცესების გაუმჯობესებაზე ყველა შესაძლო რისკის მინიმუმამდე დაყვანის გზით. აუდიტის კომიტეტი პირდაპირ დაქვემდებარებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან და მხარს უჭერს საბჭოს სხვადასხვა საკითხის მონიტორინგში, განსაკუთრებით:

- ბანკის სხვადასხვა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი;
- ბანკის რისკების მართვის მთლიანი სისტემის, განსაკუთრებით კი შიდა კონტროლისა და შესაბამისობის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა:
- გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობა და ინფორმაციას პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში გამჟღავნება
- შესაბამისი ზომების გატარება და აღმოჩენილი ნაკლოვანებების დროული გამოსწორების უზრუნველყოფა
- მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი "შიდა კონტროლის / აუდიტის / შესაბამისობის გეგმების" შესაბამისობის კონტროლი და დამტკიცება.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

გარდა ზემოთ აღნიშნული კომიტეტებისა, ბანკს შექმნილი აქვს რამდენიმე შიდა კომიტეტი პროცესების უფრო ეფექტური კონტროლისათვის. ესენია: მენეჯმენტის კომიტეტი, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO), საკრედიტო, HR, შესაბამისობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტარიფების, შესყიდვების, რისკებისა და უმოქმედო სესხების და ფილიალების საქმიანობის საკოორდინაციო კომიტეტები.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების შემადგენლობა

■ თავმჯდომარე ■ წევრი	აუდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკების კომიტეტეტი	საკრედიტო ლიმიტების რევიზიის კომიტეტი	ანაზღაურების კომიტეტი
ოზან გურსოი					
იავუზ ერგინ			■		
სეზგინ ლულე					■
ნათია ჯანელიძე	■				
ბანუ ალთუნ		■		■	
ჰუსეინ სერდარ იუჯელი *					

*ბატონი ჰუსეინ სერდარ იუჯელი შეირჩა აუდიტის კომიტეტის ყველა სხდომის მუდმივ მოწვეულ წევრად.

2020 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	სამეთვალყურეო საბჭო	აუდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკების კომიტეტი	ანაზღაურების კომიტეტი	საკრედიტო ლიმიტების რევიზის კომიტეტი
	Authorized to Attend/Factual Attendance					
ოზან გურსოი	9/9		9/9			
მურათ ბილგიჩ*	11/11		12/12			
ჯან იუჯელ*	11/9	1/1	16/16			
იავუზ ერგინ	20/18	3/3	21/21	3/3	1/1	
ჰუსეინ სერდარ იუჯელი	20/20		29/29	3/3	1/1	
სეზგინ ლულე	20/20	2/2	33/33	1/1	1/1	
ონურ ქუთუქ*	11/11		16/16		1/1	
ნათია ჯანელიძე	20/4	3/3	21/21	2/2		
ბანუ ალთუნ	9/9		17/17			

*ბატონი მურათ ბილგიჩი სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო 2020 წლის სექტემბრამდე
*ჯან იუჯელი და ონურ ქუთუქი სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ 2020 წლის სექტემბრამდე.

- სესხები 1.5 მილიონ დოლარამდე მტკიცდება საკრედიტო კომიტეტის მიერ, ხოლო 1.5 მილიონ დოლარზე ზევით სესხები - სამეთვალყურეო საბჭორს მიერ
- ბატონი მურათ ბილგიჩი სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო 2020 წლის სექტემბრამდე, ხოლო მას შემდეგ ის ბატონმა ოზან გურსოიმ შეცვალა
- ბატონი ჯან იუჯელი საკრედიტო კომიტეტის თავმჯდომარე იყო 2020 წლის სექტემბრამდე, ხოლო მას შემდეგ ის ქალბატონმა ბანუ ალთუნმა შეცვალა.
- ბატონი ჯან იუჯელი საკრედიტო ლიმიტების რევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე იყო 2020 წლის სექტემბრამდე, ხოლო მას შემდეგ ის ქალბატონმა ბანუ ალთუნმა შეცვალა.
- ბატონი ჯან იუჯელი იყო აუდიტის კომიტეტის წევრი 2020 წლის სექტემბრამდე
- ბატონი სეზრგინ ლულე იყო რისკების კომიტეტის წევრი 2020 წლის სექტემბრამდე
- ბატონი ონურ ქუთუქი იყო ანაზღაურების, საკრედიტო და საკრეტიდო ლიმიტების რევიზიის კომიტეტების წევრი 2020 წლის სექტემბრამდე

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები

ბატონი იავუზ ერგინი იკავებს ბანკის აქციონერის, სს „თურქეთის იშბანკის“ (სტამბოლი, თურქეთი) უმაღლესი მენეჯმენტის მრჩევლის თანამდებობას. მისი ძირითადი უფლება-მოვალეობები მოიცავს საკონსულტაციო (არააღმასრულებელ) ფუნქციებს სს თურქეთის იშბანკის საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობასა და უცხო ქვეყნებში არსებულ შვილობილ ბანკებთან დაკავშირებით.

ქალბატონ ნათია ჯანელიძეს უკავია რეგიონალური/საინვესტიციო დირექტორის თანამდებობა გაზელ ფაინანსში, რომელიც არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული სს „იშბანკი საქართველოსთან“ ან ბანკის აქციონერთან. ამასთანავე, ქალბატონ ჯანელიძეს არა აქვს და არ ჰქონია არანაირი პროფესიული ან სხვა სახის სამუშაო ურთიერთობა ბანკთან ან ჯგუფში შემავალ საწარმოებთან/მის ადმინისტრატორებთან/აქციონერთან.

ბატონი იავუზ ერგინის და ქალბატონი ნათია ჯანელიძის მონაცემების შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის კრიტერიუმებს და არ არსებობს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომლის გამოც კანდიდატები შეიძლება არღვევდნენ/არ შეესაბამებოდნენ რომელიმე კრიტერიუმს. შესაბამისად, ბატონი იავუზ ერგინი და ქალბატონი ნათია ჯანელიძე სს „იშბანკი საქართველოს“ აქციონერის მიერ არჩეულ იქნენ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრობის კანდიდატებად.

რისკების მართვა

ძირითადი რისკები

ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, რისკების ეფექტური მართვა მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება, რადგან გარემო, სადაც ბანკი ოპერირებს, ხასიათდება განვითარებადი ბაზრების სპეციფიკაციით. ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც ბანკი დგას, დაკავშირებულია საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რეისკებთან.

რისკის მართვა საბანკო საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ბანკის ოპერაციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბანკის ძლიერი რისკების მენეჯმენტი ასახავს ბანკის რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტის მიერ არსებულ მნიშვნელობას რისკების სტრატეგიის ფორმირებაში და საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვისთვის. რისკის ყოვლისმომცველი მართვისთვის საჭირო ყველა კომპონენტი ჩართულია რისკების ორგანიზაციის სტრუქტურაში: საწარმოს რისკის მენეჯმენტი; საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვა; რისკების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და აიტი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა; ჯვარედინი რისკის ანალიტიკური საშუალებები და ტექნიკა, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და სტრესის ტესტირება. ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდობის რისკს და საბაზრო რისკს. ის ასევე ექვემდებარება სხვადასხვა ოპერაციულ და ბიზნეს რისკებს.
რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ბანკის წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, შესაბამისი რისკის ლიმიტებისა და კონტროლის დადგენას, რისკების დონის მუდმივად მონიტორინგს და ლიმიტების დაცვას. რეგულარულად განიხილება რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რათა ასახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებებში და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
ხელმძღვანელობის ზოგადი პასუხისმგებლობაა რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობა, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლება, თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა და ასევ დიდი კრედიტების დამტკიცება.
ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის დირექტორი საკითხებში პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშეა ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე გარიგებების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების სისტემის, რისკების მართვის განყოფილების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ.
მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას.

რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვალებადობა და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლები და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

ბანკი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. მათი მონიტორინგი ხდება რეგულარულად და გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.
სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ბანკი მუდმივად აკონტროლებს, რომ სებ- ის სავალუტო პოზიციების ლიმიტები საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებით დაცული იყოს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ბანკს დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში), მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის წესები, და ჩამოყალიბებული აქვს საკრედიტო კომიტეტი, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი. საკრედიტო პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.
საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირისთვის ნებისმიერი სესხის გაცემამდე ბანკი მომხმარებლის ბიზნესისა და ფინანსური შედეგების კომპლექსურ შემოწმებას ატარებს.
საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდებობების მიღებით. ზემოაღნიშნული სესხების უზრუნველყოფის საგანს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა მნიშვნელოვანი არ არის.

რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი. ბანკი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ბანკი აქტიურად ცდილობს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზის შენარჩუნებას, რომ შეძლოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური მართვის და რისკის მართვის ქვეგანყოფილებები. ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ ხელმძღვანელობას კვირაში ერთხელ მიეწოდება. ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს და მათ ახორციელებს ხაზინის ქვეგანყოფილება. გარდა ამისა, ბანკი ახდენს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი ლიკვიდურობის კოეფიციენტის რეგულარულ მონიტორინგს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემის უკმარისობის, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის და გარეგანი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზარალის რისკი. როდესაც კონტროლი ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად, საოპერაციო რისკებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, ჰქონდეს იურიდიული ან რეგულირების გავლენა, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. ბანკი არ უნდა ელოდოს ყველა ოპერაციული რისკის აღმოფხვრას, მაგრამ ის ცდილობს ამ რისკების მართვას საკონტროლო ჩარჩოს მეშვეობით, პოტენციურ რისკებზე მონიტორინგისა და რეაგირების გზით. კონტროლი მოიცავს მოვალეობათა ეფექტურ დაყოფას, წვდომის, ავტორიზაციისა და შერიგების პროცედურებს, პერსონალის განათლებას და შეფასების პროცედურებს, როგორიცაა შიდა აუდიტის გამოყენება.

ანაზღაურება

ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული საკითხები წყდება ანაზღაურების კომიტეტის მიერ. ანაზღაურების ძირითადი პრინციპი ეფუძნება კონკურენტული სამოტივაციო სისტემის შეთავაზებას თანამშრომლებისათვის, რომ იყოს შესაძლებელი მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დასახული მიზნების მიღწევისათვის. ამ დროისათვის ბანკში არ არის რამე განსხვავებული ანაზღაურების სისტემა, მაგრამ ბანკი მუშაობს სამოტივაციო სისტემის შექმნაზე გაყიდვების და არა -გაყიდვებთან დაკავშირებული თანამშრომლებისათვის. ყველა თანამშრომელს აქვს ფიქსირებული ხელფასი და ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი.

ანგარიშგების სხვა საკითხები

სს „იშბანკი საქართველო“ არ ახორციელებს რაიმე მნიშვნელოვან კვლევასა და განვითარების აქტივობას.

სს „იშბანკი საქართველო“ არ ფლობს რაიმე წილს ხაზინაში და არ შეუძენია/გაუსხვისებია წილები 2020 წელს.